

# ଧେରାଳୁ

7

2016

ვანო ჩხილვაძე

მდინარეობი

მეუფე თადეოზს

ლიახვო, ვნახე შენი ძმა,  
შენსავით ჰკბენდა ორგული –  
რუხის ციხესთან ენგური –  
სიმგაწყვეტილი ჩონგური.

გულში გჭირს, გულში მდუღარე,  
ქანო, გამშრალო დედილო,  
მუხრანთან გავაკებულო,  
ჯავრისგან ხმაგაკმედილო.

არაგვო, ჰოი, არაგვო,  
ცეცხლო, კალმახის ფრთიანო,  
ბედნიერი ხარ,  
ჯერ კიდევ  
საქართველოსი გქვიანო.

2011

უკრნალი გამოფის 2016 წლის იანვრიდან

ლიტერატურული, სამეწნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი უურნალი

უურნალის გამოსკრინი

სამწევ-ჟავახეთის

სახელმწიფო

უნივერსიტეტი

არაზ

7

2016

**რედაქტორი - მერაბ ბერიძე**

**მოადგილე - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე**

**სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე**

ლია ზაზაშვილი  
ვახტანგ ინაური  
მალხაზ ლომსაძე  
ვასილ მამულაშვილი  
ლერი ნოზაძე  
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი

**უცხოეთთან თანამშრომლობის  
ბიურო: ლალი ბერიძე  
მაია ქუეჩიშვილი**

**მხატვრები: ლელა ფერაძე  
თამარ თამარაძე**

**მდივანი - ზაირა გელაძე**

**საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე  
ლარისა გურგენიძე**

# ინტერვიუ

## გედი ერთი ლექსისა

**ვანო ჩხიკვაძე** - მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული პრემიის ლაურეატი ბატონი ვანო ჩხიკვაძე სამოცზე მეტი პოეტური და პროზაული წიგნის, პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილის, თარგმანების ავტორია. მისი ლექსები და პროზაული წარამოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ფრანგულ, ლიტვურ, პოლონურ, ბულგარულ და სხვა ენებზე. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს: საქართველოს კომეკშირის პრემია - საბავშვო მოთხოვნების კრებულისათვის „ორი კაცი“; მწერალთა კავშირის პრემიები 1997-99 წლებში; გამარჯვება საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ კონკურსში; პირველი პრემია ლიტერატურულ კონკურსში „პენ-მარათონი 2003“ და ვერცხლის დიოგენე“; მესამე პრემია უურნალ „ომეგას“ ლიტერატურულ კონკურსში „ლუარსაბ თათქარიძე“; წლის საუკეთესო პროზაული კრებულისთვის ლიტერატურული პრემია „საბა“; საქართველოს მწერალთა კავშირის მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემია; თბილისის მერიის სიგელი და მაყვალა მრევლიშვილის მედალი; მთავარი პრიზი „წმინდა ნინოს ჯვარი“ - ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალზე; იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი; საქართველოს ეროვნული პრემია. გიმარჯვა პორტალ Literatura.ge-ს მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში „წერო“; დასახელებული ჯილდოები ერთი მწერლისათვის - მისი მაღალმხატვრული ოსტატობის, გამორჩეული ლიტერატურული აზროვნების ჭეშმარიტი აღიარებაა. წებისმიერი ინტერვიუ მწერალ ვანო ჩხიკვაძესთან სრულად ვერ წარმოაჩენს პოეტისა და პროზაიკოსის, პუბლიცისტი ვანო ჩხიკვაძის ლიტერატურული ღირებულებების უდაოდ მრავალფეროვან სპექტრს; თუმცა, ჩემთვის ეს პუბლიცისტურ-ლიტერატურული მისია შედარებით გაიოლებულია: როგორც უურნალისტი, ვანო ჩხიკვაძეს რამდენიმე წლის წინ შევხვდი. ამჯერად, უურ-



ნალ „არავის“ მკითხველს მსურს, გავაცნო შესანიშნავი მწერალი ვა-ნო ჩხიკვაძე, რომლის შემოქმედებითი მომავალი ქართული ლიტე-რატურის კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯვიბმა განსაზღვრა. ამასთან: მე იმ დღიდან ვიცნობ ვანო ჩხიკვაძეს, როდესაც პირველი ლექსი მოი-ტანა რედაქციაში.

– ბატონო ვანო, კარგად მახსოვს თქვენი პირველი გამოჩენა გორის რეგიონული გაზეთის რედაქციაში: პირველი ლექსი, პირველი სიხ-არული, პირველი ნაბიჯები შემოქმედების დიდ, საინტერესო გზებზე. დღეს ვანო ჩხიკვაძე საკმაოდ პოპულარული მწერალია საქართველო-ში და მის ფარგლებს გარეთ. გთხოვთ, ახლოს გაეცნოთ ჟურნალ „არა-ვის“ მკითხველსაც.

– რაც თქვენ ჩამოთვალეთ და არ ჩამოთვალეთ, ყველაფერი პირველი, რასაც ვეზიარეთ ჩვენი ცხოვრების გზაზე, დაუვინარია და ადამიანის ცნობიერებაში ღრმა კვალს ტოვებს.

მახსოვს ის მღელვარებაც, პირველად, ჩემი უმწიფარი შემოქმე-დებით რომ შემოვაძიჯე გაზეთ „გამარჯვების“ რედაქციაში.

მანამდე იყო გორის მასნავლებელთა სახლი, მყუდრო ბიბლიოთე-კა, მისი გამგე, საოცრად სათნო, გულისხმიერი ქალბატონი ქეთევან ანდრონიკაშვილი თავს რომ დაგვფოფინებდა ლიტერატურული წრის წევრებს, რომელსაც პოეტი ვაჟა შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა...

დაუვინარია პირველი ლიტერატურული საღამო, რომლის მონა-ნილე მეც გახლდით და ის ჯილდო (ლადო ასათიანის ლექსების წიგ-ნი), რომელიც მაშინ გადმომეცა.

მას შემდეგ, ლადო „ჩემი პოეტი“ გახდა...

გორის რეგიონულ გაზეთში ვაქცეყნებდი ლექსებს, ჩანახატებს, წერილებს, ინფორმაციებს.

სკოლას ვამთავრებდი. ბატონმა ოთარ ჩხეიძემ ალმანახ „ლიახვ-ში“ ჩემი შვიდი ლექსი რომ შეიტანა – იმ დღიდან მოყოლებული მეგზურივით გამყვა ჩვენი დიდი მწერლის მზრუნველობა.

მერე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ერთხანს სახ-ელოვან მწერალთა წრის ხელმძღვანელიც ვიყავი), ვაქეყნებდი ლექსებს უნივერსიტეტის გაზეთში, „პირველ სხივში“... შემდეგ რუ-ბრიკით „ჭამნიკი“, ჟურნალ „ცისკარში“, რომლის რედაქტორიც დამწყები მწერლის მხარში მდგომი და კეთილი მრჩეველი ჯანსულ ჩარკვიანი გახლდათ, ჩვენს შესანიშნავ პოეტ ბალათერ არაბულთან

ერთად დაიბეჭდა ჩემი ლექსებიც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფეხბეჭდიერად დაიწყო ჩემი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება.

ვარ ორმოცდათზე მეტი პოეტური, პროზაული, საბავშვო და პუბლიცისტური კრებულის, ტელევიზიასა და თეატრში დადგმული პიესების ავტორი (ჩემი პიესა „ორი მდინარის შესართავთან...“, რომელმაც ასოციაცია „კვალის“ კონკურსში გაიმარჯვა, დაიდგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში და ვუჩენეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართული კულტურის დღეებზე).

მიღებული მაქვს არაერთი სახელმწიფო ჯილდო და ლიტერატურული პრემია (ბოლოს, გასული წლის ნოემბერში, მომენტა საქართველოს ეროვნული პრემია).

და მჯერა, მანამ ვიცოცხლებ, ვიდრე ჩემი კალამი „იმუშავებს“.

– სამწერლო აზროვნების ისტორია იცნობს ავტორებს, რომლებსაც თავიანთი მხატვრული შემოქმედების ორიენტირი გამორჩეული აქვთ: პროზა, პოეზია, დრამატურგია... ვანო ჩხივაძემ შემოქმედებითი საქმიანობა პოეზიით დაიწყო. ამას მოჰყვა თვალსაჩინო წარმატებები პროზის სფეროში. გორის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ცოცხლდებიან თქვენი პიესების გმირებიც. თქვენთვის „ვინ“ უფრო მნიშვნელოვანია – პოეტი ვანო ჩხივაძე თუ პროზაიკოსი, დრამატურგი?

– როგორც ავტორისთვის, ჩემთვის ყველა უანრი ერთნაირად მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ უფრო ობიექტური და ნათელი პასუხი გნებავთ, მაშინ ამ კითხვით მეტხველს უნდა მიმართოთ. გემოვნებიანი მეტხველია ობიექტური განმსჯელი და შემფასებელი იმისა, რასაც მწერალი სთავაზობს.

– ჩემ წინაა თქვენი ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელსაც „ტრაგიკული ბედი“ დაჲყვა... ერთი ლექსი! დიდი კონსტანტინე გამსახურდია ზოგჯერ ლექსებსაც წერდა, მაგრამ მეტხველი საზოგადოება მის ერთ ლექსს, ლირიკულ შედევრს „ცისფერ თვალებს“ წარმოოქვამს ზეპირად; პოეზიის ძეგლებად იქცნენ: გიორგი ლეონიძის „ყივჩალის პაემანი“ და, რა თქმა უნდა, შილერის „ხელთათმანი“, გენიალური შექსპირის „ნე-ე“, თვით გოვთეს „წარწერა კედელზე“. ერთ, რიგით ქართველ პოეტს ბერიაშვილს აქვს ასეთი სტრიქონები: ნეტავ, ერთ დღეს ყველა ლექსი დამეკარგოს, მერე ყველა ხალხის გულში მაპოვნინა“. მისი ერთი ლექსი მართლაც

**დარჩა ხალხის გულში. თქვენ რას ეტყვით პოეზიის მოყვარულ ადამიანებს: პოეტი მიდის „ერთ ლექსთან“ თუ, ერთი ლექსი „მიდის პოეტთან?“**

– ჯერ ის ვთქვათ, რატომ დაჟყვა იმ ლექსს „ტრაგიკული ბედი“:

2002 წელს, თებერვალში, მთელი ქვეყანა შეძრა ერთი გასროლის ხმამ – მთავრობის სახლში თავი მოიკლა, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლების მეორე პირმა, „რუს კარდინალად“ წოდებულმა ნუგზარ საჯაიამა.

საღამოს, ამ ტრაგიკულ მოვლენას მიეძღვნა ვრცელი სატელევიზიო გადაცემა, საღაც საქართველოს პრეზიდენტის იმდროინდელმა მრჩეველმა, მწერალმა კობა იმედაშვილმა გამოაცხადა, როდესაც ექსპერტიზა ჩატარდა, ბატონ ნუგზარს გულისჯიბეში ვანო ჩხიკვაძის ლექსი აღმოაჩნდაო და მისი დასაწყისიც წაიკითხა:

„ცხოვრება ეს იყო, ეს არის,

მპარავი, ცბიერი, მგესლავი.

შენსავით ვერავინ მიმღერებს,

ვერავინ გამათბობს შენსავით.

შენს სიცილს წერიალით ვინ ფანტავს,

მინაზე ფეხს რომ არ აკარებ,

ამოდი, მინდვრების ინფანტავ,

ეს ერთი მაისიც მახარე,

თითებში ჩატყდება ფანქარი,

ვაი, შენ, უმანქო ტიტინო –

ამ წვიმით,

ამ სევდით,

ამ ქარით,

დავსხდეთ და წარსული ვიტიროთ.

ცისთვალას სანთლები კვესავენ,

ხულები დგას მაისის ნათლია,

ფერმკრთალო,

შემკრთალო კესანე,

შენ მაინც მიგლოვე, მადლია...“

ბატონ ნუგზარს არათუ პირადად, სახითაც კი არ ვიცნობდი და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მოულოდნელი იქნებოდა, რაც ტელევიზიით მოვისმინე – ერთი შეხედვით (და საზოგადოებაში გავრცელებული აზრით) პირქუში, ჩაკეტილი სახელმწიფო მოღვაწე და 2001-ის ზაფხულში, გაზეთ „ჩვენს მნერლობაში“ გამოქვეყნებული

ერთ-ერთი ლექსი, რომელიც ამ ტრაგიკული ხვედრის პიროვნებას თან დაჰქონდა.

ამ ფაქტზე მაშინ ბევრი ითქვა და დაიწერა. გამოსათხოვარ სიტყვაში პრეზიდენტმა, რომელმაც თქვა, ჩემი უპირველესი თანამდგომი და თანამებრძოლი დავკარგე და მის ჯიბეში აღმოჩენილმა ლექსმა მოჰყვინა ნათელი, თუ რა დიდ შინაგან განცდებს ებრძოდაო.

როგორც ვხედავთ, ადამიანებივთ ლექსებსაც თავისი ბედისწერა დაჰყვებათ...

ვერ გეტყვით, „პოეტი მიდის „ერთ ლექსთან“ თუ „ერთი ლექსი“ – პოეტთან“, ან რომელი ნიშნავს „შესვედრის“, თუ გნებავთ, „დუელის“ ადგილს, მთავარია, რომ კალმით და ფურცლით მომლოდინე შემოქმედი გააბედნიეროს შუბლზე ღვთიური მუზის ამბორმა...

– ვაჟა-ფშაველა თავის შედევრებს ხშირად სანთლის შუქზე ქმნიდა. ონისეს და გუგუას თავად „ესაუბრებოდა“ მწყემსი ყაზბეგი. ჩვენთვის ცნობილია, რომ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ნოველა „კოხტა თამრო“ გემზე დაწერეთ...

– კიდევ კარგი, მუზები ღარიბულ ქოხებსა და სანთლის შუქსაც არ თაკილობენ, თორებ შედევრები ხომ მხოლოდ ჭაღებით განათებულ ბრწყინვალე დარბაზებსა და კაბინეტებში შეიქმნებოდა.

რაც შეეხება ნოველა „კოხტა თამროს“...

ფოთში, გემზე ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „პენ-მარათონი 2003“ და ეს ნოველა ერთი ღამეში დაიწერა, რომელიც კონკურსის გამარჯვებული და ვერცხლის „დიოგენეს“ მფლობელი გახდა.

ამ ფაქტს ბევრი საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მომენტი ჟიურის თავმჯდომარის, ყველასთვის ძვირფასი ვახუშტი კოტეტიშვილის შეფასება – „კოხტა თამრო“, როგორც „ოთარაანთ ქვრივი“, ისეთივე შენაძენია ქართული ლიტერატურისთვისო...

– თქვენი შემოქმედების მრავალფეროვნებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ვანო ჩინკვაძეს – უურნალისტს; მით უმეტეს, რომ უურნალ „არავის“ რედაქცია მიესალმება ჩვენი გამოცემის ფურცლებზე, ასევე, თქვენს პუბლიცისტურ-ანალიტიკურ მასალებსაც...

— ვარ მრავალი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილის ავტორი.

ორიოდე წლის წინ წიგნიც გამოვაქვეყნე „თქვენი სევდაა, ბატონი!“, სადაც სწორედ ჩემი შემოქმედების ეს მხარეა წარმოდგენილი.

უურნალი „არავი“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზეა შექმნილი და, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკისა და საზოვარებელი უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობას, მათი მხატვრული შემოქმედების გაშუქებას. ასეა ჩვენთვის გორის უნივერსიტეტი. გორის უმაღლეს სასწავლებლში ხომ ცნობილი ქართველი მწერალი ოთარ ჩხეიძე მოღვაწეობდა. ჩვენს უურნალში დაიბეჭდა უნივერსიტეტის რექტორის გიორგი სოსიაშვილის ნოველა. თქვენი აზრით, რა გზით უნდა განვითარდეს შემოქმედებითი ურთიერთობანი უმაღლეს სასწავლებლებთან?

— დღეს, როდესაც ბევრი რამ მოიშალა და თავიდან, ხელახლა გვაქვს ასაწყობი, განსაკუთრებულია უნივერსიტეტის როლი ჩვენი ქალაქებისა და რეგიონების ცხოვრებაში. სწორედ მათმა სამეცნიერო თუ შემოქმედებითმა ურთიერთობებმა უნდა განსაზღვრონ როგორ ვიმოქმედოთ, რა გზით ვიაროთ, რა არის მთავარი დღეისათვის და სამომავლოდ.

უნივერსიტეტი უყრის თავს, რაც ყველაზე მეტად ფასეულია ქვეყნისთვის, ჩვენი ახალგაზრდობის ნიჭიერებას, შესაძლებლობებს, გაქანების უნარს.

უმაღლესი სასწავლებელი ნავსაყუდელი და დამფრთიანებელი უნდა იყოს მომავალი შემოქმედებისაც.

თქვენ ბატონი ოთარი გაიხსენეთ და სწორედ მისი დამსახურებაა, პედაგოგიურ ინსტიტუტში დაარსებულმა ლიტერატურულმა წრემლონივრად რომ გამალა ფრთხები.

მჯერა, იქ, სადაც აქტიურია უნივერსიტეტი, იქ არც კულტურა მოიკოჭლებს და საზოგადოებაც თავისი ქალაქის თუ რეგიონის ნამდვილი გულშემატკივარია.

— მესხეთი – პოეზიის, დიდი რუსთაველის სამშობლოა; ყველა ქართველი პოეტი, ჩვენი უურნალის ფრიად სასურველი ავტორი იქნება. რას ეტყოდით ჩვენს შემოქმედებით კოლექტივს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ყველა „მესხ მელექსესა“: როგორ იწერება კარგი ლექსი?

- რუსთაველის მშობელ მხარეს მე როგორ უნდა ვუთხრა, „როგორ იწერება კარგი ლექსი?“

მე არაერთხელ მითქვამს, შოთას პოემა ჯეროვნად რომ იცოდეს მსოფლიოს მკითხველმა საზოგადოებამ, კაცობრიობა უფრო უკეთესი იქნებოდა-მეთქი.

ყველას, ვინც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, მჯერა, ახსოვს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სულისკვეთების აღორძინება, იმ ფესვების, ეროვნული შემართების გამოღვიძება, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სახელმწიფო აზროვნების ჩამოყალიბებას, ქვეყნის შემომტკიცებას, რწმენისა და სულიერების განმტკიცებას.

სამცხე-ჯავახეთში, წარსულისა თუ დღევანდელ გასაგებ მიზეზთა გამო, განსაკუთრებულია უნივერსიტეტის როლი, ამდენად, აქ მოღვაწეობა მოვალეობა და ტვირთია, მძიმე, მაგრამ საპატიო.

სამშობლოზე მოფიქრალი ყველა ქართველი კაცის მზერა და გულისტკივილი სხვანაირად არის მოპყრობილი საქართველოს სამხრეთ კარიბჭისკენ.

**ინტერვიუერი – ვასილ მამულაშვილი**

# პოეზია

## ვანო ჩხილვაძე

### ზარები

ილია მეორეს

შეფრთხიალდება მხარზე მტრედი ნათლით მოსილი,  
თითქოს მთელდება ყველა ჩვენი ტკივილის ბზარი,  
ხელთ რომ გიპყრიათ,  
ეგ საბელი, ავგაროზივით  
ყელზე ჰკიდია საქართველოს სიცხიზლის ზარებს.

ჩვენი სამშობლოს ციხეებზე ცეცხლის დამნთებო,  
ბრძა საუკუნე,  
შხამიანი,  
მოდის, თავნებობს.  
არ დაგვივიწყოთ, ეს ქვეყანა ვისი ხვედრია,  
ეშმაკს საბელი არ დაანებოთ.

რადგან აქამდე ვერ გაღუნეს ეგ ხერხემალი,  
უნდა დასრულდეს ბედისწერის მწარე იგავი –  
ეს ცა, ეს მიწა, ეს უკვდავი სულის მწვერვალი,  
წმინდა წიგნია ჯერ ბოლომდე წაუკითხავი.

თუმცა იმედი სისხლში ვხარშეთ, ცრემლში მოვზილეთ,  
მაინც კორტნიან კარმორლვეულ ოთხივე მხარეს.  
თქვენ რომ გიპყრიათ,  
ეგ საბელი,  
ავგაროზივით  
ყელზე ჰკიდია დადუმებულ სიცხიზლის ზარებს.

თეთრი მხედარი თეთრ იორდას შემოაგელვებს,  
შემოუძლვება წამებულთა უკვდავ მხედრიონს.  
ჰო, უწმინდესო,  
ჩამოჰკარით მძლავრად საბელი,  
ზარებს თვლემა რომ არ მოერიოთ.

## ცირკი

დაწვეს ცირკი და ქალაქიდან ღიმილი გაქრა.  
დავყურებ მანეჟს –  
ჩაქცეულ საფლავს.

ჩავარდა მიწა.  
ირგვლივ ბებრული  
რკინა-ბეტონის დარჩა კუზები –  
ცეცხლმა შეჭამა აბორგებული,  
სიცილ-ხარხარით დახუნძლული იარუსები.

ქარი – ჯამბაზი  
სულ ამაოდ გადადის მალაჭა,  
დაწვეს ცირკი და  
დაავიწყდა სიცილი ქალაქს.

პირგახეული ოლეგ პოპოვი,  
მტვრიან ჰაერში  
დაკიდული ქუდის პომპონით.  
მოსულელო და ცელქი პროფილი  
ალარ დახოხავს  
სველ ნახერხში ცხვირწაყოფილი.

არ იფორთხებს და ლუკმას დაკარგავს,  
როგორც ნადირი სანუკვარ კვნიწას,  
ჯუნგლის მეფეს რომ ნაკლებადა ჰგავს,  
შაქრის ხათრით რომ მათხოვრად იქცა.

დაწვეს ცირკი და  
ქალაქიდან ღიმილი გაქრა.  
დავყურებ მანეჟს –  
ჩაქცეულ საფლავს.

ბევრი წელია,  
რაც ნანგრევებს ათოვს და აწვიმს,  
ქრება კარკასი –  
უპატრონო მკვდრის თავის ქალა.

არავინ არ ჩანს,  
მხიარული თვალები ქალაქს  
რომ დაუხატოს ფიფქების ცარცით.

ყვა-ყვა, ყვანჩალით  
ჩამომსხდარან ქვებზე ყვავები,  
სერიოზულად  
სერიოზულ საქმეზე ბჭობენ –  
როდესაც ცირკად  
გადაიქცა მთელი ქვეყანა,  
ცირკს უცირკობა რად უნდა სჯობდეს.

როგორც ლომს შაქრის,  
ნალვლიანო ქალაქო ჩემო,  
შენც დაგავიწყეს სიცილის გემო.

მაშინ თუ ვირზე იჯდა ჯამბაზი,  
დააჯირითებს  
დღეს ტრიბუნას ტაკიმასხარა,  
სიცილით, აბა, რა მოგახსენოთ,  
მაგრამ ტირილით  
ყველა მართლაც მაგრად დალალა.

დაწვეს ცირკი და  
ქალაქიდან ლიმილი გაქრა.  
დავყურებ მანეჟს –  
ჩაქცეულ საფლავს.

ბრძენია ხალხი,  
თვინიერი, როგორც ნიკორა,  
უფრო დიდი და ნალიდი ცირკი გამოიგონა.

რა სათქმელია, გშია, არ გშია,  
ხიზილალას ჭამ თუ ხმელ ქაფშიას  
(ძლივს არ გავიგეთ, რომ ლუდის გემო  
ლუდში კი არა, ლუდის ქაფშია).

თავზემოთ ზეცა კვლავ იღრუბლება,  
ორი ვეშაპი ჩვენზე ყომარობს,  
მწარე ყოფილხარ, თავისუფლებავ,  
ღორმუცელების მონაპოვარო.

ჩემო ქალაქო, ნანგრევები ისევ იქა დგას,  
თეთრად რომ ქარგავს ზამთარი მკაცრი,  
იქნებ გამოჩენდეს, ვინც თოვლის ცარცით,  
მხიარულ თვალებს  
და მომლიმარ პირს დაგიხატავს.

დაწვეს ცირკი და  
ქალაქიდან ღიმილი გაქრა...

2012

\*\*\*

წავიდა პოეტი თადეოზი,  
მეუფე თადეოზი წაბრძანდა.  
წათლისლება ღამეს დაასრულა  
წირვა უკანასკნელ ზამთართან.

მკერდში შეფრთხიალდა, მოლუდუნე  
მტრედი მახარობლად გაფრინდა.  
იქაც თავის აღმართს შეუდგება,  
რასაც მსახურებდა აკვნიდან.

იმ დიდ საუფლოში გადასახლდა,  
ვისაც ეძიებდა, იპოვნის.  
წატკენ სულს მალამოდ დააფინა  
წმინდა, უცოდველი სტრიქონი.

თავი იცხონა და ალესრულა,  
მორჩილად გაუყვა გზასამართალს.  
წავიდა, პოეტი თადეოზი,  
მეუფე თადეოზი წაბრძანდა.

2015

## სიონის პაზრობა

„დამისხი, ფშავლის დედაკაცო,  
შენი არაყი.“

ძესიკ ხარანაული

აბა, უფასოდ, ჭიქა არაყს ვიღა დაგისხამს,  
ვინ მოგიქარგავს ღიმილის მაქმანს.

კარგა ხანია აჰყვა ფეხისხმას –  
ევროპის გზები აქაურმა დიაცმაც დაქნა.

გულგაწვრილებულს თვალი გზისკენ გაუშტერდება,  
მატყლის გვირგვინში ჩამდგარ საჩეჩელს,  
ამ სინამდვილეს,  
დედაბოძად ნაკურთხ ბერდედას,  
უცხო სიზმრები გადაგაჩვევენ.

მთვრალი ლუხუმი, ფეხიფეხზე გადადებული,  
ცერად შეჰერებს სერიალის ვნებიან ხარჭას.  
ბინძურ დუქანში  
ზის „ელემით“ დაელმებული  
და დედაკაცის გამოგზავნილ ხელის ჭუჭყს ხარჯავს.

აჰერავს ალმური ტყეს – ხეიარას დალალებიანს,  
გაუტვრინდება შემოდგომის აჩახჩახებას,  
გავა ზაფხული.  
ეს დახლებიც ალაგდებიან  
და ყველაფერი წვიმებსა და ნისლებს დარჩებათ...

დამისხი! –  
აღარც გვიანია,  
აღარც ადრეა,  
გაალიკლიცე  
– კაცის თვალი, იცი, ხარბია,  
ოღონდ მითხარი,  
ღვთის წყრომაა თუ ღვთის მადლია –  
ღრუბლები მაინც საით გარბიან?

2011

- 14 -

„აზადი“, 2016, 7

**1991**

მახსოვეს ოცდაერთის ლამე,  
ცივი დეკემბერის სუნთქვა,  
როგორც ინფარქტიან გულის  
ხელი მიტანილი გულთან.

მალე დაეთმობა სცენა  
ტყვიის სერპანტინის ჭახჭახს,  
მხოლოდ რეჟისორი არ ჩანს –  
ვინც ეს ტრაგედია დადგა.

მორჩა, საქართველო „დადგა“,  
მორჩა, „მოხსნილია ბანკი“.  
ხალხი გატუტუცდა აბდალ,  
მხატვარ კიტოვანის ჯანყით.

კალის თოჯინების ამქარს  
ვიღაც უხილავი მართავს.

სისხლში შეღებილი თოვა,  
ბოლმით დაკოდილი ბუღა –  
ბოლოს პანაშვიდზე მოვა,  
რა ქნას, პანაშვიდი უყვარს.

მახსოვეს კინის სახლთან ჯოგი  
(ახლაც ცოცხალია ზოგი).

მწერალ-ხელოვანთა გუნდი  
თანამგრძობელია ბუნტის.  
ბოლო საახალწლო დუბლი –  
დათვი ჩვენს იმედებს ბუბნის.

უკვე არაფერი არ ღირს,  
არ ღირს არც აკაკის ფურთხად.  
ხალხი? სადღა არის ხალხი –  
ლაფში გადაყრილი ხურდა.

რა ვქნათ, ასე არის, პიპა,  
ჩვენ თავს ჩვენი ხელით ვთიბავთ...

მახსოვს, იმ დეკემბრის ელდა  
(ახლაც ნაცარტუტი მთუთქავს) –  
როგორც ინფარქტიან დედის  
ხელი მიტანილი გულთან.

2011

\*\*\*

შვილები თბილისში,  
პირისპირ – მე და შენ.  
წურავს შემოდგომა  
სიბერის ზედაშეს.

დაგროვდა ქილები,  
ბოთლები, ვალები,  
შინიდან მაცილებ  
გაბუტულ თვალებით.

უცოდველ სტრიქონებს  
გუძახი – მომკალით!  
კვლავ წვეთავს ღამეში  
მოშლილი ონგანი.

კართან მათხოვრები,  
ფანჯრებთან ნისლები.  
ჩვენ ვართ სასმისები –  
თანდათან ვიცლებით.

ილბალზე გამწყრალი,  
ბებრები, ავები,  
მოფრინდნენ, ჩამოსხდნენ,  
ნაცნობი ყვავები.

- 16 -

„არავანა“, 2016, 7

ის დრო გვენატრება –  
წლების წინ, შვილები,  
შუაში რომ გვინვნენ  
უმწეო, ჩვილები.

სიზმრებმა აგიკლეს  
და ელდა გალვიძებს.  
უპესთან ცრემლების  
მდუღარე ჩაგირბენს.

ყურმილი.  
ზუმერი  
ჯავრს მიაჩიქჩიქებს:  
„სინათლე გამორთეთ,  
ან გაზი არ დაგრჩეთ!“

დილამდე იწვიმა,  
იზავთა, იქროლა –  
ქუჩაში წუწუნით  
ურიკა მიგორავს.

გაფურინდნენ ყვავები,  
ჩამოდნენ ნისლები,  
პარპალებს სანთელი –  
გათენდა ღვთის ნებით.

დოროს გავუბრაზდები,  
ასე რად გარეკა,  
და ფურცელს ყურივით  
ავუწევ კალენდარს...

წიგნებს ჩამოვართმევ  
დაზურგულ ეტაჟერს.  
შვილები – თბილისში,  
პირისპირ – მე და შენ.

2014

- 17 -

„აზადი“, 2016, 7

\*\*\*

ქალი, რომელიც სულ გელოდება,  
ფლოსტის წევაპუნით, უხმო ჩურჩულით,  
ზოგჯერ ვეფხვია,  
ზოგჯერ უმწეო,  
ბარტყია მკლავქვეშ შემოყუჟული.

მისი ხელები შენკენ მორბიან,  
გზას ულობავენ ქარს და ქარაშოტს,  
ერთი თეატრის მსახიობია –  
ბედნიერებას შენთვის თამაშობს.

იმასაც შეძლებს, რაც ვერ ინატრე,  
და გააღვივებს ჩამქრალ იმედებს,  
შენი ლირსების ციხე-სიმაგრეს  
დალატისათვის ვერ გაიმეტებს.

სან ფეხაკრეფით უკან მოგდევდა,  
სან მოთმინების ფრთებით იფრინა,  
ქალი, რომელიც სულ გელოდება,  
თეთრ ლამეებში ჩამოითროთვილა.

ცხადშიც, სიზმარშიც უნდა ღელავდეს,  
სასოწარკვეთის ფრთების სავსავით,  
თუ აგვიანებ, გათენებამდე  
ფანჯრებს აწყდება ფარვანასავით.

ზოგჯერ მახვილსაც გააელვარებს  
(ერთი ხარ მისთვის და შეუცვლელი) –  
ალბათ, ამიტომ, ზოგჯერ მთვლემარე  
იღვიძებს ეჭვი – ფიცხი ძუ მგელი.

მაგრამ ფიქრებში მოდებულ ხანძარს  
მალე ჩააქრობს ცრემლი დუბელა,  
და უნებლიერ უთოთი დამწვარ  
ხელივით ცხელ გულს სულს შეუბერავს.

ფართვატებს, როგორც სანთელი ქარში,  
ძილგატეხილი, ფიქრით დაღლილი,  
მაინც იალაპს, ბრმა ბედისწერაშ  
რომ არ წაართვას იღბალს აღვირი.

რაღაც მთავრდება და ბოლოვდება —  
ბედნიერება რამდენ ხანს გასტანს —  
მხოლოდ ის ერთი დაგელოდება,

სასთუმალთან თუ საფლავის ქვასთან.  
რომ მიაღწიო ნაპირს უვნებლად,  
მიგიძლვის თეთრი აფრის ფრიალით,  
ზოგჯერ შვებაა ეს ერთგულება,  
ზოგჯერ ტანჯვა და სასჯელი არის.

და გელოდება —  
ქალი სარკმელთან,  
სიხარულის და დარდის აუზთან,  
ადრე თუ გვიან ისიც ჩაჭკნება,  
თუ სიყვარულის წყალს არ დაუსხამ.

2014

## ვერეიდანი

„ლმერთს ებარებოდე!“ - ასე გამომეთხოვა  
ერთხელ ფერეიდნელი სტუმარი.

პირსისხლიანო ირანის ლომო,  
წარსულში, დღესაც  
ჩემს ჯილაგთან ომობდი,  
ომობ.

საფლავშიც, დიდი მტაცებელის  
უინით, უქრობით,  
მომავლიდანაც შენ მემუქრები.

ბევრი ვიბრძოლეთ, ვჩეხეთ, ვიდავეთ,  
მარბიელები ჩემს სისხლზე და ჯიშზე დაგეშე.  
ირანს გზები და ბილიკები ფერეიდნამდე  
ტყვეების ცრემლით შემოაკემსე.

შენს გულის შხამში შევაცურე ბევრჯერ მახვილი,  
ფიქრებში ბევრჯერ გამოგდადრე ყელი ძალლივით.

მაგრამ დღეს, როცა უბედური ჩემი სამშობლო  
ლამის შარაგზის კახბად აქცონ,  
არ შემიძლია შენს ნამოქმედარს  
მართალი სიტყვაც არ შევაწიო.

ნამცეცა წვეთში, ვიცი, ვრცელი ზღვა ირეკლება –  
როცა აშმორდა, გადაიქცა წუმპედ სილადე,  
კამკამა წვეთი (უნებლიერ), ჩემი ქვეყნისა,  
ფერეიდანით შემოგვინახე.

ფერეიდანი, ფერეიდანი,  
ჩემი წარსულის ცხადი სიზმარი –

ჩვენ მხოლოდ ასე უნდა გველოცა.  
ერთმანეთს მხოლოდ ასე ვშველოდით.  
ასე ფიქრობდნენ საქართველოზე,  
ასე უყვარდათ საქართველოში...

\*\*\*

თოვდა. თოვდა. ლიხს აქეთ და,  
ლიხს იქითაც თოვდა, თოვდა.  
თოვდა წრომთან, თოვდა შოვთან,  
შროშასთან ხომ თოვდა, თოვდა.

მოდიოდა სპა დავითის,  
ქარბუქების წყვეტდა გორგალს.  
შავი ცხენი, დარახტული,  
ყინვას ხვრებდა, თოვლსა ძოვდა.

ყველა ტაძრის დედო-ზარი  
მოლოდინით გაირინდა.  
ლმერთო, ჩვენი ბედ-ილბალის  
რა ბრწყინვალე დარი იდგა –

თოვდა. თოვდა.  
მახარობლად  
მალემსრბოლი მიმოქროდა.  
მამრიყიდან მაღრიბამდე  
გული საგულეში გქონდა...

მერამდენე საუკუნე  
ელოდება უფლის ნებას –  
ლიხი – საქართველოს მაჯა –  
დავითის ხმლის გაბრწყინებას.

თოვდა. თოვდა.

2016

## თადორე

ახალი ცხირეთი აბოდებთ, თედორე,  
გარეშე მტერსა და  
შინაურ მედროვეს.

მათ ცოდვილ ხელებში  
სანთლებიც ქრებიან –  
ვისა მსახურებენ,  
ვის მოუძღვებიან.

ცოდვაში ნუ გამრევ,  
ჯოჯოხეთს ნუ მიმცემ –  
იქ, სადაც ეგ შენი  
ერთგული გული ცემს,

ღალატის სუნი მცემს!  
ღალატის სუნი მცემს!

2016

- 21 -

„აზადი“, 2016, 7

# ��როზი

## დიმიტრი ლოპჯანიძე

დიმიტრი ლოპჯანიძემ კარგა ხანია, რაც თავისი გამორჩეული ადგილი დამკვიდრა ქართულ მწერლობაში. მისმა „უნივერსიტეტელმა“ თანაურს ულმა, თავადაც შესანიშნავმა მწერალმა და პუბლიცისტმა, გიზო ზარნაძემ ჯერ კიდევ როდის უთხრა მე-გობარს: შენს გვერდში დგომა არ არის იოლი, რადგან საკუთარი სიმაღლის ჩრდილი ნაბადვით გფარავსო და, მართლაც, ამ ზომაზე მეტად მორიცებული, უთქმელი, დინჯი, მომთმენ-დამთმობი, გულისხმიერი, ზეცეპილი ადამიანის ორიგინალური ფაბულით, ენერგიული რიტმითა და ქართულ ხასიათით გამორჩეული შემოქმედება — მოთხრობების, ლექსების, ჰეროიკული პიესების, მემუარული ნოველების, მძაფრსიულებისანი დეტექტივების, ლექსიკოლოგიური ჩანახატების, პუბლიცისტური თუ ქურნალისტური წერილების კრებულები სწორედაც რომ მისი სიმაღლის ჩრდილში იშვა და მუდამ ჩვენს ეროვნულ ფასულობებს, ტრადიციებს, ჩვეულებებს დაპჰოფინებს.



## პლევა სიძულვილისა

### ძველისძველი ამბის დახასრული

ვახშმობის შემდეგ დაცვამ პატიმრები საკნებში ჩამოარიგა, გარედან კარები ჩაკეტა და ლამეულმა სიჩუმემ დაისადგურა.

დაძინება ჯერ ადრე იყო. ერთ-ერთ საკანში ნარჩე წამონოლილი სამი პატიმარი თავთავიანთ ფიქრებს მისცემოდა.

დუმილი კარგა ხანს რომ გაგრძელდა, ერთ-ერთმა იკითხა:

— რა ვქნათ, არ დავიძინოთ?

— რავი, მე არ მეძინება და თქვენ თუ გინდათ, დაიძინეთ, — გამოეპასუხა ასაკით ყველაზე უფროსი და ჭერს ისე ახედა, თითქოს, პასუხს იქიდან ელოდა.

— არც მე მეძინება, მარა ამ დასაწვავ კარგამოკეტილ საკანში სხვა რა უნდა გავაკეთოთ? — მიუგო გვერდით წამონოლილმა ამხანაგმა და მერე დასძინა, — მოვყვეთ რამე საინტერესო ამბავი, რაც

თავს გადაგვხდენია ან სხვებისგან გვსმენია, ამასობაში ჩაგვეძინება კიდეც.

— წელიწადზე მეტია, რაც ვირთხებივით ვყრივართ ამ ცხრაკლიტულში გამომწყვდეული და თუ რამე გვქონდა სათქმელი, ასე მგონია, ერთმანეთს უკვე ყველაფერი ვუამბეთ, მარა თუ ვინმეს კიდევ დარჩა რამე მოსაყოლი, მოგვითხოოს, ბატონო, და სიამოვნებით დავუგდებთ ყურს, — უთხრა იმ ორს მესამემ, რომელსაც ცალი წარპი თეთრი ჰქონდა, რის გამოც კოლონიაში ყველანი მეტსახელად „წარპას“ ეძახდნენ.

ერთხანს არავინ გამოპასუხებია. ეტყობა, არც ერთი არ იყო ამის გუნებაზე, მაგრამ ბოლოს იმ ორისთვის მოულოდნელად მესამემ თქვა:

— ჯერ თუ არ გეძინებათ, ერთი ძველი ამბავი გამახსენდა და იმას მოგიყვებით. არ ვიცი, მოგენონებათ თუ არა.

— გვიამბე და მერე გეტყვით, მოგვეწონა თუ არა, — უთხრა გვერდით წარზე წამოწოლილმა წარპამ.

— იმ მეორეს თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ თავის დაქნევით დაეთანხმა, მოყევი, რის მოყოლასაც აპირებო.

— იმანაც, ვინც ამბის მოყოლას აპირებდა, დაუყოვნებლივ წამოიწყო:

— შაჰ-აბასმა საქართველოში ერთ-ერთი მორიგი ლაშქობისას, მართალია, კახეთი ვერც დაიპყრო და ვერც დაიმორჩილა, მარა გვარიანად ააოხრა.

გულში უკმაყოფილო იყო, ჯავრი ისე რომ ვერ იყარა, როგორც ენადა და ახალი დარბევისთვის ემზადებოდა. ამ დროს, სპარსეთიდან რომელიღაც სახანოს განდგომისა ამბავი მოუვიდა.

ამის გაგონებაზე ლამის იყო, ფილენჯიანივით დამბლა დაეცა და დაიკრუნჩხა. შეეშინდა, ტახტი არავინ წამართვასო და ლაშქართან ერთად დაუყოვნებლივ თავისი ქეყნისკენ გაბრუნდა, მანამდე კი მურად-ხანს უბრძანა, კახეთში წაძარცვი განძეულობა უვნებლად ჩაეტანა ისპაპანში.

მურად-ხანის მეთაურობით სამშობლოში მიმავალ სპარსელებს შუალამისას, ვაშლოვანის ტყესთან კახელთა მოზრდილი რაზმი დაესხა თავს. სპარსელები ლამის ერთიანად ამოხოცეს, ნადავლით დატვირთული აღალი ხელთ იგდეს და გაუჩინარდნენ.

გაცხარებული სამკვდრო-სასიცოკხლო შეტაკებისას ჯორზე გადამჯდარმა ერთმა სპარსელმა მეომარმა იფიქრა, მე პატარა კაცი

ვარ, ბრძოლაში გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით, პირადად მე ვერავითარ ხეირს ვერ ვნახავ. აქ რომ მოვცვდე, ამისთვის არც არა-ვინ მეტყვის მადლობას და არც არავინ გამიხსენებს. ამიტომ სანამ გიაურთა ხმლის წერა არ გავმხდარვარ, აჯობებს, განძით დატ-ვირთული ჯორით აქაურობას დროულად გავეცალო და ეს ოქრო-ვერცხლი ჩემს თავს მოვახმაროო.

ასეც მოიქცა. ღამის წყვდიადი იფარა, ჯორს გავაზე სახრე ზე-დიზედ გადაუჭირა და დაუყოვნებლივ განერიდა ბრძოლის ველს, სადაც საშინელი სიკვდილის კალო ტრიალებდა.

ჯორის ალლოს მინდობილმა გათენებამდე ისე იარა, წამითაც არ უფიქრია, სად იყო და საით მიდიოდა, ოღონდ, სისხლისმღვრელ შეტაკებას როგორმე უვნებლად გარიდებოდა და სულ არ ედარდე-ბოდა, სად აღმოჩნდებოდა. დარწმუნებული იყო, ამაზე უარეს ჯო-ჯოხეთში არამც და არამც ვერ მოხვდებოდა.

უგზო-უკვლოდ მიმავალმა დილით ერთ, სიცხისგან გადახრუ-კულ, ნახევრად უდაბნო მინდორზე ჯორი თავის ნებაზე მიუშვა, სადაც ალაპის წყალობით ეს პატივცემული პირუტყვი მიმიყვანს, ჩემი ბედი ის იქნება და უფალს ათასს ლოცვას ალვუკლენ, რომ იმ საშინელ სისხლისღვრას ცოცხალი და უვნებელი გადავურჩიო.

მთხოვნელი მოულოდნებელად გაჩუმდა.

ერთხანს ხმა არავის ამოულია. ბოლოს ვიღაცამ იკითხა:

— მერე იმ სპარსელს რა დაემართა?

— როგორც გადმოცემა ამბობს, იმ ჯორზე განძაკიდებულმა მეომარმა თავისი იორდა სახედრის წყალობით, უვნებლად გა-დაიარა ის ნახევრად უდაბნო მინდორი და ბოლოს ოდესლაც მი-ნისძვრისაგან, თითქმის, მთლად დანგრეულ ნასოფლარს მიადგა.

ამის დანახვაზე დიდად გაიხარა ჯოროსანმა გადამთიელმა და უმალ ეს გაიფიქრა:

„თუ ამ ნასოფლარში ვინმე ძე-სულიერი შემორჩა, მივალ და ვთხოვ, ღამე გამათენებინოს. ვეტყვი, შორი გზიდან მოვდივარ, დალლილ-დაქანცული მგზავრი ვარ, იქნებ, ამაღამ შემიფაროთ და დამაპუროთ კიდეც მშიერ-მწყურვალი და რასაც მომთხოვთ, აუ-ცილებლად გადაგიხდით, ხვალ დილით კი ჩემი გზით წავალ, თქვენ კი უფალმა ასმაგად მოგაგოთ გაწეული სიკეთის სამაგიერო-მეთქი“.

„ჩემი გზით წავალ“, ამ აზრმა ერთი წამით კი გაუელვა თავში, მაგრამ თუ ვინმე შეიფარებდა და ეტყოდა, ერთი დღე კი არა, თუ

გნებავს, სამუდამოდ აქ დარჩიო, ისე მოეწონა ეს ადგილი, იქიდან თავის დღეში ფეხს არ მოიცლიდა.

ამგვარ ფიქრებში გართულმა ერთ, ასე თუ ისე, თითქმის უნებლად გადარჩენილი ქოხისკენ გასწია. ეზოში შევიდა, ჯორიდან ჩამოხდა. სახედარი ხეზე მიაპა, თვითონ კიბეზე ავიდა და კარზე რამდენჯერმე დააკაკუნა. იქიდან რომ არავინ გამოეხმაურა, კარს ნელა მიაწვა, შეაღო და ზღრუბლს რომ გადააბიჯა, იკითხა:

— არის აქ ვინგე? — პასუხი რომ ვერ მიიღო, მეორე ოთახში შევიდა, მაგრამ იქაც არავინ აღმოჩნდა.

სახლში რომ ვერავინ ნახა, ნასოფლარი მოიარა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აქაურობა მის ბინადართ დიდი ხნის წინათ მიეტოვებინათ და რომელ სახლშიც არ უნდა შესულიყო, მოდავე არავინ ეყოლებოდა.

„ნეტა შორს რატომ უნდა წავიდე, ქვეყანა რომ მოვიარო, ამაზე მყუდრო და უშიშარ ადგილს ვერსად ვიპოვი. მიწა დიდებული ჩანს, ხელს თუ გავანძრევ, არაფერი გამიჭირდება. რაც შეეხება მარტოობას, ამასაც როგორმე მოევლება. გურჯები კეთილი ხალხია, მათი ენაც სპარსულზე ნაკლებად არ ვიცი და თავს როგორმე გავიტან“.

ასე გაიჩინა ჭერი. წვიმა არ აწებდა, მზე არ წვავდა და სანამ ალაპს ნებავდა, მშვიდად და უვნებელად იცხოვრობდა.

როგორც გადმოცემა ამბობს, ის სპარსი საკმაოდ წინდახედული კაცი აღმოჩნდა. განძის ერთი ნაწილი, რაც საარსებოდ ეყოფოდა, ცალკე გადადო და სამალავში შეინახა, დანარჩენი კი მიწისძვრისაგან დანგრეულ სახლში ერთი დიდი თიხის ქოთანი რომ იპოვა, იმაში ჩაალაგა, მერე თავი კირის ხსნარით საგულდაგულოდ გადაუგლისა და ეზოში ისე ჩაფლა, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

— ბოლოს რა ბედი ეწია იმ ოქრო-ვერცხლს, თუ რაღაც განძს? — იკითხა წარბამ, რომელიც გულისყურით უსმენდა.

— ამაზე არაფერს ამბობს ლეგნდა. ისე კი, იმ დროს, ალბათ, იმ უდაბნოსთან ახლომახლო სოფლებიც იქნებოდა და თუ იმ განძს ვინმე იპოვიდა, როგორც მოეგუნებოდა, ისე მოიხმარდა, — მიუგო მთხრობელმა.

— მოვრჩეთ ახლა მარჩიელობას, რაში გვენაღლება, ვიღაც სპარსი ნაძარცვ იქრო-ვერცხლს როგორ მოიხმარდა ან რამდენ ხანს იცოცხლებდა. მე თუ მკითხავთ, ამას ჯობია, იმაზე ვიფიქროთ, რო-

გორ დავალნიოთ თავი ამ დაწყევლილ საპყრობილეს, — უთხრა ამ-სანაგებს სამიდან ასაკით ყველაზე უფროსმა და პასუხს დაელოდა.

კარგა ხანს გაჩუმებულები იყვნენ, ბოლოს წარბას რომ ეძახდნენ, იმან თანასაკანელებს თავისი მოსაზრება გაუზიარა:

— როგორ დავალნიოთ და გავიქცეთ აქედან.

— მერე როგორ, ფრთები ჩვენ არ გვაქვს, უამისოდ კი აქედან ძე-სულიერი თავს ვერ დააღწევს, — ყველა გზა მოუჭრა ამხანაგმა.

— საქმე არც მთლად ასე უიმედოდაა. ფრთები არც სხვებს ჰქონიათ, მარა გასულან ციხიდან.

— რანაირად?

— თუნდაც, გვირაბის გათხრით.

— ჰომ, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა იმან, სპარსელის ამბავს რომ ჰყვებოდა და დასძინა, — ეგ ძნელი გასაკეთებელი საქმეა, მარა შეუძლებელი არაა.

— ჰოდა, მე თუ მკითხავთ, ცუდი არ იქნება, თუ ყველანი ვიფიქრებთ ამაზე, — მოუგო მეგობრებს წარბამ...

ამ საუბრიდან თითქმის ექვსმა თვემ გაიარა.

ერთ დილას, როცა პატიმრები ჰაერზე გაჰყავდათ, საკანი, რომელშიც წარბა და მისი ამხანაგები ისხდნენ, ცარიელი აღმოჩნდა.

ამ ამბავმა მინაგან საქმეთა სამინისტროში ერთი აურზაური გამოიწვია, მთელ ქვეყანაში გაქცეულების ძებნა გამოცხადდა და იმის კვლევა-ძებაც დაიწყეს, როგორ და რა გზით შეიძლებოდა, პატიმრებს, ჯერ საკანი, მერე კი ციხის ტერიტორია ისე დაეტოვებინათ, რომ ეს არავის შეენიშნა.

ჩვეულებრივ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, დანაშაული პატარა კაცს ბრალდება და ჯოხიც მის კისერზე ტყდება. ამჯერადაც სწორედ ასე მოხდა: იმ დამეს მორიგე დაცვის სამი წევრი, უმცროსი ლეიტენანტი გურამ ზაუტიძე და სათვალთვალო კოშკურაზე მდგომი რიგითი ზედამხედველები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი გულგრილობისა და დაბალი პროფესიონალიზმისათვის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დაითხოვეს.

ცხადია, სამსახურიდან დათხოვნილებმა ამაზე სიტყვიერი პროტესტი გამოხატეს, მაგრამ ციხის უფროსმა მშვიდად მოისმინა მათი საჩივარი და უთხრა:

— უმადურობაც სწორედ ამას ჰქვია. იმის ნაცვლად, მადლობელი იყოთ, რომ არ გიჭერთ, კიდევ აქეთ გვსაყვედურობთ, სამსახურიდან რატომ დაგვითხოვთ?

— თქვენი ეგრეთ წოდებული სულგრძელობა ჩემთვის ციხეც არის და, იქნებ, სასიკვდილო განაჩენიც, — მიუგო ციხის უფროსს გურამ ზაუტიძემ, — რა ვუთხრა უმუშევრად დარჩენილმა მოხუც დედას, მეუღლეს, სამ პატარა შვილს, ერთს, მეორეს თუ მეხუთეს. როგორ დავაპურო, საჭმელს რომ მომთხოვენ. ამ ჩემს ამხანაგებსაც ოჯახები ჰყავთ, რა უნდა ქნან, ქუჩაში რომ აგდებთ.

— ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ და ცოტა უფრო ფხიზლად ყოფილიყავით, — დაუბრუნა პასუხი უფროსმა და სამივენი ცივად გაისტუმრა კაბინეტიდან.



მხატვარი – ლელა ფერაძე

\*\*\*

სამსახურიდან დათხოვნილი გურამ ზაუტიძე, თითქოს, საქვეყნოდ თავის მოსაქრელი საქციელი ჩაედინოს, ერთხანს სახლში იჯდა კარგამოკეტილი და გარეთ იშვიათად გამოდიოდა. ათასში ერთხელ თუ ჩავიდოდა ეზოში, ისიც მაშინ, როცა იქ არავინ იყო.

დედა და მეულე დღე და ლამე ეხვეწებოდნენ, რა მოგივიდა, ასეთ დღეში მარტო შენ ხომ არა ხარ, სამსახურიდან ვინ არ დაუთხოვიათ, ნახევარი საქართველო უმუშევარია, მარა ამას შენ-სავით არავინ განიცდისო. ასეთი შეგონებებით ცდილობდნენ, როგორმე გამოეყვანათ ღრმა დეპრესიიდან, მაგრამ მასზე არაფერი სჭრიდა.

ერთ დღეს დიდი ხნის უნახავი ბავშვობის მეგობარი ანზორ ბი-კაშვილი ეწვია. ტკბილად ისაუბრეს, წარსული მოიგონეს და ათასი რამე გაიხსენეს. ბოლოს სტუმარმა უთხრა გურამს:

— ხირსაში ვენახები შევიძინე, ღვინის ქარხანაც ავაშენე, ერთ-გული მეგობარი მჭირდება. წამოდი ჩემთან, პოლიციაში ნამუშევარი კაცი ხარ და დაცვა ჩაიბარე. კარგად ვიცნობთ და ვენდობით ერთმანეთს. საქმე ცუდად არ მიმდის და თუ რამე სიძნელეს წავა-ნყდებით, ორივენი უფრო ადვილად გადავლახავთ, დამიჯერე, არა-ფერი გაგვიჭირდება...

\*\*\*

ხუთი წელი გასულიყო იმ დღიდან, რაც ანზორ ბიკაშვილი თავის მეგობარს ეწვია. ღვთის წყალობით, ეს წლები ორივესთვის მეტად წარმატებული აღმოჩნდა და მეგობრები დიდად უმადლოდნენ ერთ-მანეთს.

იმ წლის შემოდგომასაც ვერც ერთი ხირსელი მევნენახე ვერ დაემდეურებოდა. თითქოს, ცა და დედამიწა შეთანხმდნენო, წვიმა ვენახს სწორედ მაშინ არწყლულებდა, როცა სჭირდებოდა, დიდე-ბული კახური მზეც იმ დროს დაპლუოდა სიმწიფეში შესულ მტევ-ნებს, როცა სითბოსა და მხურვალებას ნატრობდა.

ანზორ ბიკაშვილს სხვებზე უკეთესად თუ არა, არავისზე ნაკლე-ბად მოვლილი ვენახი არ ჰქონდა. ამიტომაც არც ცის და არც მიწის სამდურავი ეთქმოდა.

მოსავლის აღების შემდეგ, მეგობრები დღე და ლამე ქარხანაში ტრიალებდნენ. თეთრ და წითელ ღვინოს ბოთლებში ასხამდნენ და

საზღვარგარეთ, ევროპასა და ოკეანეს გალმა გასაგზავნად ამზა-  
დებული დაბინავებული ჰქონდათ და შე-

დეგებითაც ორივენი კმაყოფილი იყვნენ, განსაკუთრებით კი —  
ანზორ ბიკაშვილი. მას არაერთხელ უთქვამს მეგობრისთვის, დი-  
დებული ფეხი გქონია ძმაო, რაც შენ მოხვედი, მას მერე ჩემს ბიზ-  
ნესს წინვლა არ მოკლებია.

არც გურამი იყო ბედის უკმაყოფილო. ის კი არადა, ათას მად-  
ლობას სწირავდა უფალს, რომ ამ ხუთი წლის წინათ ანზორ ბი-  
კაშვილი მხსნელად მოუკლინა მას და მის ოჯახს.

ერთ კვირა დღეს ანზორმა სანადიროდ წასვლა შესთავაზა თავის  
მეგობარს.

— რთველი წარმატებით ჩავათავეთ და ნამდვილად არ გვა-  
წყენდა ერთი-ორი დღით დასვენება და სანადიროდ გავლა. დიდე-  
ბული რამეა გარეული ღორის მწვადები. ერთ-ორი კაციც შევიამხა-  
ნაგოთ და წავინადიროთ ვაშლოვანის ტყეში. ამბობენ, იქ გარეული  
ღორები ძალიან მომრავლდებონ.

გურამის უარი არ უთქვამს და კვირის ბოლოს, გათენებისას, ან-  
ზორთან და მის ორ ამხანაგთან ერთად უკვე ვაშლოვანის ტყეში იყო.

მონადირეებმა ერთხანს ერთად იარეს, მერე წაშუადლევს სხვა-  
დასხვა მიმართულებით გაიფანტენენ, თუმცა, სანამ ერთმანეთს  
დასცილდებოდნენ, ანზორმა ყოველ შემთხვევაში ყველას შეახსენა,  
ერთიმეორესთან კავშირი გვქონდეს და მზის ჩასვლისას ამ ად-  
გილას შევიკრიბოთო.

გურამი და ანზორი ამ მხარეში სანადიროდ ერთი-ორი წლის  
წინათაც იყვნენ ნამყოფი. ამიტომ ანზორი დარწმუნებული იყო, რომ  
გურამის გზა არ აერეოდა. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი ადგი-  
ლობრივი მცხოვრებლები იყვნენ და ამ ტყის ასავალ-დასავალი ისე  
კარგად იცოდნენ, რომელიმესთვის თვალი რომ აეხვიათ, გზის  
გაგნება მაშინაც არ გაუჭირდებოდა.

ამხანაგებს ჩამოცილებულმა გურამმა შუადლებდე ისე იარა,  
ფრინველების გარდა, ნადირს წამლადაც არსად წასწყდომია. ბო-  
ლოს ხეტიალი მობეზრდა და თავშეყრის ადგილისკენ გამობრუნე-  
ბას რომ აპირებდა, მოულოდნელად უზარმაზარი ტახი წამოხტა.  
ძველი პოლიციელი არ დაბნეულა, უმაღ თოფი შემართა და გაქ-  
ცეულს ზედიზედ ესროლა. ცხოველმა რამდენიმე მეტრი გაირბინა  
და ჩაიჩიქა. დარწმუნებული იყო, რომ ტახი სასიკვდილოდ იყო და-

ჭრილი და ველარსად გაქეცეოდა, მაგრამ მისკენ ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ადამიანის დანახვაზე ცხოველმა საფრთხე იგრძნო, უმაღლ ფეხზე წამოიჭრა და ტყეში გაუჩინარდა.

მონადირეც ფეხდაფეს მიჰყვა.

„ტყვია ტანში გაქვს და რამდენიც უნდა ირპინო, ვერსად წამიხ-ვალ!“ — დაემუქრა გუნებაში მონადირე და აზარტში შესულმა დევ-ნა განაგრძო.

არ გაუგია, რამდენ ხანს სდია. ტყე თითქმის გაილია, მაგრამ ტახი ვერსად დალანდა, თითქოს, ცას ჩაეყლაპა თუ მიწას. არადა, მისი სისხლიანი ნაკვალევი წინ მიუძლოდა. ასე დევნაში დღეც მიი-წურა და აზარტში შესული მონადირე სრულიად მოულოდნელად სილიან უდაბოში ალმოჩნდა, სადაც აქა-იქ აშკარად ჩანდა წყვილ-ჩლიქიანი ცხოველების კვალი. იმდი ჰქონდა, სისხლისგან დაცლი-ლი ტახი სირპილს დიდხანს ველარ შეძლებდა, სადმე უთუოდ წამოე-წეოდა და ამხანაგების წინაშე თავს მოიწონებდა, მაგრამ ნაკვა-ლევი მინდვრის კიდესთან შეწყდა და ტყით დაბურულ ციცაბო, ღრმა და ბნელ ხევში ჩაიკარგა.

გურამმა ერთი პირობა ხევში ჩასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა: ეს უაზროდ და უშედეგოდ მოეჩვენა.

„ხევი ისეთი ღრმა და ბნელია, საეჭვოა, დღისითაც კი რამე დაი-ნახო. ამას ჯობია, უკან გავპრუნდე ამხანაგებთან და ერთად მოვ-ძებნოთ დაჭრილი ტახი. ალბათ, უკვე მელოდებიან, უნდა ვიჩქარო, თორემ, აქამდე რომ აღარ გამოვჩნდი, შეშფოთდებიან. რა ვიცი, რას იფიქრებენ და ძებნას დამიწყებენ. ამასობაში გვარიანადაც მომშივდა, მომწყურდა კიდეც, მაგრამ აქ ვერც ვინმე დამაპურებს და ვერც წყალს დამალევინებს.“

დაღლილ-დაქანცული და მშიერ-მწყურვალი გზას გაუდგა ამხა-ნაგებთან შესახვედრად. მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ სულ უფ-რო უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც შეხვედრა დათქვეს. სილია-ნი უდაბნო კი, არადა არ ილეოდა. ერთი-ორჯერ საიდანლაც ძახილი მოესმა. „უკან დაბრუნება რომ დამაგვარდა, ალბათ, ამხანაგებმა, იფიქრეს, ხომ არათერი უჭირს და ჩემს კვალს გამოჰყენებს“ და თვითონაც ხმამაღლა შეეხმიანა:

— ანზორ, აქა ვარ, აქეთ წამოდით! — თან თოფი ზედიზედ დაცალა, სროლის ხმაზე უფრო ადვილად მომაგნებენო.

იმედი ჩაესახა, სადაცაა, შევხვდებით ერთმანეთს და შინ ყველა-ნი ერთად წავალთო, მაგრამ არავინ ჩანდა. მიუხედავად ამისა,

არც იმედს კარგავდა და არც სვლას ანელებდა. ამასობაში ჩამობ-ნელდა კიდეც. მთელი დღის ნახეტიალევი ძალიან დაიღალა და სუ-ლის მოსათქმელად ტყისპირას, ვინ იცის, ვის მიერ და როდის მო-ჭრილ ხის მორზე ჩამოვდა.

ამხანაგების მოლოდინში არც გაუგია, თვლემა როგორ მოერია, ფშვინვა ამოუშვა და ძირს მინებდა. არც კი იცოდა, რამდენ ხანს იყო ასე მიგდებული, რომ ძილ-ბურანში სულ ახლოდან ვიღაცის ხმა ჩაესმა და იმან გამოაღვიდა.

თვალები გაახილა და გახარებულმა გაიფიქრა, როგორც იქნა, ამხანაგებმა მომაგნესო. ფეხზე წამოდგა და მეგოპრებისთვის ხმა რომ მიეწვდინა, რაც შეიძლება, ხმამალლა გასძახა სიბრელეში:

— ანზორ, თამაზ, შოთა, აქა ვარ, აქეთ წამოდით! — მაგრამ, როცა არავინ გამოჩნდა და არც არავინ გამოეპასუხა, ეჭვი შეეპა-რა, მოჩვენებები ხომ არ დამეწყო. ამ უსიამოვნო ფიქრის შემდეგ ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ ფეხის ხმა მოესმა, მერე კი ვიღაცა ხმამალლა შეეკითხა:

— ვის უხმობ, ვის გამოჩენას ელოდები ამ წყვდიად ღამეში?

— ამხანაგებს, რომლებსაც რამდენიმე საათის წინათ დავცილ-დი. აქ სხვას ვის უნდა ვუხმობდე! — აშკარა დაუფარავი წყენით მიუგო სიბრელეში მის შორიახლო ლანდად ასვეტილ უცნობს, თით-ქოს, მისი ბრალი ყოფილიყო, დაჭრილი ტახი რომ ხელიდან გაუს-ხლტა და მის დევნაში ამ მორიელებისა და გველების საბუდარში მოხვდა. მერე კი კითხვა კითხვითვე შეუბრუნა:

— შენ თვითონ ვინ ხარ, ეშმაკეული მოჩვენება თუ ნამდვილი ადამიანი?

— ეშმაკეული მოჩვენება რატომ უნდა ვიყო, — მშვიდად მიუგო უცნობმა, თუმცა, პასუხში აშკარად იგრძნობოდა უკმაყოფილება. ერთხანს იყუჩა და მერე დასძინა: — მეც შენსავით ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

მაპატიე, თუ რამე ისე ვერ ვთქვი, ეტყობა, საკუთარ თავზე გაბრაზებულმა სათქმელი ვერ მოვზომე... ვინც გინდა იყო, მე მაინც უზომოდ მადლობელი ვარ უფლის, შენთან რომ შემახვედრა, მარა ამ ღვთისგან მივინებულ წყეულ უდაბნოში, ასე ანაზდად საიდან გაჩნდი და ჩემთან რამ მოგიყვანა? განა, აქ ახლომახლო ვინმე ცხოვრობს?

— ახლომახლო არავინ, თუმცა, ორი-სამი კილომეტრის მოშო-რებით არის ერთი სოფელი.

- და შენც იქ ცხოვრობ?
- არა, მე აქ, უდაბნოში მარტო ვარ.
- მარტო?!
- ჰო, მარტო.
- დალოცვილო, ამ უკაცრიელ უდაბნოში მარტოს რა გინდა ან აქ რას აკეთებ?
- განდეგილი ვარ, მეუდაბნოე და ღმერთს ვემსახურები.
- ლვითისმსახურება თუ გინდოდა, ამ გადახრუულ მხარეს რომ არ გადმოხვეწილიყავი, ეკლესია-მონასტრების მეტი რა არის ჩვენს ქვეყანაში, ნასულიყავი და იქ გემსახურა ყოვლისშემძლე შემოქმედისთვის, — უთხრა გურამმა.
- რა თქმა, უნდა, ასეც შეიძლებოდა, მაგრამ უფალმა სხვაგვარად ინება.
- კარგი ერთი. ვის რაში სჭირდება შენი ეს უცნაური ახირება. დღეს ყველა ხალხმრავალი სოფლისა და ქალაქისკენ მიიღტვის, იქ უკეთესი ცხოვრების პირობებიაო. შენ კი აქ, უდაბნოში დაყუდებულხარ და, გაიძახი, ღმერთს ვემსახურებიო! — საკმაოდ უხეშად მიუგო გურამმა და იქვე დასძინა, — ნუ მიწყენ და არა მგონია, გონივრული იყოს შენი საქციელი, თუმცა, მე რა შენი მსაჯული ვარ. ათი ათასჯერ მადლობელი ვარ, რომ ღმერთმა შენი თავი მომივლინა და გველებთან და მორიელებთან არ მომინია ლამის გათენება, — მიუგო უცნობს, გულში კი თავისთვის გაიფიქრა:
- „ადამიანისას ვინ რას გაიგებს, როდის და როგორ გადაუბრუნდება გონება და რა უცნაურობებს მოიმოქმედებს. ან კი ვიცით, ვისი ცხოვრება რა საიდუმლოს ინახავს. ალბათ, ეგონა, მისთვის ასე აჯობებდა. ჰოდა, ადგა და შემოეხიზნა ამ საშინელ უდაბნოს.“
- მოვემვათ განსჯას! — რაღაცნაირად უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მეუდაბნოემ და დასძინა, — აკი უფალი გვირჩევს: „ნუ განსჯი, რამეთუ არ განისაჯონ“ და წინ გაუძლვა.
- ერთხანს ჩუმად იარეს. ბოლოს გურამმა ვეღარ მოითმინა და ჰეკითხა:

  - აქ, სადმე ახლოს მონასტერი ხომ არ არის?
  - არა.
  - აბა, შუქი რომ ანათებს, სოფლიდან მოდის?
  - არა, შუქი ჩემი სენაკიდან ანათებს. ღამით, როცა მცირე ხნით გარეთ გამოვდივარ, შუქს ვტოვებ. თუ ვინმეს ღამებნელში უდაბნოში გზა აეპნევა, ამ შუქისკენ წამოვა და ჩემს სენაკში უხი-

ფათოდ გაათეს დამეს. მგონია, უფალს ვემსახურები, თუ გასაჭირში ჩავარდნილს დახმარების ხელს გავუწვდი.

რაც შეეხება სოფელს, ჩემი სენაკიდან ორ-სამ კილომეტრში არის ერთი სოფელი და ღვთის წყალობით, იქაურები ხელსაც მიმართავენ. სენაკში მაღლე მივალთ და თვითონ ნახავ, ერთი ძველი ოროთახიანი ერთსართულიანი ქვითკირის შენობაა. ეტყობა, ადრე ციხე ყოფილა, მაგრამ მერე, ალბათ, დრომ და მტერის შემოსევებმა მოშალა. ის ახლა ჩემთვის საცხოვრებელი სახლიც არის და სამლოცველოც.

— ასე გვიან სად მიდობი?

— შენთან.

— ჩემთან?!

— ჰო, შენთან.

— როგორ... რატომ, ჩვენ ხომ ერთმანეთს არც კი ვიცნობთ. ესეც არ იყოს, რა იცოდი, სად ვიყავო.

— უფალმა ხომ იცოდა, რომ გიჭირდა და მიპრძანა დაეხმარეო.

— ხუმრობ, არა?!

— არა, სიმართლეს გეუბნები. მეძინა და რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა, მგონი, ვიღაცამ თოფიდან გაისროლა.

— მე ვისროლე, ბნელ ღამეში გზააპნეული ამხანაგებს ვუხმობდი.

— ჰოდა, გასროლის ხმამ გამომაღვიძა და მერე ვერა და ვერ დავიძინე. ვიფიქრე, უთუოდ ვიღაცა მშველელს უსმობს-მეთექი და აქეთ გამოვემურე. თუ უბრალოდ მომეჩვენა და არავის სჭირდება ჩემი დახმარება, ცოტას გავივლ-გამოვივლი და მუხლს გავმართავ-მეთექი. ამასობაში შენ წამოგაწყდი. ეს გინდ ახირებად ჩამითვალე და გინდაც — მოჩვენებად. მე კი ღვთის წყალობა მგონია.

„ტელეპატი ხომ არ არის?“

„ტელეპატი რა შუაშია.“

„აბა, როგორ მომაგნო?“

„რა, ასე ძნელი იყო შენი მიგნება. აკი, თოფი გაისროლე! ამ წყვდიად ღამეში გასროლის ხმა საკმაოდ შორს ისმის“.

„იცრუოს, თუ უნდა. არც მართლის თემაში ვაძლევ რამეს და არც სიცრუეში. ჩემთვის მთავარია, რომ უფალმა უდაბნოში ღამის გასათევი გამომიჩინა და იქნებ, იქნებ კი არა, აშკარა სიკვდილისგან მიხსნა!“ — გაიფიქრა გურამია და მოეჩვენა, რომ ამ კაცის ხმა, თითქოს, ადრე საღლაც სმენოდა, მაგრამ სად, ვერა და ვერ გაიხსე-

ნა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, ალბათ, მომელანდაო და უკან მიჰყვა უცნაურ მნიოს.

თავის მხრივ მეუდაბნოებ გაიფიქრა: „ღმერთო, რამდენი უბედური და ბედოვლათი ვყავართ ამ დალოცვილ ქვეყნის შემოქმედს. ლვთის განგებით, მე რომ შემთხვევით არ გადავყროდი ამ საცოდავს, შეიძლება, გველებს ან მორიელებს დაეგესლათ და უთუოდ დაიღუპებოდა. საკვირველია ან აქამდე როგორ მოაღწია ცოცხალმა. მარა, როგორც ჩანს, უფალი სწყალობს — განწირული არ ყოფილა.“

ამასობაში უდაბნო გაიარეს და ტყისპირა მინდორში ბილიკს დაადგნენ. ათ-თხუთმეტ წუთში განდევილის პინადქცეულ ძველ ნაციხარს უწიქს.

— აჲა, ეს არის ჩემი სახლიც და სამლოცველოც, — უთხრა სტუმარს მეუდაბნოვმა.

ოთახის შუაგულში ერთი მაგიდა იდგა, კედელთან კი — აქეთიქით ორი ძველი ხის ტახტი. ერთზე ლოგინი აულაგებელი იყო. ალბათ, სანამ ადგებოდა, იქ მეუდაბნოე ინვა, მეორე საწოლი ხელუხლებელი ჩანდა.

ამაში, ეტყობა, ჩემსავით გზააბნეულ, აქ შემთხვევით მოხვედრილ ადამიანებს აწვენს დროდადრო.“

— თავი სადაც უფრო მოხერხებულად იგრძნო, იქ დაჯექი. მოშებული იქნები და ახლავე გავახშემებ.

— ვახშამზე უარს ვერ ვიტყვი, მაგრამ შიმშილზე მეტად წყურვილი მახრიობს. შუადღის შემდეგ წვეთი წყალი არ დამილევა. დარწმუნებული ვარ, წყალი უთუოდ იქნება ახლომახლო, თორემ უიმისოდ აქ კაცს რა გააძლებინებს.

— არც შემცდარხარ. დიდებული ჭის წყალი მაქვს. ამ მხარეში ასეთ წყალს კაცი ვერსად იპოვის. მის წასალებად მეზობელი სოფლიდანაც კი მოდიან ჯორებით, გუდებს ავსებენ და მიაქვთ. ახლავე მოგართმევ და შენ თვითონ დარწმუნდები, — უთხრა მეუდაბნოემ. სურას ხელი წაავლო და სენაკიდან გავიდა.

მარტო დარჩენილმა ითახს თვალი მოავლო. მოლიცლიცე სანთლის შუქით განათებული კედლებიდან წმინდანთა ხატები ცოცხალი ადამიანებივით იცქირებოდნენ. ვერ ატანდა უდაბნოს სიცხეს, სადგომში კი საამოდ გრილოდა და ეს სიამოვნებდა. იმ არემარეზე, ალბათ, ერთადერთი ადგილი იყო, სადაც კაცს მშვიდად სუნთქვა შეეძლო.

მეუდაბნოებ წყალი შემოიტანა. სასმისი აავსო და სტუმარს გაუწიოდა.

გურამმა წყალი დალია და ბერს მიუგო:

— მართლაც, დიდებულია. ასეთი წყალი მთაში თუ დამილევია.

— ამ წყალს წუნი არ ეთქმის, მარა ადამიანი მხოლოდ წყლით ვერ დანაყრდება. სავახმმოდ ბევრი არაფერი გამაჩნია და რაც მაქვს, იმით გაგიმასპინძლდები. ამას წურც სიძუნწეში ჩამომართ-მევ და წურც დამძრახავ, — მოუბოდიშა და სენაკიდან გავიდა.

გურამმა თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „ამ კაცის ხმა წარბასას მა-გონებს, მაგრამ ამას თმაც, წვერიც და წარბებიც ერთიანად თეთრი აქვს და როგორ გინდა, გამოიცნო, თუმცა, რა ჩემი საქმეა, ვინ არის.“

„ვინც გინდა, ის იყოს, მარა საკითხავი ის არის, რამ აიძულა ეს კაცი ხალხს გასცლოდა და მარტოდმარტო აქ, ამ უკაცრიელ ად-გილას გადმოკარგულიყო.“

„ალბათ, რაიმე დანაშაული ჩაიდინა და ციხეში ჯდომას აქ ყოფნა არჩია.“

მეუდაბნოებ საკმაოდ უხვი სუფრა გააწყო, სტუმარი მაგიდასთან მიიწვია, თვითონ კი მოპირდაპირე მხარეს მიუკდა.

— მიირთვი და ნუ მიწყენ, რომ გულუხვად ვერ გიმასპინძლდები. ხვალ კი, იმედია, უფალი თავის წყალობას არ მოგვაკლებს და უკეთეს სუფრას გამაშლევინებს.

— უფალმა წყალობა ნუ მოგვაკლოს, ბერო, მაგრამ მე ასეთი სუფრითაც და შენი მზრუნველობითაც უზომიდ კმაყოფილი ვარ.

— ორ წელიწადზე მეტია, რაც არავინ მსტუმრებია. მეგონა, გა-მასპინძლებას გადავეჩივე, მარა შენთან შეხვედრამ ახალგაზრდობა გამახსენა, — თქვა და თიხის ფიალა ღვენით აავსო.

„გამაგიუბს ეს კაცი! წითელ ღვინოს რა უნდა უდაბნოში!“

— აქ, ამ უდაბნოში, ღვინო საიდან? — გაიკვირვა გურამმა.

— აკი გითხარი, ამ ფერდობს გადაღმა სოფელია და იქ ხალხი ცხოვრობს-მეთქი. ხორცასც და ღვინოსაც ისინი მჩუქნიან, — თქვა, მერე ფიალა სულმოუთქმელად დაცალა და ნადირის ხორცი მია-ყოლა.

გურამმა სახეში შეხედა და ღიმილით ჰერთხა:

— მერე ღმერთი?

— ღმერთი თავის დროზე ზომიერ ჭამა-სმას არავის უკრძალავს, მათ შორის, არც ღვთისმახურებს, — სტუმარს მიმართა, — შენ რას შერები, არა სვამ?

— ხომ არ მაწყენს? — ყასიდად ჰეკითხა გურამმა.

— შვილო ჩემო, ჩამავალი არაფერი არ წყენს ადამიანს. ამომა-ვალია მავნებელი. სუფრასთან ხარ თუ სადმე სხვაგან, ზომიერებას ნუ დაკარგავ და არასოდეს დაგსჯის არც უფალი და არც — კაცი.

„საკმაოდ ჭკვიანი და ვირეშმაცა ჩანსა, მარა ნეტა ვინ არის? არა მგონია, ეს კაცი უდაბნოში ღვთისმსახურების სურვილს გად-მოეხვენა. ეტყობა, აქ სხვა რაღაც იმალება, მარა რა?“

„გურამ, რა შენი საქმეა, ეს ბერი ვინ არის ან ვინ გეკითხება, უდაბნოს თავი რატომ შეაფარა. მადლობელი იყავი, რომ სიკვდილს გადაგრჩინა. ადამიანთა ურთიერთობაში სიყვარული და სიძულ-ვილი სუპიექტური გრძნობაა. ამ კაცმა შენ რამე დაგიშავა?“

„არაფერი. პირიქით, სიკვდილს გადამარჩინა.“

„მაშინ მადლიერი იყავი.“

„იქნებ, საზოგადოებას დაუშავა...“

„შეიძლება, მარა, იქნებ, პირიქით მოხდა — მას დაუშავა საზო-გადოებამ და აიძულა, გარიდებოდა.“

მეუდაბნოებ ხელახლა შეავსო სასმისები და მორიგი სადლეგრ-ძელო წარმოთქვა:

— გაუმარჯოს ღია ზღვაში უკომპასო გემის მგზავრებს, ყინვაში უთავშესაფროდ დარჩენილებს და უდაბნოში — გზააბნეულებს!

— გაუმარჯოს, — მოკლედ თქვა გურამმა, ფიალა გამოცლა და მასპინძელს ჰეკითხა:

— დიდი ხანია, რაც უდაბნოში ცხოვრობ?

— ალბათ, ექვსი-შვიდი წელი იქნება. სიმართლე თუ გინდა, წლებს დიდი ხანია, აღარ ვითვლი.

— როგორ გგონია, ხალხს აღარ დაუბრუნდები?

— არ ვიცი, დრო გვიჩვენებს. თუ მომინდება, ხელს რა შე-მიშლის.

— უფალი ღმერთი, ვისი წებაც იყო შენი აქ დამკვიდება.

სარკმელში თეთრმა, კაშკაშა მთვარემ შემოანათა.

— ახლა დროა, დავიძინოთ. ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს! — თქვა მეუდაბნოებ. ფიალები დაცალეს და მაგიდა აალაგეს.

განდეგილმა სტუმარს ლოგინი გაუშალა, თვითონ თავისაში შეწვა და მალევე დაეძინა.

ყოფილი პოლიციელი ისევ იმაზე ფიქრობდა, სად ენახა ეს კაცი ან, უბრალოდ, ხომ არ ეჩვენებოდა, რომ სადღაც ენახა, მაგრამ

თავიდან ვერა და ვერ ამოიგდო ამაზე ფიქრი და ასე წვალებაში ჩაეძინა.

\*\*\*

იმ დღეს ანზორს და მის მეგობრებს მიუსვლელ-მოუჩხრეკავი კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებით, მაგრამ ორი საცოდავი კურდლ-ლის მეტი ვერაფერი მოინადირეს. ნანადირევი სათვალავში ჩასაგ-დები არც იყო და არც დიდ რამედ ჩაუთვლიათ.

— როგორი დაიმედებული წამოვედით, შველს ან ლორს მაინც მოვნადირებთ-მეთქი და შინ გალეული ყურებნკაპუნების ამარა მივდივართ. თავი სად უნდა გამოვყოთ, — დაიჩივლა ანზორმა.

— რას იზამ, ცდა არ დაგვიკლია და...

— გურამს დაველოდოთ. ნაშუადლევს მისი თოთის გასროლის ხმა რომ გაისმა, მას შემდეგ არ გამოჩენილა. დარწმუნებული ვარ, ლორი დაჭრა, მაგრამ ცხოველი, შეიძლება, გაექცა და კვალში ჩაუდგა. ეტყობა, შორს გასდია და ამიტომ დააგვიანდა უკან მობრუნება, — გაუზიარა აზრი მეგობრებს შოთამ.

— ალბათ, — ორჭოფულად დაეთანხმა ანზორი, გულში კი გაი-ფიქრა: „ნეტა რამე სიფათს არ გადაეყაროს და დაგვიანებას ვინ ჩივის“.

ამასობაში მზეც ჩავიდა და გურამი მაინც რომ არ გამოჩნდა, ანზორმა ვეღარ მოითმინა და გულში მობორიალე ეჭვი ამხანაგებს გაუშიოლა:

— ეტყობა, რაღაც შეემთხვა, თორემ მშვენივრად იცოდა, ღა-მედგომად რომ არ ვიყავით წამოსულები და აქამდე არსად არ შეყოფნებოდა.

— ალბათ, ასეა, — ჭოჭმანით ჩაილაპარაკა თამაზმა და დასძინა, — ტყუილად დგომას, ჯობია, შევეხმიანოთ, თოფებიც დავცალოთ, მიხვდება, რომ შინ წასვლის დროა და უთუოდ გამოგვეხმაურება.

შემიანება-თოფების დაცლას შედეგი არ მოყოლია. ამასობაში გვარიანად ჩამობნელდა და ყველანი უკვე სერიოზულად შეძფოთ-დნენ. აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ.

— ეტყობა, შოთა მართალი იყო, როცა თქვა, შეიძლება, დაჭ-რილი ლორის დევნამ შორს გაიტყუა და როცა უკან მობრუნებულმა ვეღარც ჩვენი თოფების გასროლის ხმა გაიგონა და ვერც ხმა მოგვაწვდინა, იფიქრა, რომ არ გამოვჩნდი, ალბათ, აღარ დამე-ლოდნენ და შინ წავიდნენ. დათემულ ადგილზე რომ აღარ გვნახ-

ავს, თვითონაც შინ წამოვა, — თავისი ფიქრები ხმამაღლა გაუზიარა თამაზმა მეგობრებს.

ანზორს და შოთას ერთხანს ხმა არ აძოულიათ. ბოლოს მეგობრის ვარაუდი ორივეს ჭკუაში დაუჯდათ და დაეჭვებულმა და გუნებაწამხდრებმა შინ გასწიეს, თუმცა, ფეხები უკან რჩებოდათ, ის კაცი სახლში რომ არ დაგვხვდეს, მაშინ ოჯახს რა პასუხი გავცეთო.

აივანზე ფეხის ხმა რომ გაიგონეს, დიდიან-პატარიანად ყველანი გარეთ გამოიშალნენ. ბავშვები ერთმანეთს ასწრებდნენ და ხმამაღლა იძახდნენ, მამა მოვიდა, მამა მოვიდაო, მაგრამ მოსულებს შორის რომ ვერ დაინახეს, გაკვირვებულებმა დედას შეხედეს.

— მამა... მამა სად არის? — იკითხა უმცროსმა ბიჭუნამ.

გურამის დედა და მეუღლე უხმოდ იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ, რას იტყუოდნენ შინ მობრუნებულები, რომელთაც თავზარს სცემდათ და ენას უბამდათ მათი უხმო მზერა.

ბოლოს ანზორმა გაბედა და თქვა:

— სანადირო ადგილზე რომ ჩავედით, ნადირის საძებნელად ცალ-ცალკე გავიფანტეთ. გურამისა ლორი დაჭრა და გაქცეულს დაედევნა. ნადირობას რომ მოვრჩით, დათქმულ ადგილას შევიკრიბეთ. გურამი რომ არ გამოჩენდა, ხმამაღლა შევეხმიანეთ, თოფებიც გავისროლეთ და რომ არ გამოგვეხმაურა, ვიფიქრეთ, ალბათ, გურამს მოეჩვენა, რომ ერთმანეთს ავცდით, შინ წავედით და თვითონაც სახლისკენ გასწია.

ამის გაგონებაზე დედამ ლოყაზე გამეტებით შემოიკრა ხელი და განწირული ხმით წამოიძახა:

— ვაიმე, შვილო!

— თეკლე დეიდა, ნუ გეშინია, ეტყობა, გზაში ავცდით ერთი-მეორეს, ახლავე წავალთ მოსაძებნად და დარწმუნებული ვარ, წინ შემოგვხვდება აქეთ მომავალი და სულ მაღლე ყველანი ერთად დავბრუნდებით...

ის დამე ოჯახმა თეთრად გაათენა, დაკარგულის საძებნელად ტყეში გასულებს კი გურამის სახელის ძახილსა და თოფების სროლაში შემოათენდათ, თუმცა, ამაოდ დაშვრნენ: უგზოუკვლოდ გაუჩინაურებულის ნაფეხურებს ვერსად მიაგნეს. მეორე დღეს ორვერ მეტი ხალხი გავიდა ტყეში დაკარგულის ასავალ—დასავალის მისაგნებად, მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი. მოუხედავად ამისა, ოჯახი სასოწარკვეთში არ ჩავარდნილა. იმედს არ კარგავდნენ, რომ

გურამი უთუოდ გამოჩნდებოდა. ქალები, ალბათ, ამიტომაც ასე თუ ისე, თავს იკავებდნენ ხმამაღალი ზარისა და მოთქმისგან.

\*\*\*

გურამს დილით გვიან გაელვიძა. საათს დახედა — თორმეტის ნახევარი იყო. მეუდაბნოე ადრე ამდგარიყო და ლოგინი გაესწორებინა. სტუმრისთვის ძილი რომ არ დაეფრთხო, სენაკიდან ჩრუმად გასულიყო.

„უთუოდ ლოცულობს. მორჩება და გამოვა თავისი სენაკიდან“ — გაიფიქრა გურამმა. პირჯვერი გადაისახა, „მამაო ჩვენი“ წაიჩურჩულა და ეზოში ჩავიდა.

ეზოდან ასი-ასორმოცდათი მეტრის მოშორებით ძველი სასაფლაო იყო. დროს ზოგიერთი საფლავის კვალი მთლიანად წაეშალა. მაინცდამაინც არც სხვებს დატყობოდათ ნაკლებად დრო-ჟამის მსახვრალი ხელი.

ნელა მიმოდიოდა საფლავებს შორის. ზოგიერთ საფლავს სამარის ქვის სიმძიმისთვის ვეღარ გაეძლო და მიწაში ჩაფლულს ოდნავ უჩანდა პირი.

„ნეტა, რა არის სიკვდილის შემდეგ იქ, იმ სამყაროში. ყველაფერი ისეა, როგორც ეკლესიის მამები გვმოძღვრავენ, თუ აქ, ამ საფლავის ქვეშ წოლით მთავრდება ყველაფერი, რასაც ადამიანის სიცოცხლე ჰქვია, მაშინ რაღა აზრი აქვს იმდენ ფხორჭალს, ქორქოთსა და ტანჯვა-წვალებას, რაც კაცს დაბადებიდან სიკვდილამდე უნდა გადახდეს. ნუთუ მხოლოდ იმისთვის მოვდივართ ამ ქვეყანაზე, რომ დილით ამდგარნი საღამოს უკვალიოდ გავქრეთ?!”

ერთხანს ამაზე ფიქრობდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია და საკუთარ თავს უცხოსავით უსაყვედურა:

„ამაზე კი არა, იმაზე იფიქრე, რა დღეში იქნებიან შენი ოჯახი და მეგობრები აქამდე შინ რომ ვერ დაბრუნდი.“

ახლა გაახსენდა, რომ ამდენ ხანს შემორჩა აქაურობას.

„ცოტა ადრე უნდა წავსულიყავი, სანამ ასე დასცხებოდა. ახლა არ გინდა, უნასის ბუდე უხიფათოდ გაიარო?!” სენაკისკენ გაემართა, მეუდაბნოეს რომ გამომშვიდობებოდა, მასპინძლობისთვის მადლობა გადაეხადა და ეთხოვა, ტყის პირამდე მიეცილებინა.

„რაც არ უნდა იყოს, ეს კაცი, როგორც თვითონ თქვა, უკვე ექვსი წელია, რაც აქ ცხოვრობს და უკეთ ეცოდინება, უხიფათოდ როგორ უნდა იაროს კაცმა ამ უდაბნოში.“

სენაკს რომ მიუჟახლოვდა, მოულოდნელად ფეხქეშ მიწა ჩაეშალა და ცალი ფეხი კოჭებამდე ჩაუვარდა სიცარიელეში.

დაბლა დაიხარა და რაღაც ვიწროში გაჭედილ წვივს ხელი შეაშველა. ფეხქეშ რაღაც მყარ და მაგარ საგანს შეეხო.

როგორც იქნა, ფეხი გაითავისუფლა.

დაანიტერესა, სად ჩაუვარდა ფეხი და სილანარევი მიწა ხელით მოფხორენა. რაღაც ქოთანივით ვიწროყელიანი ჭურჭელი გამოჩნდა, რომელსაც თავი კირის ხსნარით ჰქონდა გადაგლესილი.

„ეტყობა, შიგ ძვირფასი რამე უნდა იყოს დამალული.“

„ასე რატომ გეონია?“

„იმიტომ... უბრალო რამისთვის ასე საგულდაგულოდ ამ ქოთანს არც ვინმე გადაუგლესავდა თავს და არც ასე ლრმად ჩაფლავდა მიწაში.“

„როგორ გეონია, შიგ რა უნდა იყოს?“

„აბა, რა ვიცი.“

„მერე, გაუთავისუფლე თავი და ნახე, არ გაინტერესებს, რა დევს შიგ?“

„როგორ არ მაინტერერესებს, მარა შინ რომ მივალ, მაშინ ვნახავ.“

„როგორც გინდა, მარა იმ ერთი მეთევზე ბერიკაცივით არ დაგემართოს.“

„აბა, გამახსენე, იმ ბერიკაცს რა შეემთხვა?“

„რადა, თურმე, ერთი ბერიკაცი ყოველ დილას ზღვაში ბადეს ისროდა. ერთ მშვენიერ დღესაც რამდენჯერაც ისროლა, იმდენჯერ ცარიელი ამოილო. გაბრაზდა და თქვა, ბედს ამ ერთხელაც ვცდი და თუ არ გამიმართლდა, თევზის ჭერას საერთოდ დავანებებ თავსო“. „

„ისროლა და ბადე ზღვიდან ძლივს გამოათრია. გამალა და ხელში ასეთი თავგადაგოზილი ქოთანი შერჩა. სიხარულით კინაღამ გადაირია, ნამდვილად განძი ვიპოვეთ. თავი მოხადა და რას ხედავს, იქიდან სოლომონ ბრძენის მიერ ჩამნებდეული ეშმაკების მამამთავარი არ ამოვარდა?.. გურამ, შენი ქოთანიც ასეთივე სიბინძურით არ იყოს გატენილი“

„რას ამბობ, სიბინძურეს მიწაში, ისიც ციხისა თუ ეკლესიის ეზოში ვინ დამარხავდა.“

„აბა, რა უნდა იყოს?“

„ვნახავ და გამოჩნდება.“

ქოთანი, როგორც შეეძლო, გაათავისუფლა მიწისგან. მერე ჩაი-ჩიქა და ორივე ხელით მოეჭიდა, მისწი-მოსწია და ნელ-ნელა ზე-მოთ აზიდა.

„დასწყევლოს ღმერთმა. ასე რამ დაამძიმა ეს ქოთანი, ქვები ხომ არ ყრია შეგ!“

როგორც კი ორმოდან ამოილო, უმალ შეეცადა, თავი აეხდა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო, შიგ რა იყო, მაგრამ შიშველი ხელით ვერ შეძლო კირის მოცილება. მაშინ ქვა აიღო და თავი ქვით მოამტვრია. თავახდილ ქოთანს მზის სხივებმა დაჰკრა თუ არა, იქიდან ამოვარდნილმა ელვარებამ თვალი მოსჭრა.

ქოთანი სავსე იყო ოქრო-ვერცხლითა და სხვადასხვა განძეულო-ბით, რომლის ლირებულება იმდენად დიდი უნდა ყოფილიყო, რისი ნარმოდგენა გურამს არც კი შეეძლო.

„ნუთუ რომელილაც მონასტრის განძსაცავს გადავაწყდი?“

„ალბათ.“

„იქნებ, კი არა, ქოთანი სავსეა ძვირფასი თვალ-მარგალიტით. ამოდენა განძეულობა მე კი არა, ათასობით კაცს დაასახლებს და ფულუნებაში აცხოვრებს. ღმერთო, ყოველივე ეს ცხადია, თუ სიზ-მარში ვარ და მელანდება!“

არც სიზმარში ხარ და არც გელანდება რამე, ყველაფერი სი-ნამდვილეა! — ამის გაგონებაზე გურამი უმალ შებრუნდა, საიდა-ნაც ეს სიტყვები მოესმა.

— მამა, შენ ხარ? — დიახ, მე ვარ.

— გსმენია რამე ამ განძის შესახებ?

— მსმენია კი არა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს განძი აქ იყო გადამალული. ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც აქაურობას შემო-ვეხიზნე, დღე და ღამე ამას ვეძებდი, მარა ვერ იქნა და ვერ მი-ვაკვლიე, — ბოლმაგარეული სინანულით აღიარა მეუდაბნოებ.

— ჰო, მარა შენ აქ, ამ უდაბნოში, განა უფლისთვის თავშესა-ნირად და ცოდვების მოსანანიებლად არ მოხვედი, კიდეც რომ გე-პოვა, ეს ოქრო-ვერცხლი რაში გჭირდებოდა?

— რა იცი შენ, რისთვის მქონდა თავი გადადებული.

— შენ თვითონ არ ამბობდი, განდეგილი ვარ და ღმერთს ვემსახ-ურებიო?!

— ამდენი ხანია, ამ უდაბნოში ბერივით ვცხოვრობ. დღე და ღამე ამ განძს ვეძებდი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივაგენი. შენ კი როგორ უცებ იპოვე ეს წყეული და წყეულის მოგონილი. როგორც

ჩანს, ყველაფერს ბედი და ყისმათი უნდა, — ისეთი ბოლმით წარმოთქვა ცრუბერმა, რომ გურამმა იფიქრა, ისეა ეს კაცი ყველასა და ყველფერზე გამწყრალი, თუ მოახერხსა, შეიძლება, ახლავე სული გამაფრთხობინოს, ოღონდ, განძი ხელთ იგდოსო.

— გამოდის, რომ არ შევმცდარვარ... შენ ხომ წარპა ხარ?

— შენ საიდან იცი, წარპა ვარ თუ ბელტიყლაპია!

— ვიცი, ვიცი... გუშინ, როგორც კი შენი ხმა გავიგონე, მეც-ნაურა და გავიფიქრე, ეს ის ხომ არ არის, ვისაც ცალი წარპი თე-თრი ჰქონდა და ამის გამო ყველანი წარპას ეძახდნენ-მეთქი.

— ასეც რომ იყოს, მერე რა, ეს ხომ არაფერს ნიშნავს. განძი გავინანილოთ და სამუდამოდ დავივიწყოთ ერთმანეთი. როგორც კი ჩემს ნილს მივიღებ, აქედან კი არა ქვეყნიდანაც ისე შორს გადა-ვიხვენები, რომ ეშმაკების მამამთავარი, ბელზებელიც ვერასოდეს ველარ მიპოვის.

— ამ წყეული ოქროს გულისთვის სამშობლოსაც დათმობ?

— დღესვე, ამ წუთიდან, უყოყმანოდ!..

— მერე უფალს რას ეუბნები, მის სამსახურზე უარს ამ-ბობ?

— შენდობას შევთხოვ, რათა ეს სისუსტე მაპატიოს, რაც ვემ-სახურე, საკმარისად ჩამითვალოს და ნუ შემრისხავს ადამიანური უძლურებისათვის. ახლა კი განსჯას მოვეშვათ და, როგორც უკვე გითხარი, განძი გავინანილოთ.

გურამი ერთხანს შეყოყმანდა. მეუდაბნოებ იფიქრა, ეტყობა, განძის გაყოფაზე უარს ამბობსო, თვალის უსწრაფესად ძირს დაგ-დებულ ქვას დასწვდა და მთელი ძალით დაკრა თავში.

ქვადაკრული გულალმა გადავარდა და საფლავებს შორის უსუ-ლოდ ჩაიკეცა.

გითხარი, განძი გავიყოთ-მეთქი, მარა არ დააფასე ჩემი სულ-გრძელობა. ჰოდა, რაც დაიმსახურე, მიიღე კიდეც! — ნიშნის მო-გებით მიაძახა პირქვედამხობილს, მერე ქოხში შევარდა, რაღაც ძველი ჩანთა იპოვა და იფიქრა, ამხელა განძის პატრონს იარაღი უთუოდ დამჭირდებაო და ხელს სტუმრის თოფიც გამოაყოლა — მერე განძეულობა ჩანთაში ჩაცალა, თოფი მხარზე გადაიკიდა და გახარებულმა გრძელი გზით სიარულს მოკლეზე გავლა ამჯობინა. უნდოდა, რაც შეიძლება, მალე გასცლოდა აქაურობას.

გაბრუებულ გურამს არ გაუგია, რამდენ ხანს ეგდო მიწაზე. გონიერ რომ მოვიდა, თავი საშინლად სტკიოდა, მაგრამ ერთხანს ვერა და ვერ გაიხსენა, რა დაემართა.

ძლიერდივობით წამოჯდა, ირგვლივ მიმოიხედა და მერე უცხო-სავით დაეკითხა საკუთარ თავს, სად ვარო. სახლი რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, სადაც იყო და ყველაფერი გაახსენდა. თავზე ხელი მოისვა და უცებ ჯოჯოხეთური ტკივილი იგრძნო.

„ნეტა, რა დროა“, გაიფიქრა და ცას ახედა, რომელიც სქელ ღრუბლებს დაეფარა, მზე კი აღარ ჩანდა და ისე მაგრად აღარ ცხელოდა.

ნელა წამოდგა, ჭასთან მივიდა, წყალი ამოილო და სისხლი მოიბანა, მერე სახლში შევიდა და სახე პირსახოცით შეიმშრალა. ძველი განჯინის რომელილაც კუთხეში იოდი მონახა. სისხლი აღარ სდიოდა, მაგრამ ნაჭრილობევზე მაინც წაისვა.

ზენარს, რომელზეც წუხელ ეძინა, გვერდი ჩამოახია და თავი შეიხვია, კარი მიხურა და გადარაზა.

ეზოში ჩავიდა და იქაურობას თვალი მოავლო. უნდოდა, და-საყრდნობად ხელჯოხის მაგვარი რაღაც ეპოვა. ამ დროს, კედელზე მიყუდებული მუჯირა დაინახა, რომელსაც, წვეტიანის ნაცვლად, რატომდაც ბრტყელპირა რეინა ჰექონდა წამოცმული. მერე იმ ბილიკს დაადგა, რომლითაც წუხანდელმა მასპინძელმა ნაციხარში მოიყვანა.

ჩქარობდა, უნდოდა, შიშველი მინდორი მზის ჩასვლამდე გაეპარა, დროდადრო სტკიოდა თავი, მაგრამ იტანდა, თუმცა, სხვა რა გზა ჰექონდა, უფრო მეტადაც რომ შეეწუხებინა, უნდა გაეძლო, როგორმე სახლში დაბრუებულიყო.

„ვინ იცის, ახლა სახლში რა მნარედ მოსთქვამენ ჩემი უგზო-უკვლიდ დაკარგვის გამო. ალბათ, ცოცხალიც აღარ ვგონივართ.“

მობილური გაახსენდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ იგი ცარიელი იყო.

„ქვა რომ დამარტყა და წავიქეცი, ალბათ, მაშინ ამომივარდა ჯიბიდან. შეიძლება, სულაც იმ არაკაცმა წაილო.“

ათი ათასი მადლობა უფალს, რომ მისი წყალობით ცოცხალი გადაერჩი.

უგონოდ რომ დავეცი, უთუოდ მკვდარი ვეგონე იმ გარენარს. ჩემი თოფიც ხელს გაუყოლიებია. ალბათ, იფიქრა, ვინმერ რომ მომინდომოს განძის წართმევა, თავი ხომ უნდა დავიცვავო.“

ფიქრებში ჩაძირულს არც გაუგია, ისე გალია ამხელა მანძილი და ტყისპირს უნია.

სანამ ტყეში შევიდოდა, შედგა და მიიხედ-მოიხედა.

„აქ შემხვდა წუხელ ის არაკაცი. ალბათ, იმიტომ გადამარჩინა, რომ დღეს მოვეკალი! იმ წყეულმა ოქრომ დააკარგვინა ჭკუა-გო-ნება და მის ხელში ჩასაგდებად ყველაფერი დაავიწყებინა“.

ამის გაფიქრება იყო და მისგან ასე ორმოცი-ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით ტყისპირა სილიან უდაბნოში რაღაც შავ საგანს მოჰკრა თვალი. ჯერ იფიქრა, ალბათ, ჯირკვი ან რაღაც მაგისმაგ-ვარი აგდიაო, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, თავის ვარაუდში ეჭვი შეიტანა.

„ვერ გაარჩევ, ჯირკვია, თუ ადამიანი. შეიძლება, სულაც და-ჭრილი ნადირი იყოს, რომელიც მონადირეს გამოექცა და, ალბათ, უდაბნოს შეაფარა თავი, მაგრამ სისხლისგან დაცლილს სიკვდილ-მა აქ უნია“, — გაიფიქრა, მერე მოულოდნელად სრულიად სხვა აზრმა გაუელვა თავში:

„იქნებ, გუშინ ლორი რომ დავჭერი, სულაც ის არის, ჲა?!“

„კისერიც უტეხია, თუ ისაა. რა, ძალიანაც რომ მინდოდეს, იმ-ხელა ტახს სახლში როგორ წავიღებ!“

„მაინც ვნახავ, რა არის ის შავი საგანი,“ — ბოლოს ეს გაიფიქრა და უდაბნოში შეაბიჯა.

ხმაურით მიდიოდა, თან მუჯირას იქნევდა, რომ უნასი დაე-ფრთხო.

უცნობ საგანთან მიახლოებულმა ჯერ თავის თოფს მოჰკრა თვალი, მერე ჩანთა დაინახა, სულ ახლოს მისულმა კი წარბას გვამი შეიცნო.

„ალბათ, გველმა ან მორიელმა დაგესლა ეს საცოდავი. წუხელ მე მაფრთხილებდა, უდაბნო სავსეა უნასებითო და თვითონ გამხდარა მათი მსხვერპლი.“

„როგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, ამ არემარეს როგორმე მალე გასცლოდა განძთან ერთად, მაგრამ, ეტყობა, უფალმა სხვა-გვარად გადაწყვიტა მისი ბედი!“ — ნიშნისმოგებით გაიფიქრა გუ-რამმა და უკან გამობრუნდა.

სამი თუ ოთხი ნაბიჯი რომ გადადგა, საკუთარ თავს უცხოსა-ვით უსაყვედურა:

„გურამ, რაც არ უნდა იყოს, მაინც ლვთის შვილია ის უბედუ-რი. ვის გაუგონია მკვდარზე შურისძიება. ამ დილას თუ გიმტრო და

სასიკუდილოდ გაგიმეტა, წუხანდელიც გაიხსენე — შეგიფარა, და-გაპურა და მოგასვენა. ესეც არ იყოს, მიცვალებულის ასე უპა-ტრონოდ მიტოვებას არავინ მოგიწონებს. სხვას თავი რომ გაანებო, შენივე სინდისი არ მოგასვენებს!“ — როგორც უცხოს, ისე უსაყვე-დურა საკუთარ თავს...

მუჯირას წვერით რის ვაივაგლახით გაუთხარა საფლავი, შიგ ჩაასვენა და სილა მიაყარა. მერე თავისი თოფი აიღო და მხარზე გადაიკიდა. განძიან ჩანთას ხელი ჩაავლონ და ტყის ბილიკით ში-ნისკენ ფეხაჩქარებული გზას გაუდგა.

უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ სძლია სიძულვილს და წარბას გვამი ნადირის საჭირო გადარ გაიმეტა.



მხატვარი – ლელა ფერაძე

# ჩანაბეჭდის გარემონტის მუზეუმი

## მარინა ბერიძე

დაიბადა 1960 წელს. 1977 წელს დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა, 1982 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. არის ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, მუშაობს არნ. ჩიქობას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილების გამგედ არის ქართული დიალექტური კორპუსის დამფუძნებელი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული დოქტორი.



### ჩიტები

მშიერი ოთხმოცდაათიანების ის შემოდგომა იყო, სოხუმიც რომ დაეცა... ჰაერიც რომ უმწეობით და ტკივილით იყო გაჯერებული.

ის დრო იყო, შემოდგომობით ლამის რიყის ქვასაც რომ აკონსერვებდა ხალხი... მურაბა, ჯემი, აჯაფსანდალი, მწნილი, მონადირული სალათი, ბადრიჯანი „პახმელია“, ფარშირებული წიწაკა, მწვანე წიწაკა ზეთსა და მწვანილებში, აჯიკის ხუთი სახეობა, გამხმარი სოკო, „შავჩოხას“ მარინადი.... ისევ მურაბა, ისევ ჯემი - სეზონური მოსავლის მიხედვით.

ხოდა, მეზობელმა: ღრმალელის მეტროსთან ხილი იაფობსო და გავუდექი ორი პლასტმასის ვედროთი გზას. აქედან (დიდი დილმიდან) - ფეხით, იქიდან მეტროთი დიდუბემდე და იქ ავტობუსში ასვლის მიხედით.

ვიყიდე ლეღვი. წვრილი, ჭროლა დიდი საუკეთესო ჯიშისა არა, მაგრამ ჯემისთვის მშვინერი - ტკბილიც და შედარებით იაფიც. ერთდროულად ამდენი - 16 კილოგრამი არავის ჰქონდა. ჯერ ქუჩის გადამყიდველები აქა-იქ თუ იყვნენ. აქ მაინც სულ თიანეთის მხრიდან და აქვე, ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები ვაჭრობდნენ. სამ-ოთხ მათგანთან ვაჭრობით ავაგსე ვეღროები. გავე-

მართე ნელ-ნელა მეტროსკენ, სიმძიმისგან ტუჩებჩაკვნეტილი, ლა-მის მუხლებამდე მკლავებდაგრძელებული და რაღაცნაირი სიჯი-უტით ავსილი: სანამ იმ ხემდე არ მივალ, არ გავჩერდები... აი პირ-ველ საფეხურზე დავისვენებ და მერე ბოლოში...

მატარებელი ახალი წასული ჩანს. მივათრევ ვედროებს ისევ. იმ გათვლით, რომ დიდუბები გასასვლელთან ახლოს გამოვიდე ვაგო-ნიდან. ვედროები - 16 კილო მე-56-ზე ცოტა ნაკლებიც... მხრები ჩამოყრილი, თმა უკან კუდად შეკრული, გრძელი, კარგა ხნის ნატა-რები ნაქსოვი ბოლოკაბა - მუხლებთან კარგა მაგრად გამობერილი, შელახული ფეხსაცმელი, საკუთარი ხელით მოქსოვილი, ოდესალაც ლამაზი, ვარდისფერვარსკვლავებიანი ნაცრისფერი “ბეზრუკავკა”... ვდგავარ შერჩეულ ადგილას, ლელვით გაძიძგინებულ ვედროებს შორის...

ვდგავარ ვედროებს შორის, პირველკლასელის მიერ წვალებით ჩამოხაზული, წერტილგადლაბნილი ძახილის ნიშანივით...

უცებ მაფხიზლებს რაღაც უცნაური ... თითქოს წყლის ტალღა თუ ქარის ძლიერი ნაკადი, ჩემკენ მომართული. ორნი - ბიჭი და გოგო, კი არ მორბიან, მოფრთხიალებენ, როგორც ბადეში გაბმული, მაგრამ რაღაცით გახარებული, აჟიტირებული, დიდი ხნის გარინდების შემდეგ გამოცოცხლებული და ბადის კედლებს თავდავიწყებით შენარცხებული ჩიტები...

კი არ მორბიან, მოფრთხიალებენ და ჩემს ფეხებთან, უფრო სწორად, ჩემს ლელვითპირმოდგმულ ვედროებთან მოსხლეტით ინ-აბებიან... ასე მგონია, მეტროს ვაგონების გრუხუნსაც ახშობს მათი გულის ძეგრა... ვგრძნობ, როგორ ფეთქავს მკრთალ საფეთქებში საერთო სისხლი და როგორ კუმშავს პატარა სხეულებს მოუშუმებელი ტკივილის სპაზმი. ვგრძნობ თუ ვხვდები... რადგან პატარების ამ ფრთხიალ-ფრთხიალს უკან ქალების მეგრული შეძახილები მოჰყ-ვება.

დადგნენ ვედროებთან თავდახრილები. მერე ამომხედეს და მკითხეს თვალებით. დასტური რომ მიიღეს, დასწვდნენ პანია ხელე-ბით, როგორც რაღაც ძვირფასეულობას - არა მშიერი სიხარბით, არა საჭმელად - არა... არა... რაღაცნაირი სასოწარკვეთით. დიდი ხნის გაშლილ ზღვაში ხეტიალის შემდეგ მიწის ნაპირი რომ მოეჩვენება ნატანჯ ეკიპაჟს -აი, ისეთი გაკვირვებული და დაქანცული სიხ-არულით.

იცნეს! ამ ცივ და უცხო ქალაქში, რომელშიც შესაძლოა სულ ახლახანს ჩამოვიდნენ და თან პირველად, ტყვიას და სიკვდილს გა-მოქცეულებმა პირველი, რაც საკუთარ კერასთან დააკავშირეს, რაც იცნეს, იქნება ეს ლელვი იყო... ისე დაჭხარიან, როგორც თანშეზრდილ მეგობარს...

პატარები არიან, სამი-ოთხი ციცქნა ლელვიც კი ძლივს ეტევათ ხელში. მეტის აღებას ცდილობენ. ვერ ახერხებენ. ქალებმაც მოანიეს. მე უკვე აღარ ვვარგივარ. ცრემლების დამალვას აზრიც არა აქვს.

ქალებიდან უფრო ახალგაზრდამ მეგრულად დაუცაცხანა ბავშვებს და რომ არ გაუგონეს, კულულებში სწვდა ვედროსთან დახრილ გოგონას და შეაჯანვლარა. მერე გასწორდა, შემომხედა. არ ვიცი, დიდხანს ვიდეექით ასე თუ მე მომეჩვენა ასე გაუსაძლისად ეს მზერა.

ეს უადგილო ცრემლები!

უადგილო და უპატიებელი!

-ასეთ ლელვს ჩვენ არც კი ვკრეფდით, ხეზე ვტოვებდით, ჩიტების საჭმელად! - შემომალენა ჭუბერს თუ გალის ტყეებგამოვლილი შერჩენილი მრისხანება, დაავლო გოგოს ხელი და ბიჭისკენ არც მოუხედავს - ეტყობა, ამისი მორჩილების და თვინიერების იმედით - მაინც უკან გამომყებაო, მოუხედავად გაეშურა სადგურის სიღრმისკენ.

პატარამ აუჩქარებლად დადო ლელვებით გამოტენილი მუჭი ვე-დროზე... ზურგით ქვემოთ, ნელა გაშალა, ერთხანს უყურა ხელის-გულზე დაწყობილ, უკვე გაჭყლეტილ ლელვებს, ამომხედა ისეთი კაცური, გამანადგურებლად კაცური... გამამხნევებელი ღიმილით...

გადმოატრიალა ხელისგული, დაყარა ლელვები, დახედა გასვრილ ხელის გულს... ისევ ამომხედა და ახლა უკვე ოდნავ ათრთოლებული ტუჩებით მოხაზა რაღაც ღიმილის, მადლობისა და დამშვიდობების მსგავსი და გატრიალდა... შეერია ცრემლისფერ ვაგონს.

მას მერე ვეძებ იმ ღიმილს. ყოვლისმიმტევებელ იმ შემოხედვას. პატარა ბიჭის იმ აღმოჩენას - ლელვიან ვედროსთან დამთავრებულ უსამშობლობას, იქვე აღმოჩენილ სამშობლოს და იმედს...

მტანჯავს ეს სურათი აგერ 25 ნელია... მეშინია, რომ დამეკარგება.

**2016 წ. ივნისი**

## არ დაიჯერო! (41-ე სამართლუფოს ამბეჭიდან)

41-ე სამართლუტოში რომ ახვალ, ან დაძინება უნდა მოასწორო, ან ტელეფონის ინტერნეტს ჩაუღრმავდე... ნუ, იშვიათად, შედარებითი სიხალვათისა და შიდაგამჭვირვალობის შემთხვევაში, შეიძლება თანამგზავრებსაც დაუგდო გულისყური - ზოგი ნამდვილად იმსახურებს ამას.

ხოდა, ერთ ასეთ ხალვათ დღეს ამოვიდა ოპერასთან ორი გოგო. ორივე ლამაზი და კარგი, მარტო ასაკიც რომ ბრნყინავს, იმხელები არიან, მაგრამ ერთი მაინც რაღაცნაირად ქათქათა ვარდის ფურცელივით შემოფართვატდა. იმ ქალების ჯიშიდანაა, ვისი პროფილი და კისრისა და ზურგის გამაერთიანებელი მოკლე ხაზი თითქოს ერთდროულად და შეთანადებულად, დიდი სიზუსტით, პირველკალასელის დაძაბულობით და ენამოკვნეტით გამოჰყავდა მხატვარს ... და პროფილის შეგნებული და დაბეჭითებული მრუდი - პატარა კეხიც... ეს ყველაფერი კანის ფერთან, თვალების ჭრილთან და ღია წაბლისფერ, მაღლა აკეცილ და დაუდევრად გამოსკვნილ თმასთან შეორეკესტრებული...

ამოდის და ზუსტად ისე დგას, ეს ორი, უცნაურად დახვეწილი კონტური და მათი ერთმანეთთან შეცეკვება რომ გამოგრჩეს, შეუძლებელია. არც გამორჩენია. კარებიდან მარშრუტების შუაწელამდე თითქოს მზერით „მოყვანა“ და როცა მის სკამს გაუსწორა, წამოუხტა და უსიტყვოდ დაუთმო ადგილი. ლამაზი, მაღლი, ზურგ-ჩანთიანი. ერთი ჩემი მეგობრის ბაბუა „აფხაზივით ლამაზი და ზრდილიან“, რომ ამბობდა, ისეთი ბიჭი.

ცოტა შეყოყმან-შეპატიუებაც იყო, მაგრამ კარგად ვერ გავარჩიე - გოგოები ამეფარნენ. მერე „ვარდის ფურცელი“ დაჯდა და მეორე, თავისთავად ისიც კარგი გოგო და ბიჭი კი დგანან. გოგოები ლაპარაკობენ ხანდახან. ბიჭი გაოგნებულივით ჩასცერის, როგორც ნახატს ან რაღაც საინტერესო წიგნს... გაიხედ-გამოიხედავს, მერე ისევ ყურადღებით ჩახედავს... მერე ისევ ცდილობს გახედ-გამოხედვით ინტერესის შენილბვას... მოკლედ, დინამოსთან ორივე დასხდნენ. ეს ჩემ წინ, ცალ სკამზე. ის გოგო - თავის დაქალთან.

ადგილდათმობილი ფანჯრისკენ. ადგილმოპოვებული - აქეთ. ბიჭის მზერას მიმართულება არ შეუცვლია. ორივე გოგო უკვე ამ მზერის ყველა ცვლილებას აკონტროლებს. ფანჯრისკენ როა, იმას ნაკლები შესაძლებლობა აქვს დაკვირვებისთვის და მეტად თავშეკა-

ვებულიცაა. ბიჭმა დაკარგა საექსპონატო პროფილით ტებობის თავისუფლება. ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს მწირი პოზიციური შესაძლებლობა: ნახევრად შებრუნებული ზის, ხან წინ წაიწევა, ხან უკან გადმოწვება და გადმოხრის თავს... და რა ხდება? თავიდან არც კი მჯერა: ეს, ადგილმომოვებული, აქეთა გოგო... ამას დამიხედეთ! გადაიწევა ბიჭი წინ, დააფიქსირებს ამისი მარჯვენა თვალის კუთხე მოძრაობას, გადაიწევა ესეც წინ, მერე ასევე სინქრონულად მოჰყვება უკან... ბოლოს საერთოდაც შებრუნდა და მთელი ზურგით დაფარა მეგობარი. სადღაც ავტოსადგურთან? არა, მაიაკოვსკის ძეგლთან ჩადის ბიჭი და ქუჩის მეორე მხარეს გადადის. „ვარდის ფურცელი“ კი იყურება ფანჯარაში, მაგრამ ძნელი სათქმელია, მიიბრძის თუ არა მისი მზერა გამოუთქმელი და დამსახურებული კომპლიმენტის დასაბრუნებლად...

აქ დამთავრდებოდა ეს ამბავი. მით უმეტეს, საავადმყოფოებთან ჩავიდნენ. აქ დამთავრდებოდა და არც არაფერს დავწერდი, მაგრამ უცებ მესმის ხმამაღლა, დაუფარავად ხმამაღლა ნათქვამი: აუ, მააავ! ამ ზაფხულს გაიკეთე რა ცხვირის ოცერაცია, ჩემ თავს გაფიცებ... აუ, მაგრად მოგიხდება, აი, ძან შეგცვლის იმენა...

ასე მეგონა, რაღაცას შევეჯახეთ!

არ დაუჯერო, მაკა, შვილო!

არ დაუჯერო!

ლამის ვიყვირო... კი არა, მთელი არსებით ვყვირი და თითქოს ჩემი ხმა მესმის შორეული ახალგაზრდობიდან...

## „ა30“ პ30რა

დღის ბოლოს უკანასკნელი აკორდები... დიდუბის მეტროს ქვედა შესასვლელთან ჩვენს გიუურ რიტმს რომ ეკადრება, იმ სიჩქარით შევვარდი. ჩანთით ვაშლებით სავსე ვედროს წამოვედე... ვედროს მოსწყდა ლამაზად აკოკოლავებული წითელი ვაშლების გუმბათი და განცვეტილი მძივივით გაიშალა მტვერსა და ნაგავში... თავზარდაცემული დავტრიალდი დაგორებული ვაშლების დასაჭერად... გამყიდველი - ჩია ტანის, გაუპარსავი მოხუცი - აი, ისეთი, ახალგაზრდა არასოდეს ყოფილაო, რომ გეგონება - მომდევს უკან და: დაეხსენ, დაეხსენ! - მომძახის. უკანასკნელ ვაშლთან ერთად ვიხრებით. ის ცისფერ, კამკამა თვალებს თვალში მიყრის და: რა გატი-

რეპს... ჯავრი გაუშვი, ლამაზო ქალბატონო! – შეწუხებული მეუბნება... ჯავრი გაუშვი...

...  
გავრბივარ და მოხუცი მომდევს: რა გატირებს, შვილო, ისედაც ავი კვირაა..

...  
თითქოს ამისთვის დღის ბოლო არ იყოს... თითქოს ამას არ შეხებოდეს დღის დაღლილობა და საზრუნვი... თითქოს თავის ტყავზე არ გადაეტანოს კვირის სიავე... ისე უკამკამებს ხმაც და თვალებიც.

...  
და თითქოს ჩასაფრებული მელოდება აქ, დიდუბის მეტროს შესასვლელთან, მამა ვიტალის სავანისაკენ გაჩქარებულს, რომ ამ კამკამა „ჯავრი გაუშვით“ დამავიწყოს ამ „ავ კვირაში“ ნასმენ-ნათმენი „აკადემიური“ მუჯლუგუნები.

ახლაც ვფიქრობ: მართლა იყო თუ „ავი კვირისგან“ თავდასაღწევად გამოვიგონებ?

...  
ხმაკამკამა და თვალებკამკამა ქუჩის აკადემიკოსი... სხივის და სინათლის გადარჩენის ბოლო იმედი...

2016 წ. მაისი

## მიემველენით რამაზასა

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მიამპეს. ჯერ მხოლოდ ერთი ომი გვეონდა ნანახი სამაჩაბლოში. იქაურმა მიამბო. წარმოშობით ცხინვალელმა. კარგად იცნობდა ამბის პერსონაჟებს და იქ დატრიალებული ტრაგედიის დეტალებსაც.

ცხინვალის საგზაო მეურნეობაში მუშაობდნენ. მეგობრობდნენ ოჯახებით და წლობით. ქართველი რამაზა და ოსი ოლეგა. სწორედ იმ უბედურების წინ სრულიად განუახლებიათ სამსახურში ტექნიკური აღჭურვილობა - ტრანსპორტი, იარაღები და, რაც მთავარია, კავშირგაბმულობის აპარატურა - რაციები, აკუმულატორები და ა. შ. უხაროდათ - ახალ ტექნიკას „ამარიაჟებდნენ“ და მომავლის გეგმებს აწყობდნენ...

ომი რომ დაიწყო, ოჯახივით გაიყარნენ - ეს აპარატურაც ზოგი რამაზას დარჩა და ზოგი ოლეგას. იარაღის აღებაც მოუნიათ ხელში და საკუთარი ოჯახების „დაცვაც“...

მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს და რაზეც უამრავი დაწერილა და თქმულა – ძმაკაცებს შორის ომის უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდებოდა... ბრაზი და რისხვა იზრდებოდა და ხან-დახან ალბათ, ან სულაც ხშირადაც, ანდაც იქნებ ყოველ წუთს და ყოველნამს ერთმანეთის პირისპირ დგომას და სამკვდრო-სასი-ცოხლო შებმასაც წარმოიდგენდნენ... ომს თავისი კანონების დარღვევა არც უნდოდა და არც უცდია. სამაჩაბლო იწვოდა და ცეცხლი ყველასთვის ერთნაირად ნთქავდა მომავლის იმედს.

ერთხელაც...

სადღაც ერგნეთთან ახლოს ქართველების „ბეტეერი“ ჩაიგდეს ალყაში ოსებმა. ბეტეერში რამაზა იჯდა, ითხოვდა თანამებრძოლების დახმარებას:

– თამარაშენი, თამარაშენი... რამაზა ვარ, რამაზა!...

რამაზასი არ ესმოდათ. ეტყობა აპარატურა დაზიანდა.

სულ მალე მისი ბეტეერი ალბათ ცაში აფრინდებოდა.

– თამარაშენი, თამარაშენი... - რამაზას უკვე სასოწარკვეთილი ამოქახილები ხანდახან კიდევ გაიწყაპუნებდა მოწინააღმდეგის რა-დიოში...

უცემ ქართველების რაციებმაც დაიქუხა, სულ სხვა ხმით:

– თამარაშენი, თამარაშენი! მე თქვენი დედა! მიეშველენით რამაზასა! მიეშველენით რამაზასა!

ეს იმ წილხვედრი სამსახურებრივი რაციით ოლეგა გადასცემდა... ხაოდა ხმის ჩახლეჩამდე:

– თამარაშენი! თამარაშენი!

თავს ვერ დავდებ, რომ ზუსტად ასე მიამბეს ეს ამბავი. დიდი დრო გავიდა. დაწერითაც იმიტომ დავწერე მხოლოდ, რომ საერთოდ არ გადამავიწყდეს. დღემდე მკლავს ეს განწირული “მიეშველე-ნით!!!”.

2016 წ. იანვარი

## დაპირების შესრულება-არშესრულებაზე...

ზუსტად ვიცი, რომ მეც მექნება ასეთი ჰაერ-დაპირებები გაცე-  
მული ადამიანის ბუნებაა ასეთი. სიტუაციურად იშველიებს დაპირე-  
ბას, რაღაც შედეგს აღწევს, თუნდაც ძალიან სასიკეთოს და რა  
ქნას, ავიწყდება მერე ეს წამიერი დანაპირები... განსაკუთრებით,  
თუ ბავშვებს (ან მათსავით გულუბრყვილო არსებებს) ეხება საქმე...

...

ასპინძაში გზისპირასაა ჩვენი სახლი.

სამხედრო გზაა - ახალქალაქის ბაზა როცა არსებობდა, აქ დიდი  
სამხედრო კოლონიები ხანდახან მთელი დღის განმავლობაში უწყვეტ  
ნაკადად დადიოდნენ. ჩვენი უბნის ბიჭებთან ერთად საათობით ვი-  
დექი მტვერში და ხელს უუქნევდი ტანკებისა და ბეტეერების სახ-  
ურავზე შემომსხდარ სამხედროებს: ზდრასტიი რუსოორო! ზდრას-  
ტიი!

ყველაზე დიდი დღესასწაული შემოდგომისა და გაზაფხულის ის  
დღეები იყო, როცა მთელი გზა თეთრი ფარით გაიგესბოდა. გამო-  
საზამთრებლად მიმავალი ან უკვე ნაზამთრი ცხვარი ნელ, თითქმის  
უძრავ მდინარედ ჩამონავებოდა ჩვენს თვალსაწირები...

ვიდექი საათობით და მეგონა, რომ არც არასოდეს გამოჩნდებო-  
და ბოლო... ისეთი იყო, ისეთი იყო... ახლაც კი ვხედავ და ვუსმენ ამ  
ულამაზეს უძრავ მდინარებას და აბლავლებულ მდუმარებას...

...

ხოდა პატარა ვარ. ალბათ 5-6 წლის. ვდგავარ გზის პირას, ჩვენი  
აღმართის თავში... ფარა მიინურა. ძალლებმაც ჩაიარეს. მწყემსილა  
მიღის ბოლოს - შავი ნაბადი აქვს მოხურული და თეთრი, თეთრი  
ბატყანი უჭირავს ხელში.

ეს ბატყანი ჩემია. ათასჯერ წარმომიდგენია, როგორ ვიხუტებ,  
როგორ ვაჭმევ, როგორ გვძინავს და ვთამაშობთ ერთად. ეტყობა,  
ყველაფერი სახეზე მანერია. ეს კაცი ჩვენთან მოდის: გინდა ხელი  
მოჰკიდო? - მეუბნება. მე ხელები უკან მაქვს დაწყობილი და აღრია-  
ლებას ცოტა მაკლია. ხელის მოკიდება კი არა - ბატყანი მინდა.  
ზუსტად ისაა, რომელზეც ვოცნებობდი, ზუსტად ისეთია - წიგნში  
რო ხატია...

...

ბოლო ნაგაზიც თვალს მიეფარა. ისევ ვდგავარ. დედაჩემიაც  
ამომაკითხა გზაზე. მე ცრემლები მდის და მწარედ ვქვითინებ. -

სულელია ეს ბოვში, ბატყანი მინდაო! - შესჩივის გზაზე მომავალ მეზობელს, ძია იოკიმეს.

- ახლა დაწყნარდი, არ იტირო - მეფერება იოკა ძია, - მე ხვალ მთაში მივდივარ და კაცი არ ვიყო, თუ ბატყანი არ მოგიყვანო! - ცრემლებიდან ვულიმი მადლიერებით და იმ წუთიდან ვიწყებ ჯიუტ მოლოდინს...

...

რამდენიმე წელი ასე გავიდა.

და როგორც დავიწყე ეს მოლოდინი - ჯიუტად და უეცრად, აესე უეცრად და ერთპაშადაც დავამთავრე:

ზაფხულის ბოლოა, გვყავს სტუმრები. ჩვენთან დასასვენებლად ჩამოსული ნათესავები. გამოსამშვიდობებელი ნადიმია. რაც დასაკლავი გვყავდა, ყველაფერი დავკალით უკვე. გვიანი საღამოა და სტუმრები შემოემატენენ და დედაჩემმა ჩუმად გამიხმო სახლის ქვეშ დაბუდებული გაგარეულებული ქათმის დასაჭერად შემაძვრინა... ფაქტობრივად ლალატით და მოტყუებით დაჭერილ ქათამს ჯირკთან მომლოდინე დედაჩემს ვაწვდი და განრისხებული მივდივარ დასაძინებლად.

მასის, რა გაავებით ვიხდი. ალუბლებიან ჩითის პიჟამას ლამის ნიკაპამდე გულმოდგინედ ვიქაჩავ, საბანში ვეხვევი და ხმამალლა ვუყვირი ვიღაცას: - რად მინდოდა ბატყანი, ესენი მაინც შეჭამდნენ!

...იმ დღიდან გავთავისუფლდი.

დიდობაში ვუამბე ეს ამბავი იოკიმეს. შეწუხდა ძალიან: -ოოვე! - თქვა.

...

ოოვე! - სინაწულის შორისდებულია მესხურში.

ზუსტად ვიცი, ვიღაცის, შესაძლოა საკუთარი შვილების, მოგონებებში ჩემს შეუსრულებელ დაპირებებსაც „სძინავთ“ ... იმედია, მაპატიებენ.

- ოოვე! -მხოლოდ საკუთარი მოლოდინი გვახსოვს ასე მწარედ ...

**2016 წ. ობერვალი**

## ადამიანი უმი რძით არის გაზრდილი...

პაპაჩემი ბაზარში მუშაობდა თუ უბრალოდ, ვაჭრობდა ხოლმე იქ სშირად, არ ვიცი. „ბაზარნიკ ილიკოს“ კი ეძახდნენ. იჯდა ბაზრის შესასვლელში, თუ შეიძლება ბაზარი დაარქვა სულ რამდენიმე სახ-ელდახელო დახლს, ხოლო „შესასვლელი“ - ამ დახლებიდან ერთ-ერთს, გზასთან კველაზე ახლოს მდებარეს. ახლა არც ვიცი, მარ-თლა მახსოვს, თუ წარმოსახვის ნაყოფია ეს „ბაზარი“, ადგილი კი ზუსტად ვიცი - „სანავთესთან“ ახლოს, იქ, სადაც მრავალი წლის შემდეგ ჯერ საზოგადოებრივი ტუალეტი ააშენეს, უფრო გვიან კი - სავაჭრო დაწესებულებები.

ხოდა, პაპაჩემი ზის დაბალ სკამზე. ცალი ფეხი, უფრო სწორად ხის პროტეზი, წინ აქვს გაშვერილი. მე ამ „ფეხზე“, როგორც ჯა-დოსნურ ბედაურზე, ისე ვარ გადამჯდარი, ხელში ტირიფის წელი მიჭირავს და თავდავიწყებით მივჯირითობ წარმოსახულ ტევრში... თვალინინ ამვლელ-ჩამვლელთა ფეხებს ვხედავ - აი, ლურჯი, შავ ჩექმებში ჩაკეცილი „გალიფე“, აი კაპრონის „ჩულქიანი“ და კაუ-ნებზე შემდგარი მსუქანა ფეხები, აი, მილიციელის წითელკანტიანი ლურჯი შარვალი და ვიღაცის მოკასინები... მაღლა იშვიათად ვიხ-ედები. მხოლოდ მაშინ, როცა პაპას ხის ფეხი უცნაურად შეთამაშ-დება და გამორჩეული გამვლელის გამოჩენას მამცნობს. ხმები ერთ-მანეთში ირევა და ვტკბები ჩემი გამოგონილი თამაშით - როცა სმებს ისე „აგროვებ“ ყურში, რომ სიტყვები ვერ გაარჩიო. ეს იმას ჰგავს, მოჭუტულ თვალებში ნათურის ან მზის შუქს რო მოიმწყვდევ და სხივებს „იჭერ“, ისე, რომ ვერაფერს ხედავ. რაც უფრო მოწყუ-რავ თვალებს, სხივები უფრო მკვრივ კონად იკვრება, „გაუშვებ“ და გაიშლება, გაიდღაბნება და საგნების კონტურებს რძესავით დაეღ-ვრება... აქედან დანახვამდე ცოტადა რჩება. შენი ნებაა, გააგრძე-ლებ თამაშს თუ საგანთა კონტურებს დაუბრუნებ მზერას...

ხოდა, ამავე თამაშს ვთამაშობ, ოლონდ სხივების ნაცვლად ბე-რებს „ვამწყვდევ“ და მერე თაგვივით „ვუშვებ“... აი, თითქოს ყუ-რებზე ხელის აფარებით ახშობდე ხმაურს და მერე ისევ აბრუ-ნებდე...

პაპას ფეხი რამდენჯერმე ნერვიულად მამცნობს ვიღაცის მოახ-ლოებას. ყურადღებას არ ვაქცევ. ბერები მიდიან და მოდიან, მი-დიან და მოდიან... ხმაური საუბრის ნაწყვეტებში დედდება. პაპას რამდენიმე ხმამაღალი და ნაწყენი ფრაზა და ვიღაცის ასეთივე ხმა-

მაღალი და უხეში პასუხი ერთიანად მაფხიზლებს. ვიღაც ფართობეჭებიანი და შინელიანი კაცის ზურგს ვხედავ მარტო. პაპასკენ ვტრიალდები - ნიკაპი უთრთის წყენისაგან. ხელით ჩემს თმებს ეფერება - თითქოს ხავსს ეჭიდებათ...

- ადამიანი უმე რძით არის გაზრდილი! - არ ვიცი, ვინმეს ეუბნება, თავის თავს თუ, ჩემთვის ისვრის ამ სიტყვებს შორეულ მომავალში???

...

არც ის ვიცი, მართლა იყო ეს, თუ სიზმარში ვნახე.

**2015 წ. დეკემბერი**

## მარათონი

ჯვრისა არ იყოს, მარათონიც ყველას თავისი აქვს. ჩემი პირველი მარათონები ასპინძაში, საბავშვო ბალის ეზოში იმართებოდა... დიდი ეზო იყო. ერთი მხრიდან სკოლისკენ მიმავალი გზა ესაზღვრებოდა, მეორე მხარეს - სკოლის ეზოს ნაწილი და „საერთო ბინები“ - ასე ერქვა იქ ჩამწკრივებულ კომუნალურ კორპუსებს. ხოდა, იყო ეზო ასე... ნუ, 42 კმ. -ზე ნაკლები, რა თქმა უნდა, მაგრამ 42 ნაბიჯზე ბევრად მეტი. იქნებოდა 150-200 მ., თუ ასაკის გამო არ მეჩვენებოდა ამხელა... მოკლედ, ერთი ღობიდან მეორემდე კარგა გრძელი გზა იყო და იქ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს სირბილში... ახლაც ყურში მიდგას ქარის ხმა ყურებში, მახსოვს მარცხენა ფერდის ქვეშ ყრუტკივილი, გასწრებული ამსანაგების აფრიალებული პერანგის ბოლო და წინ თითქოს ჩემკენ მთელი სისწრაფით გამოქცეული ხის მესერი... არ ვიცი, მთლად ბოლო არ ვიყავი მგონი, მაგრამ ჩემს წინ სამ-ოთხ ოფლიან ზურგს ყოველთვის ვხედავდი...

კარგი იყო! გაშლილი ეზო. 180 გრადუსიანი ხილვადობა - თითქმის გამჭვირვალობას რომ უტოლდება რაღაცით.... ნუ, რა რაღაცით და... მაგალითად, მისანდობლობით!

ცხადზეცხადია - ადრე თუ გვიან, შენც სიხარულით შემოგასკდება ის მესერი, შენივე სისწრაფით რომ მორბის შენკენ. მერე რა, რომ ორი-სამი ზურგი უკვე აჰკვრია მის ახლადშელებილ ფიცრებს, ამდენივე პირისახე შენ შემოგყურებს, მიზნამდე დარჩენილ შენს ბოლო ნაბიჯებს.

მაგარი იყო! მესერთან ყიუინით შეხლა და ცოტა ხანს შუბლით  
მიყრდნობა, მერე ზურგით.

ერთხელაც, როგორ მოხდა ასე, არ მახსოვს, ყველას წინ ალ-  
მოვჩნდი... მთელი სივრცე გაერთნაირდა. სულ რამდენიმე წამი  
გაგრძელდა ჩემი და მესრის პირისპირ სრბოლა... ახლაც მახსოვს,  
როგორ კინალამ მომახრჩო საკუთარმა გაკვირვებამ... და ვიდრე  
პირველად ყოფნის ამ გაკვირვებას გავიაზრებდი, სხვა გაკვირვება  
წამომენია... და დღემდე მიკვირს:

უკნიდან, დღესაც არ ვიცი, რამდენი წყვილი ხელი ჩამეჭიდა პე-  
რანგზე, არ წავქცეულვარ, მაგრამ გაქცევაც ველარ მოვახერხე - იმ  
რამდენიმე წყვილმა ხელმა ის ჩემი წამიერი გადასწრება დააწერტი-  
ლა. ახლაც ვხედავ, როგორ გადადგა გაოცებულმა მესერმა უკან  
რამდენიმე ნაბიჯი... და სამუდამოდ გაჩერდა იქ. ბავშვობაში.

**2015 წ. დეკემბერი**

## პირველი გამოცვევა

ჩემი ეთერი!

ასპინძის კულტურის სახლი ტიპური ძეგლი იყო საბჭოთა მასარ-  
ქიტექტურის. ასეთებს გადასაღები ქალალდებივით ამრავლებდნენ  
და დედამიწის ერთ მექქვესდსა და მის სატელიტ ტერიტორიებზე.  
ეს გახლდათ კოლონიებიანი ერთსართულიანი და თაღიანი შენობა,  
რამდენიმესაფეხურიანი კიბით და ორი სიმეტრიულად განლაგებული  
ფლიგელით.

ცენტრალურ შენობაში კულტურის სახლი იყო განთავსებული,  
სადაც, სხვათა შორის, 3-4 შესანიშნავი მსახიობი ყოველთვის მოღვა-  
ნეობდა და საინტერესო წარმოდგენები და სპექტაკლებიც არ გვაკლ-  
და. ყოველ შემთხვევაში, მე დიდ და განუმეორებელ მსახიობებად მე-  
სახებოდა ოთარ ცინაძე, ბადურ თურქაძე, ალა კრამარენკო... ნუ,  
ფაცია კოპლატაძეზე აღარაფერს ვამბობ. ის მართლაც რომ მაღალი  
კლასის მსახიობი იყო, ალბათ სესილიას ტოლიც კი... მესხეთს შებე-  
რებული ქვრივი, რომელსაც ერთადერთი შევილიც ავარიაში მოუკვდა  
და დარჩა სცენის და ერთგული ასპინძელების ამარა).

... ხო, მოკლედ კულტურის სახლი ჩემს ბავშვობაში ნამდვილად ამართლებდა თავის სახელს. ბევრი სიხარული მახსოვს იქიდან, ბევრიც - დაუგინწყარი ადამიანი და ამბავი.

ამ შენობის კულტურულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ერთიათად ზრდიდა მის ორივე ფლიგელში განთავსებული ორი ბიბლიოთეკა: მარცხნივ - დიდების, მარჯვნივ - საბავშვო. ჩვენს რაიონშიც „პიროვნების ზრდა“ ასეთი „მარშრუტით“ მიმდინარეობდა: ჯერ კიდევ ბალის ალსაზრდელი ნელ-ნელა ჯერ საახალწლო და სარვა-მარტო ზეიმებზე, მერე ოთარის და ბადურის ძალიან სასაცილო და გონიერამახვილურ სკეტჩებზე, ბოლოს თვით ფაცას მონაწილეობით გამართულ სერიოზულ სპექტაკლებზე დასწრების უფლებას ეტაპობრივად მოიპოვებდი (იმის მიხედვით, როგორ იქცეოდი, არ ხმაურობდი, ფისი არ გინდებოდა შუა სპექტაკლისას, მერე უკვე თემებსაც თუ წერდი: ჩემი საყვარელი სპექტაკლი... მსახიობი... ზოგ მმობელს საერთოდ აკრძალული ჰქონდა ბავშვის მიყვანა, უსაქციელობისა გამო), ამასთან, ჯერ საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველი ხდებოდი, მერე, მაღალ კლასებში, მგონი მერვე კლასიდან, შეგეძლოდიდების ბიბლიოთეკისთვისაც მიგმართა.... აქაც იყო გამონაკლისი: თუ საბავშვო ბიბლიოთეკის თაროებზე 2-3-ჯერ ზედიზედ არ აღმოჩენდებოდა შენ მიერ მოთხოვნილი წიგნი, ბიბლიოთეკარები რეკომენდაციას გინევდნენ და გვერდით ფლიგელში გადაგამისამართებდნენ. აქედან უკვე რაიონული „კულტურული სივრცე“ მთლიანად ხელმისაწვდომი და თავისუფალი იყო შენთვის...

ახლა ბიბლიოთეკარები: საბავშვოში - უნია წითლანაძე და ორი ეთერი (ტივაძე და თედორაძე) და „სადიდოში“ ვენერა შეყილაძე. ამათ მთელი ასპინძის მოსახლეობა ორ კლასტერად ჰყავდათ გაყოფილი: კარგი და ცუდი მკითხველი!!! ნუ, ის ვინც საერთოდ არ იყო ჩანერილი ბიბლიოთეკაში და მათ „სამწყსოს“ არ წარმოადგენდა, მათ სათვალავში და ანგარიშში არც შედიოდა.

უნია ტკბილი ქალი იყო. ფერიასავით ფერება უყვარდა (ეს მაშინდელი შედარებაა), ეს ორი ეთერი კი მეაცრი და ბრაზიანი მახსოვს, ხშირად უწევდათ ბავშვებთან ჩხუბი და ხმამაღალი საყვედური დახეული წიგნის ან დაბრუნების ვადის დარღვევის გამო და ცოტა არ იყოს, მეშინოდა მათი. მაგრამ მოვიდა ბიბლიოთეკაში ჩანერის დრო. ასე ერქვა მკითხველად გაწევრიანებას. ვიყავი პირველ კლასში. ასოები თანაკლასელებზე ადრე ვისწავლე. გამართულად ვკითხულობდი. საბავშვო წიგნების სახლის მარაგი უკვე ამონურუ-

ლი მქონდა - ზოგი მამაჩემმა წამიკითხა ადრევე, რაც დარჩა, ბოლო  
მე თვითონ მოვულე მალევე...

მოკლედ, გამოვცხადდი მარჯვენა ფლიგელში. დამხვდა ეთერ  
თედორაძე. შეავსო ჩემი ფორმულარი, დასვა ერთ ადგილას „პტიჩკა“  
და მეუბნება: ახლა აქ ხელი მოაწერე! ალბათ ძალიან შეშინებულმა  
შევხედე. რა იყო ეს ხელისმონერა, არ ვიცოდი. ჩემი უფროსი და კი  
ვარჯიშობდა ხოლმე ქაღალდზე, მახსოვს, დიდ გოგოებში ეს  
ერთგვარი გართობაც იყო: აბა ხელს ვინ როგორ აწერსო. მათ „ნა-  
ვარჯიშევს“ რომ დავხედავდი, რაღაც ხუჭუჭა ნახატების მეტს ვე-  
რაფერს ვხედავდი. კი მაინტერესებდა, მაგრამ იმ დროისთვის არ  
მქონდა ჯერ გარკვეული, ეს რა იყო... ხოდა, ეთერი დეიდა მკარ-  
ნახობს: შენი სახელის პირველი ასო დაწერე და მერე წერტილი...

ავიღე „სემიჩკაპეროიანი“ წითელი ხის კალმისტარი, ჩავაზე მწვა-  
ნეაპემოკიდებულ ახლადდაყენებულ „კოკრის“ მელანში, ენა ტუჩის  
მარცხენა კუთხეში საიმედოდ მოვამწყვდიე და გავუდექი „გზას“...  
როცა ჩემმა კალამმა მარცხნივ უსასოოდ გადაწოლილი, სიმძიმის-  
ცენტრდაკარგული, უჩვეულოდ თავნივრილა მ-ს ვეებერთელა მუცე-  
ლი, როგორც იქნა შეკრა და ენამაც მარჯვენა მიმართულებით  
საგრძნობლად წაინა, შედეგით უკმაყოფილომ საქმის გამოსწორება  
გადავწყვიტე და უფრო თამამი, უფრო წელში გამართული, უფრო  
სიმეტრიული წ- ასო წამოვინყე... - რას შვები! რას შვები! ზედმე-  
ტად ხმამაღლა შესძახა ეთერმა და ეტყობა, ისე შემეშინდა, რომ მა-  
შინვე დამიყვავა: არა უშავს, წაშალე და გვარი მიაწერე!

ახლა ეს „წაშალე“ რაღაა?! ჩენი ხომ პირველკლასელის რვეულში  
ვწერთ. სუფთა წერის რვეული ჰქვია: ლარისა მასწავლებელი სულ  
იმას გვთხოვს, როცა შეგეშლებათ, ხელი აღარ ახლოთ, არ დათხაპ-  
ნოთ, მიატოვეთ და წერა გააგრძელეთო!

ეთერს აღარ ვუყურებ! შუბლს ვმალავ - ისედაც ბევრ უცოდინა-  
რობაში გამომიჭირა დღეს. საკმარისია. რაღაც გამოსავალი თვითონ  
უნდა გამოვნახო. აი, ასე: ქვედა მარცხენა კუთხიდან მარჯვენა  
კუთხისკენ ენერგიული ხაზი მინდოდა, მაგრამ მელანი შეშრობია  
კალამს და ხარვეზიანი გამოვიდა. აი, „ჩავანე“ და ჯერ უკვე ზედა  
მარცხნიდან მარჯვნივ ჩამოვუსვი მელნის სქელი „ნაკადული“, მერე  
ის პირველი ხაზიც ხელახლა გადავატარე და უკვე ტუჩის მარჯვენა  
კუთხეში ენამიმწყვდეულმა პირდაპირ სახეში შევხედე ეთერს... არ  
გამომრჩენია მის შუბლზე გარბენილი ორი პარალელური ელვისე-  
ბური კლაკნილიც, მაგრამ ამან სიმშვიდე ველარ დამირღვია: რაც არ

უნდა იყოს, ამ ჯვარს, ჩემს სიცოცხლეში პირველად რომ გადავუსვი საკუთარ ნაწერს, ალარაფერი ეშველება. თუ რამეა, ხელახლა დავინციოთ, ვფიქრობ, მაგრამ არაფერს ვეუბნები და დავყურებ გისოსებიდან მომზირალ მ-ს და წ-ს...

- კარგი, იყოს! გვარი დაწერე ახლა, ხო შეგიძლია? - ეჭვის თვალით მიყურებს უკვე ეთერი.

- რას ჰქვია არ შემიძლია, უბრალოდ ძალიან ბევრ რამეს ვაკე-თებ პირველად, აი, დაუხაზავ ფურცელზეც პირველად ვწერ.

მოკლედ, ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი პირველი „ფაქსიმილე“: ბეგამართული, გამოკვეთილი, ლამაზი თავით, ჯერ გაბედული საწყისი მონასმი ოდნავ დახრილი „ცხვირი“, და მასზე ასევე გაბედულად მიშენებული „კარკასის“ ორივე - პატარა და დიდი ხაზი, რომელიც საოცრად წარმატებულად დავაგვირგვინე ზომით სიმეტრიული და ფორმით თითქმის იდეალური „მუცლით“... ალარ ამომისუნთქავს, ისე გავაგრძელე: ე - მახინჯი, თავნვრილა და დიდმუცელა, სიმძიმისცენტრდაკარგული და მთვრალივით აყანალებული, რ - რატო-მღაც ერთკბილად ჩაფიქრებული და ორი კბილით რეალიზებული, ი - დაგრეხილი, ძ - სიტუაციის გამოსწორების მწველი განცდით განმსჭვალული და ბოლო ე - უკვე თითქმის „დედნიდან“ გადმოწერილი, სწორი, ცალკე მდგომი, წინა ასოებთან შეუთანხმებელ-შეუთანასწორები, მაგრამ თავისთავად მშვენიერი.

მე ამოვისუნთქე, ეთერმა ამოიოხრა და მითხრა, რომ უკვე ვარ საბავშვო ბიბლიოთეკას მეითხველი და ჩემი რიგითი ნომერია 366.

ამ ჩემს ასაკში ძალიან ბევრი ციფრი დამავიწყდა.... ბევრმა ისე ჩაიარა, არც კი მიცდია დამახსოვრება. ეს ნომერი სულ მახსოვს.

როცა სულ ცოტა დრო გავიდა და ლარისა მასწავლებლისგან ის-იც ვისწავლე, რომ ხან 365 და ხან 366 დღეა წელიწადში, დავიჯერე, მორჩილად მივიღე და ალარასოდეს შემპარვია ეჭვი, იმაში, რომ ეს ციფრი ნიშანი იყო და შემახსენებდა ჩემს ბედისწერას, რომლის მიხედვით და გამოც დარჩენილი სიცოცხლის 366 დღე წელიწადში წერასა-კითხვაში უნდა გავატარო (ნუ, უფრო სწორი იქნება - კითხვასა და წერაში).

მთელი ეს ამბავი კი წიგნების სიის ფბ გამოწვევამ გამახსენა. იმ დღეს პირველი გამოწვევა მივიღე. „რობიზონ კრუზო“ წამოვიდე ჯიუტად (არ მატანდა, შენთვის ადრეაო) და როცა დავუბრუნე, არ მიჯერებდა: ასე მალე რას წაიკითხავდიო. არ დაეზარა, სულ კაპიკ-კაპიკ გამომკითხა და ჩაიბარა მთელი ტექსტი.

მე პირადად, დღემდე მომყვება ეს ჩვევა: წიგნი ვინც მირჩია, ის-იც სამუდამოდ ამ წიგნთან კავშირში მამახსოვრდება, როგორც თა-ნაავტორი.

ეთერ თედორაძე ერთი ასეთი თანაავტორი იყო ჩემი ბავშვობის წიგნების. გაუთხოვარი იყო და მპირდებოდა, ჩემი წიგნები შენ უნდა დაგიტოვოთ. თავად არ გათხოვილა, მაგრამ მამამისმა შეირთო სი-ბერეში ცოლი და შვილებიც გაუჩნდა. ეთერმა სანიმუშო თანადგო-მით მიიღო მონანილეობა კარგი და-ძმების გაზრდაში და ბუნებრი-ვია, თავისი წიგნებიც და თავისი კეთილი სახელიც მათ დაუტოვა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

## დიდი ხნის ნინათ

დიდიდი ხნის წინათ. მთაწმინდაზე, აი, ტრამვაის გაჩერების წინ რომ პატარა სკერია, იქ ჩემი ორი პატარათი გავჩერდი. ბალიდან მომყავდა ერთი ხელში ატატებული, მეორე – ზურგჩანთით მოკიდე-ბული. გამაჩერა მოხუცმა ქალმა-მაღალი, გამხდარი, ოდნავ ნევ-როზული თუ უბრალოდ, დაღლილი გამომეტყველებით:

– ესენი რო აგიკიდებია ამ ჩხირივით გალეულ გოგოს, პატრონი არ გყავს? ჩამოგივარდება ყველაფერი, ქალად აღარ ივარგებ, გგო-ნია მადლობელი დაგრჩება რომელიმე? შენს ახალგაზრდობას და სილამაზეს სასაცილოდ არ იმყოფინებენ, ჯანმრთელობას ცხვირში ამოგადენენ, რაც შეგრჩება; თავის უძლურებას შენ დაგაბრალებენ, შენს ძალას თავისად გაასაღებენ და გაფლანგავენ... 50 წლის რო გახდები დაგავიწყდება, ქალი რომ ხარ, სიკვდილი სანატრელი გა-გიხდება, მაგრამ ისევ მაგათ დასჭირდები...

... ვერც დავჯექი. ვერც წავედი. ვდგავარ ასე ბავშვებაკიდებული და გვამუნათებს ეს ქალი მე და ჩემს შვილებს. მე იმისთვის, რაც ვიტვირთე. იმათ იმისთვის - რაც ჯერ არ ჩაუდენიათ...

ასე ხელუკულმა შემომაყარა მთელი თავისი ბიოგრაფია და გამ-ცილდა.

რას მერჩოდა? ახლაც ვერ ვხვდები.

2015 წ. ოქტომბერი

# იმიტობის განვითარების პრიზი

## მანანა კობაიძე

დაიბადა და გაიზარდა ფასანაურში. 1982 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სადიპლომო და სადისერტაციო ნამრთობები დაწერა პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. 1984 წლიდან მუშაობდა ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1994-95 წლებში მუშაობდა თსუ ახლციხეს ფილიალში. 1996 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს შევედეთში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. გამოქვეყნებული აქვს ლექსები და სამუცნიერო შრომები.



\*\*\*

აგვისტოს ფერისცვალებამ  
ლვთისმშობლის მიძინების სიახლოვე შეგვატყობინა.

ყველაფერი ჩემს გულში გადაინასკვა და  
მიტვდი, რომ როცა ხმამაღლა ვიტყოდი, რომ მიყვარდი,  
მაშინ ამოვიდოდა ია შენს საფლავზე.

და დავბერდებოდი.

ხორცისყვავილებჩამომჭენარი,  
სირცხვილისალებჩამომჭენარი

ნყნარად ვიტყოდი შენზე:

— დიახ, მიყვარდა დიდხანს,  
მთელი ჩემი ახალგაზრდობა.

სანამ დავიბადებოდი, მანამდეც მიყვარდა.

შემთხვევა იყო ჩვენი შეხვედრა დიდ ქალაქში.

სინამდვილეში ჩემი გული

მუდამ მის თვალებში და მის სახელში იყო გამონასკული,  
დაბადებამდეც.

ის ქალაქი მერე გაჩნდა ჩვენ გზაზე.

ის ქალაქი სულ შემთხვევით გაჩნდა ჩვენ შორის.

გაჩნდა და დაგვაშორა,

ეშინოდა ჩვენი შეხვედრისა

თავის ქუჩებში.

\*\*\*

ენა

ფერს აძლევდა სამყაროს ბინდებს,  
საყვარელი სახლის ღობეზე  
ჩამოყრდნობილ ლელვის ხეებს  
ჩამოეწყოთ მრგვალი მკერდები,  
აივანზე გადმომდგარი ქალებივით  
მდიდარი იდუმალებით.

პირველ კლასში

შენი მასწავლებელი ჭალარა თმას რო ჩამოიშლიდა და ისევ შეიკრავდა  
გაკვეთილზე.

შენ რომ დაგავიწყდა შენს ქორწილში დაგეპატიუა.

და მერხის სუნი –

შენს არსებაში შეფარული ხსნა სამყაროსი –

ყველაფერი აკრიფე და აასხი ლექსებად,

როგორც მარწყვს ასხამდით სვილაზე ქვეყნის დასაწყისში  
შენ და შენი ძმა.

\*\*\*

როგორ მიკვირდა –

რომ სასახლეში არ ცხოვრობდი –

რომ ჩვეულებრივი სახლი გედგა,

რომ შენს სახლში ყველაფერი არ ბრნყინავდა და  
მაგიდაზე პურის ნამცეცები ეყარა.

საწოლზე მიაშენი წამონალილიყო და

შენს დისშვილს ეთამაშებოდა.

დედაშენი შენს დას პურზე აგზავნიდა და

უხაროდა, რომ

გესტუმრეთ.

როგორ მიკვირდა –

რომ შენი პერანგის საყელოს

ეტყობოდა, რომ არ იყო

გახამებული.

და ყოველდღიურება

რა დაუდევრად ბრუნავდა შენს ირგვლივ.

ფრთხილად, ფრთხილად,

ფრთხილად, ჰერო – არ შეირხე –  
როგორ მიკვირდა,  
რომ ასე ლამაზს  
ასე უბრალოდ გატარებდა ჩემი ქალაქი.

## ანგარიში, ანუ აღსარება

ჩემი ვნებების საშინელ გზაზე  
ფეხსახსრიანების აღლუმი.  
კალიები, ჭრიჭინები, ტარაკანები,  
ობობები,  
და აპა, ბოლოს –  
თვით მორიელი!  
რომელიც ადრე ღრიანკალად მემცნო და,  
ორჯერ შვიდი წლის წინათ,  
როცა პირველად მიყვარდა კაცი,  
რომლის მერეც  
დაახლოებით  
სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ ვიყავი შეყვარებული,  
და ყოველთვის თავდაჯერებით,  
რომ ამის მერე აღარავინ მეყვარებოდა,  
იმ კაცმა  
სიზმარში მოციქული მომიგზავნა  
(ორჯერ შვიდი წლის წინათ),  
რომელმაც მამცნო,  
რომ მე ვიქნებოდი მონაწილე –  
ფილმისა, სადაც  
ღრიანკალი ტოტებზე ისხამს ქალწულებს და  
ამზიფებს ვნებით,  
ვიდრე დედაბრებად ჩაშავებულებს  
წყალს გაატანდეს,  
რაზეც დავწერე ლექსი  
– მონაწილეობა –  
რომელიც დავბეჭდე ჩემს წიგნში  
– კომშის ყვავილი –  
რომელიც მარტო ჩემმა მეგობრებმა წაიკითხეს,

კიდეც ასრულდა.  
მაჯობა ღრიანკალმა.  
და სიტყვა – უკანასკნელად –  
რომელიც ახალგაზრდობაში  
სიყვარულთან არის ჩაწნული,  
და სიბერეში მხოლოდ სიკვდილს დაუწყვილდება,  
ჩემთვის უკვე ჩამოსცილდა  
სიყვარულის სასტიკ სიმკაცრეს.  
გადნა ჩემი კრისტალებად მბრწყინავი სიყვარული,  
– ვარსკვლავის მსგავსი,  
დაკარგა სიტყვა — უკანასკნელად,  
გადნა და გუბედ დაიღვარა,  
გაერთხა მიწას.

\*\*\*

ყველაფერს გულს გარეთ ვაკეთებ.  
გული სადღაც ქვაზე დავდე. გავიარე და წავედი.  
ამიტომ ვერ ვიძინებ.  
სადღაც მელოდება ჩემი გული, რომ წინ დამხვდეს.  
მე კი მეშინია.  
და თანდათან უფრო მეტად ვკარგავ ყველა გზას იმ გულისკენ.  
შუალამეებში შევდივარ მღვიძარი — ველარც იქ ვპოულობ.  
შუალამის იქით კი ისევ ის დღეებია.  
შუალამის გულში გეძებ.  
აქ სადღაც არის  
დროის გარე გამოქვაბული,  
სადაც შეგხვდები.

\*\*\*

მთელი დღის საქმეებით გართულს და დაღლილს,  
ლამის პირას,  
ძილის პირს მიმდგარს,  
მრჩება რაღაც ყველაზე მთავარი გასაკეთებელი,  
რისკენაც მთელი დღე ვიჩქაროდი,  
ვჩქარობდი ყველაფრის დროზე მოსწრებას,  
რომ ბოლოს – ეს ყველაზე საწყვერი და საჭირო საქმე ამესრულებინა –  
და მოვიხედავ – ყველა საზრუნავს გამოსწრებული,  
ყველა საქმემოთავებული,  
მოვიხედავ – სად არის ის,  
რისკენაც ვჩქარობდი.  
აღარ მახსოვს რას ვაპირებდი და ვეღარ ვიძინებ.  
თითქოს გარეთ დამიღამდა.  
თითქოს სადღაც მელოდებიან.  
მე კი გზაში ვარ.  
მთელი ცხოვრება ასე წამივიდა.  
ვერ ვირწმუნე სადა მაქვს სახლი, სადა მყავხარ.  
სად იქნება ჩემი საფლავი.

\*\*\*

დილაა შიშის,  
სიზმრის გზიდან გამოყოლილი  
ტვირთის სიმძიმე.  
დილაა შიშის.  
ყვავილებმა დანამეს მინა.  
მზემ შუბლზე ხელი გადაუსვა  
მინდვრებს და სახლებს.  
და შუშაბანდებს.  
რა ესიზმრება დედამინას, როდესაც სძინავს  
მის ერთ ნახევარს.  
რა აგონდება  
საკუთარ ჩრდილში.  
დილაა შიშის.  
გამოქვაბულს ლოდს მოაშორებ.  
გადმოგორდება ახალი დღე,  
ამოვლებული მზის ბრწყინვაში

წითლად მბრნეულის,  
სიკვდილებით დაწინწკლული  
ჭიამაია.

\*\*\*

მასწავლე წეიმის სიმდიდრის ნიჭი,  
ნანგრევის ქვებში  
ლურჯი ყვავილის  
გარინდებული შუადლის რხევა,  
საღამოს წყალში გაძლების ძალი.  
შემიმსუბუქე აქ ყოფნის ბარგი –  
შორეული ხმის მოტანილ დღეთა  
დამღლელი დარდი,  
მიმაახლოვე სასუტელების ტივტივა ბაგეს.  
გამომხსენ ამ დღეს,  
სადმე სამოთხის მიწაზე დამრგე.

\*\*\*

პოეტი – კეთროვანი.  
მოურჩენელი ავადმყოფი.  
მარად სარიდალი.  
შემოგხედავენ — ცივი წყალი  
შემოგესხმება.  
ჰაერი გეხვევა,  
ნაჭუჭი გეხსნება,  
ვარსკვლავი გჩხვლეტს და თვალში გივარდება.  
სხვების ყვავილი  
ნაყოფად მწიფდება.  
შენი იბნევა ბაბუანვერას სიმსუბუქით  
შორეულ მინდვრებზე,  
ისევ ყვავილად  
აყვავდება,  
იქცევა სიზმრებად.

\*\*\*

ცოტა ხანს გაჩუმდი.

ცოტა ხანს გამოეხსენი იმის ფიქრს, რომ  
სამი საათისთვის

მტვერი გადაწმენდილი უნდა იყოს და  
სადილი მოხარშული.

რომ მანამდე ეს უნდა მოასწრო და იმას უნდა მიუსწრო.  
ჩამოჯექი.

მოუსმინე საგნების სიჩუმეს.

დაისვენე.

დროს მიეცი თავისი დრო. ტვირთი ჩამოდგი.  
სამყარომ შენი უთავბოლო ფუსფუსისგან  
ერთი წუთით ამოისუნთქოს.

\*\*\*

ახალციხეში თოვლითა ხართ გადალესილი  
ძვირფასო მთებო.

საერთო საცხოვრებლის კარის ზღურბლთან  
ყინულია გადართებული.

ჩემი ოთახის ფანჯარა – ჩრდილოეთისკენ მაცქერალი –  
ყინულებით აყვავებულა,  
მოხატულა,

გადაფოთლილა.

ეზოში შეშას ხერხავენ ბიჭები და სცხელათ ამ ყინვაში.  
იყრება ნახერხი, ყვითლად და ოქროსფრად იფინება  
ლურჯცისფერ თოვლზე.

მესამე სართულის ფანჯრიდან  
მანანა სონდულაშვილის დიდი შავი თვალები  
გადმოამზევებენ

უცნაურ ნაღველს – ქართველი ქალისას –  
კახეთის ვენახებიდან წამოსული მადლი სცხია  
სუფთა შუბლზე.

ახალციხე იზნიქება  
თოვლის სიმძიმით.

# იმპიტორაზე პოეზია

## ლეილა მაჩაიძე, საბერძნეთი, თესალონიკი

დაიბადა 1963 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვაგაში.

2004 წლიდან ოჯახით ემიგრაციაშია, საბერძნეთში, თესალონიკში.

ბავშვობიდან წერს და ხატავს. გამოცემულია მისი ლექსების კრებულები - „მამასთან ერთად“, „ჩემი რაჭა“ და ჩანაწერები „ინგას უბნიდან“, „მუზა“. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.



\*\*\*

**მამა** — ის, ვინც მეშინია, რომ არ დამიბერდეს.

**გზა** — ის, რაც მთელი ცხოვრება თითქოს ფეხქვეშ მაქვს და მაინც ვეძებ.

**ყავა** — დილის სინონიმია.

**სიყვარული** — მატარებელი, რომელზეც მაგვიანდება და უნდა მივუსწრო.

**მეგობარი** — ადამიანი, რომელიც მეუბნება, რომ მარტო არა ვარ.

**დედამინა** — ბურთი, რომლზეც ყველა ვთამაშობთ.

**სარკე** — ვისაც ვუყურებ ყოველ დილით და არასდროს ველაპარაკები.

**დედა** — ის, ვინც ყოველთვის მენატრება.

**სახლი** — ადგილი, სადაც როცა ვარ, გაქცევა მინდა და როცა არ ვარ — დაბრუნება.

**ხალხი** — ვინც ყოველთვის ერთად მოგროვილი წარმომიგიდგენია და სინამდვილეში ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

**გული** — ის ადგილი, რომელიც ბავშვობიდან მანუსებს.

**მოთმინება** — როცა უზრდელი ბავშვი ნერვებს მიშლის, მშობელი კი იქვე დგას და თავს ვიკავებ.

**თოვლის პაპა** — უკვდავი თოვლის კაცი, რომელიც ბავშვობაში ღმერთი მეგონა.

**პეპლების საჭერი** — ის, რაც არცერთ ჩემს მეგობარს არ ჰქონდა  
არასდროს.

**მზე** — რასაც პირველად ხატავენ ბავშვები.

**თოვლის გუნდა** — ერთადერთი რაღაც, რომელსაც გესვრიან და არ  
გწყინს.

**ცხოვრება** — ის, რასაც ყველა ჩემი უიღბლო ნაბიჯი შემიძლია და-  
ვაბრალო.

**ღმერთი** — ის, ვინც თუ ვთხოვ, ყველაფერს მაპატიებს.

**ლექსიკონი** — წიგნი, სადაც ამ ყველაფერს სხვანაირად მიხსნიან...

## დავადი...

ნავედი, არასდროს მიკითხო,  
არ მოვალ, მუხლებზეც დამიდგე,  
ნაკვალევს ახლავე წავშლი და  
ჩემს სახეს ვერასდროს აღიდგენ...  
ვიცი, რომ დამიწყებ ძებნასაც,  
მიპოვი, გვინია ოდესმე?  
არ მინდა, გიხილოს თვალებმა,  
რომელსაც კოცნიდი ყოველდღე...  
დამთავრდა ოცნება, ორივეს  
ცამდე რომ მიგვქონდა გულებით,  
ღრუბელმა დასრისა ზეცაში  
და მინას აპკურა ქულებით..  
გითხარი, მორჩა და დამთავრდა,  
შენ მაინც მოყვები ნაკვალევს,  
იცოდე, წავშალე, სხვისია,  
რომ აღარ ვარსებობ, ჩათვალე...!

\*\*\*

მოდი, ერთად ვერიფოთ გვირილები,  
ერთად მოვუაროთ მინდორ-ველებს,  
მოდი, თმებში ჩამანანი შენებურად,  
გული გაეუხეთქოთ იქნებ ჩვენებს.

## 80 ამ თოვლა... 80 ამ თოვლა...

მე ამ თოვლმა შენი თავი გამახსენა,  
ნაკვალევი, ჩვენი დიდი ოდა სახლი,  
სიობო, სიტყბო, სიხარული, აღმაფრენა,  
ბუხარი და ღვინით სავსე ორი თასი...  
რა დრო იყო, ფანტელებიც გვახარებდა,  
გვახარებდა ერთად ყოფნა გატაცებით,  
ბუხრის შუქი ანათებდა ჩვენს პროფილებს  
და თვალებიც კიაფობდეს აღტაცებით...  
გვიხაროდა, გვიხაროდა ერთად ყოფნა,  
ვსაუბრობდით ჯერ არ მოსულ ახალ წელზე  
და ლიმილით მიკოცნიდი ტუჩის კუთხეს,  
და ჩვენ ორნი არ ვფიქრობდით არაფერზე...  
გარეთ თოვლის ფანტელების ჯერი იდგა,  
ბარდნიდა და ათეთრებდა ეზო-სახლებს,  
ის სიცივე ვერ აღწევდა ჩვენს გულამდე,  
ვერ აქრობდა ჩვენს გულებში წმინდა სანთლებს.

## 60 შემაცევება!

არა, სიყვარულო, გთხოვ, ნუ შემაწუხებ,  
მე ხომ უშენოდაც ყველა მიყვარს,  
ფრთებს ნუ გამოიბამ, ფრენას ნუ დაიწყებ,  
კისერს ნუ მოიტეხ კიდე, მითქვამს...  
ნეტა ეს ღრუბლები რას მპირდება,  
ანდა ძველ სიყვარულს რად მაგონებს,  
ჩემთვის ახლა უკვე სულ ერთია,  
დავიწყებულ ფიქრით რომ მაოგნებ...  
მოდი და ვეცადოთ, აღარ გავიხსენოთ,  
ნარსული ხომ უკვე მაინც ნარსულია,  
ძველი სიყვარულიც სადღაც გადიკარგა,  
ის ხომ წლების უკან უკვე ნასულია...

ნუღარ შევაწუხებთ და ნურც დავაპრუნებთ,  
იქნებ უკეთესი გზები ნახა,  
იქნებ ახლა ვისაც ჩაეხუტა,  
მასთან აიხდინა წრფელი ნატვრა.  
არა, სიყვარულო, გთხოვ, ნუ შემაწუხებ,  
ახლა ჩემი გული უფრო ჭკვიანია,  
გითხარ, უშენოდაც ყველა მიყვარს,  
ფრენას ნუ დაიწყებ, უკვე გვიანია!!!

## როგორ ლაგაზად ცვიმდა...

იცით, ხანდახან მგონია, რომ აღარ ვარსებობ,  
ეს მე არა ვარ და ვიღაც სხვა აქ ჩემში მზეობს,  
ის ჩემ მაგიერ იღიმება, ანდა სულ ტირის,  
და ამ ქარიშხლებს მე კი არა, ის ვიღაც მეობს...  
ნუ გეცინებათ, მართლა, ასე რაღაც ფათურობს  
და გულმუცელს მიმღვრევს შინაგანად რაღაც ეული,  
ნუთუ ეს მე ვარ, წყნარი ქალი წინათ რომ ვიყავ,  
თუ ვიღაც სხვაა ჩემს სხეულში გადარეული...  
წინათ ვიცი, რომ არ შემეძლო, ბუზი მომეკლა,  
ქუჩაში უმწეო მოხუცებზე სულ რომ ვტიროდი,  
ვინმეს შიოდა, მოფერება არ დამიკლია,  
პატარა ბავშვებს ვნახულობდი, სახლში ვსტუმრობდი...  
ახლა კი ვხედავ, ეს გულიც კი გამქვავებია,  
ფიქრითაც მგონი სადღაც შორით, შორით დავქრივარ,  
ალბათ სამშობლოს მონატრებამ სულ გადამრია  
ალბათ ვთქვი, ალბათ, ალბათ, ნეტა რას ჰქვია...  
მომნატრებია და ამიტომ სხვას ალარ ვფიქრობ,  
მე ჩემეული ჰაერი და ცა მინდა წმინდა,  
მასზე დავწერო, თუკი რამე დამიწერია,  
თუ სამშობლოში როგორ თბილად, ლამაზად წვიმდა...

## ამპავი ჩვენი

მე ჩვენს ლრუბლებზე მეძინა წუხელ,  
საბნად ლრუბელის კალთა მეფარა,  
უნდა გამეცან ღმერთის ნებართვით,  
რომ სიყვარული ლექსად მეზღაპრა.  
ზამთარია და მაინც არ მცივა,  
მათბობს ღიმილი, ასე რომ გშვენის  
და კიდევ ბევრი დაიწერება  
ლექსში ნათქვამი ამბავი ჩვენი...

## ახალი ცლის ავემარია...

ქარია გარეთ, იყოს ქარი, მე რას დამაკლებს,  
გულში ჯერ კიდევ გაზაფხულის წმინდა დარია,  
გინდაც ითოვოს და დაბარდნოს ჩემი ქალაქი,  
ბედნიერი ვარ და ამიტომ, გულს უხარია....  
ციდან ეშვება ფანტელების კორიანტელი,  
ხეებზე ფოთლებს გაუმართავთ ცეკვა არული,  
ქარი კი მღერის ახალი წლის ავე მარიას  
და ყველა მხრიდან მესმის, ჩვენი ძველი ქართული....  
აქაც მღერიან ჩვენებურს და უკრავენ კიდეც,  
სახეს უმშვენებთ, ბედნიერი გამოხედვები.  
სუფრას უსხედან, ლოცავენ და ადლეგრძელებენ,  
შობა-ახალ წელს, ჩვენი ერის შთამომავლები....  
გარეთ კი ისევ დაწანწალებს ქარი უხეში,  
მაგრამ ქარისთვის ახლა წეტა ვისა სცალია,  
ადლეგრძელებენ ერთმანეთს და გულს უხარებენ  
და ისევ ისმის ახალი წლის ავე მარია...

# იმპიტორანტული პროექტი

ნუნუ ლურჯუმალიძე, კანადა



## ზორავრეში

### კვერცხი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლარიბი კაცი, პეტრე, რომელსაც არაფერი ებადა, არც სახლი ჰქონდა და არც კარი. ის ერთი დიდი ხის ფულურობში ცხოვრობდა, სოფლის მახლობლად. ზოგჯერ სოფელში ვინმეს მიეხმარებოდა და ორ ლუკმა საჭმელს მისცემდნენ.

ერთხელ, თავისი ფულუროსკენ მიმავალმა შუკაში კვერცხი იპოვა. გაუხარდა. შევჭამო, იფიქრა, მავრამ შემდეგ გადათქვა – მოდი, კვერცხს უბეში ჩავიდებ და როცა გამოიჩეკება, გავზრდი, დედალი იქნება, კვერცხს დადებს, გამოიჩეკავს, კიდევ გავზრდი და ბევრი ქათმები მეყოლებაო. ასეც მოიქცა, კვერცხი უბეში ჩაიდო და როცა წინილა გამოიჩეკა, არაფერს აკლებდა, უვლიდა და ეფერებოდა. წინილა წამოიზარდა თუ არა, ყივილი დაინტენი. მიხვდა პეტრე, რომ გეგმები ჩაეშალა. ჯანდაბას, გავზრდი, გავყიდი და იმ ფულით დედალს ვიყიდიო. ყვინჩილა წამდაუწუმ ყიოდა. არც დილა იცოდა, არც შუადღე და არც სალამო. საცოდავ პეტრეს სხვა გაჭირვებასთან ერთად, ალარც აძინებდა.

ერთ დილას პეტრემ დაიჭირა ყვინჩილა და ბაზარზე წაიყვანა – დაკვლით ვერ დავკლავ, რომ შევჭამო, ჩემი გაზრდილია, როგორ

დავკლა – ისევ გავყიდი, დედალს ვერა, მაგრამ რამდენიმე კვერცხს ვიყიდი, გამოვჩეკავ, ერთი როგორ არ გამოვა დედალიო. მაგრამ, ვაითუ, ყველა ყვინჩილა გამოვიდეს. ჯანდაბას, არ ლირს ამდენ წვალებად, ერთ სადილს მაინც შევჭამ არხეინად, გაჭირვებულის საშველი არასდროს იქნებაო – დასკვნა. არაფერი მაბადია, ერთი ძილი მქონდა და ისიც დავკარგე ამ კვერცხის პოვნითო.

გაყიდა ყვინჩილა, ფულით ერთი სადილი მიირთვა და თავის ფულურო-სახლში დაბრუნდა. ბალიშზე თავი დადო – კარგად გამოვიძინებო. ის იყო თვალი მილულა, რომ „ყიყლიყორ“ – შემოესმა. თვალი გაახილა და ყვინჩილა არ დაინახა? ჯერ გაბრაზდა, მოვკლავ ამ ოხერსო, მაგრამ შემდეგ მოაფიქრდა: ამ ყვინჩილით შეიძლება ბევრი ფული ვიშოვო, გავიყვან, გავყიდი, ისევ მოვა სახლში, ისევ გავყიდი და ასე დიდ ფულს მოვუყრო თავსაო. მართლაც ასე მოიქცა. ამასობაში ყვინჩილაც გაიზარდა, ლამაზი ბიბილოთი და დეზებით დამშვენდა და უფრო ძვირად იყიდებოდა. პეტრემ ფული იშოვა, დედლებიც იყიდა, ლორებიც, საქონელიც, სახლიც, მიწაც და მშვენივრად მოეწყო. მართალია, მამალი დღედალამ განურჩევლად ყიოდა, მაგრამ პეტრემ ისეთი ოთახი მოიწყო სარდაფში, მისი ყივილი დიდად აღარ აწუხებდა. მამალსაც საუცხოო საქათმე აუშენა და დედლებიანად შიგ მოათავსა. თუმცა ჯიუტი და მყივანა მამალი მაინც თავის ჭკუაზე დადიოდა და ყიოდა.

ნათქვამა: კოკა წყალს სულ არ მოიტანსო. ერთ დღეს მამლის ერთი მყიდველი პოლიციელებთან ერთად მოადგა პეტრეს სახლს. პეტრე თაღლითობისთვის დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. მამალი პეტრეს ხომ არ მიატოვებდა, ციხის თავზე შეხტა და დღე და ღამე ყიოდა. აღარც ციხის მცველ პოლიციელებს აძინებდა და აღარც პატიმრებს. თავმობეზრებულმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხდეს, ხოლო ციხის მცველებმა ციხის უფროსს განუცხადეს: თუ მამალს ციხეს არ მოაშორებ, მუშაობას თავს დავანებებთო.

ციხის უფროსის ბრძანებით მამალი დაიჭირეს, ძალიან შორს წაიყვანეს და იქ დატოვეს, მაგრამ დაბრუნებულებს მამალი ისევ ციხის თავზე დახვდათ მოკალათებული და განუწყვეტლივ ყიოდა.

ციხის უფროსი იძულებული გახდა, პეტრე გამოეძახებინა, როცა პეტრე მცველებმა ოთახში მოუყვანეს, ციხის უფროსმა უთხრა:

– გათავისუფლებ, წადი სახლში, ოღონდ ეს მამალი მოგვაშორე და ჯანდაბამდე გზა გქონიაო.

გახარებულმა პეტრემ მამალი ბეჭზე შეისვა და სახლისაკენ გას-  
ნია, თან მამალს ეფერებოდა: „შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებო-  
დაო“.

პეტრე დღითიდღე მდიდრდებოდა. ცოლიც შეირთო, შვილებიც  
შეეძინა, მამალმაც დედლებთან ერთად მრავალი წიწილა გამოზარ-  
და. პეტრე თავის ოჯახთან და მამალთან ერთად დღესაც ბედნიე-  
რად ცხოვრობს.



მხატვარი – თამარ თამარაძე

## საოცრების ქალაქი

იყო და არა იყო რა, იყო საოცრების ქალაქი აური. იგი დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ თურმე ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა და ძალიან ბევრი გემი სტუმრობდა.

ქალაქ აურის მცხოვრებლები სხვადასხვა რჯულის ხალხი იყო, მაგრამ სალაპარაკო ენა ერთი ჰქონდათ – აურული. მეც ამ ქალაქში ვცხოვრობდი.

ქალაქის მეფეს დიონიტე ერქვა. მას სამი შვილი ჰყავდა: ვაჟი გაგატი, მზეთუნახავი ეკაკა და გონჯი ლოლასი - ოჯახის პირველი შვილი. თხუთმეტი წლის ეკაკა ყველაზე უმცროსი იყო. მიუხედავად მისი მცირე ასაკისა, თითქმის ყველა ქვეყნის მეფეს უნდოდა რძლად – დღე ერთი იყო და მისი ხელის მთხოვნელი – ათასი. მზეთუნახავი ეკაკა კი ამბობდა: „ცოლად იმას გავყვები, ვინც აურში ზღვას დააბრუნებსო“.

ერთ დღეს აურში ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაც წვეროსანი ესტუმრა ქალაქს. უცნობი ქუჩაში ჯვრით დადიოდა და წამდაუწუმ ლოცულობდა. მეც შემხვდა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავბედე. თუმცა აურელები რის აურელები იყვნენ, ამ კაცის ვინაობა რომ ვერ გაეგოთ.

– ბიჭო, ათანასე! – ეძახდა ჩემი 100 წლის მეზობელი თებრომია მეორე მეზობელს, – აურში ერთი სწავლული ექიმი ჩამოსულა, თურმე სასწაულებს აკეთებს.

არ იფიქროთ ეს ბიჭი – ათანასე, მართლა ახლად წვერმოლილნილი 17 წლის ყმავილი ყოფილიყოს, ისიც თებრომიასავით ლრმა მოხუცებული იყო, მაგრამ ერთმანეთს გოგო-ბიჭს ეძახდნენ.

– არ გადამრიო, გოო! – უპასუხა ათანასემ.

– გააგებიე მაი ამბავი, შენი ჭირიმე, ბაბილინას, ეფროსინეს, აღათიას..., ძალიან ბევრი სახელები ჩამოუთვალა.

სამი დღე ჩოჩქოლობდა აური, შემდეგ მიწყნარდა – აური ქალაქის ახალი მცხოვრების მიღებას შეეგუა. უცნობი წვეროსანი მოხუცი – სასწაულმოქმედი ექიმი მეფეს ესტუმრა, თავისი თავი გააცნო და სასახლის იმ ოთახში დამკვიდრდა, რომელიც მეფემ გამოუყო საცხოვრებლად.

ლამაზი და ამაყი ეკაკა დღითიდღე მშვენდებოდა. გონჯ ლოლას მისი საერთოდ არ შურდა, შურდა კი არა, კეთილი ლოლასი მოახლესავით დასდევდა უკან და სულ იმის ფიქრში იყო, მშობლებისათ-

ვის, და-ძმისათვის და ყველა გარშემომყოფისათვის რა ესიმოვნებინა. ლოლასი დის მშვენიერებით ხარობდა, დის სახელზე გამოგზავნილ უფლისწულთა საჩუქრებს დიდი სიხარულით მიარბენინებდა მის ოთახში.

ერთ დღეს ლოლასს სახელზე გამოგზავნილი დიდი, ლამაზი თაიგული შემოუტანა მოახლეობა, შიგ წერილი იდო, სადაც ენერა: „ლოლას, ძალიან, ძალიან მიყვარხა“ ლოლასი არ დაფიქრებულა, ეს თაიგულიც დას შეუტანა, იფიქრა, ალბათ ვიღაცას ჩემი დის სახელი შეეშალა.

მეფის სასახლეს მოულოდნელად უბედურება ენერა: უფლისწული გაგატი ძალიან დაავადმყოფდა, აურის ექიმებმა მისი გადარჩენის იმედი დაკარგეს. ტიროდა ლოლასი, ლვარად ჩამოსდიოდა ცრემლები, ლოცულობდა, კოცნიდა გაგატს და ლმერთს მის გადარჩენას სთხოვდა.

ხელმწიფეს ის წვეროსანი გაახსენდა, სასწაულებს რომ ახდენდა, გამოიძახა და უთხრა:

- მთხოვე, რაც გინდა, ოღონდ შვილი გადამირჩინეო.
- შვილს გადაგირჩენ, - შეპეირდა წვეროსანი, - ოღონდ შენს ქალიშვილზე უნდა დამაქორწინოო.

ხელწიფეს გაახსენდა მისი ჯიუტი ქალიშვილის სურვილი, აურში ზღვის გაჩენას რომ ითხოვდა და წვეროსანს ჰკითხა:

- შენ შეგიძლია აურში ზღვა გააჩინოო?
- მე შემიძლია ავადმყოფები მოვარჩინო, რადგან ექიმი ვარ, ზღვის გაჩენას კი ვერ შევძლებო.

დამწუხრდა მეფე. მაგრამ გადაწყვიტა, ოღონდ შვილი გადარჩენოდა და ძალა დაეტანებინა ეკაკასთვის.

- კარგიო, - შეპეირდა წვეროსანს, - ჩემს ქალიშვილზე დაგაქორწინებ, ოღონდ შვილი გადამირჩინეო.

ლოლასი კი განუწყვეტლივ ტიროდა. იმდენი იტირა, ცრემლების მდინარეები გაჩნდნენ.

წვეროსანი საქმეს შეუდგა. დაიწყო გაგატის მკურნალობა. რამდენიმე დღეში მეფის ვაჟი კარგად გახდა. ამასობაში ლოლას იმდენი ეტირა, აურში ზღვა დამდგარიყო. გაიხედა მეფემ და ზღვა რომ დაინახა, სიხარულით ცას ენია. ახლა ეკაკა ქორწინებაზე უარს ვეღარ იტყოდა.

გაიმართა დიდი წვეულება. მოიწვიეს წვეროსანი. მეფემ სადე-დოფლო კაბაში გამოწყობილი ეკაკა გვერდით დაუყენა – აპა, ჩემი ქალიშვილის ხელიო.

– არა, მეფეო, მე ლოლასი მიყვარს და მასზე მსურს დაქორწიება.

ყველამ გაკვირვებით გადახედა ერთმანეთს. წვეროსანმა კი პა-რიკი გადაიძრო. მათ წინ უმშვენიერესი ახალგაზრდა ვაჟი იდგა.

შემოიყვანეს ლოლასი. ამდენ ცრემლს ისე დაემშვენებინა, ეკა-კაზე მეტად ლამაზი იყო.

დაწუნებული ეკაკა სადღაც მიიმალა. ვაჟი მიუახლოვდა ლოლასს და ხელი გაუწოდა. მიხვდა ლოლასი, იმ ყვავილების გამომგზავნი და წერილის დამწერი რომ ეს ვაჟი იყო.

მეფემ დიდი ქორწილი გადაუხადა ლოლასს, ოცი დღე იყო ქეიფი და ლხინი. კეთილშობილ და ჭკვიან სიძეს სამეფოს ნახევარი ებოძა.

აურში მეტი აღარაფერი იყო სალაპარაკო.

ისინი ახლაც ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობენ.



მხატვარი – თამარ თამარაძე

## ფისანდურა

(ნამდვილი ზღაპარი)

კატა ფისანდურა შავი ფერისა იყო, ძლიერი, ღონიერი და ჭკვიანი. ცხოვრობდა გიორგის სახლში, თასს არაფერს აკარებდა. მხოლოდ იმას მიირთმევდა, რასაც თავისი შრომით მოიპოვებდა. მუსრს ავლებდა თაგვებსა და ვირთხებს. როცა ისვენებდა, ხან პატარა გიორგისთან ერთად თამაშობდა, ხანაც მეზობლის თეთრ კატა-ფისუნას ესიყვარულებოდა. ისიც ისეთი ლამაზი იყო! - ძალიან თეთრი და ფუმფულა ბეწვი ჰქონდა, როგორც კი დაინახავდა ფისანდურა, იმწამსვე მისკენ მირბოდა. ერთად ერთობოდნენ, ხან ხეებზე ადიოდნენ, ხან აიგანზე დარბოდნენ, ხან ტახტზე მოკალათდებოდნენ და ნაირნაირ ამბებს უკნაოდნენ ერთმანეთს.

ასე ცხოვრობდა ფისანდურა, ბედნიერი და ლალი ცხოვრებით, ოჯახის წევრებს – გიორგის და მის მშობლებსაც ძალიან უყვარდათ მოწესრიგებული და მშობლები კატა, რომელიც თაგვებისა და ვირთხებისაგან იცავდა ყველას. უვნებლად ენყო სხვენში ნიგვზისა და თხილის ტომრები და სხვა სურსათ-სანოვაგე.

ერთ დღეს ფისანდურამ სხვენზე ვირთხა დაიჭირა და სანამ შესანსლავდა, რალაც თვალებში ჩახედა მსხვერპლს:

- რას მერჩი, ფისანდურა, რად მჭამ, როგორც შენ გინდა საჭმელი, მეც ისე მინდა, ცოლი და პატარა ვირთხუნები მყავს, შიათ და მინდა მივუტანო რამე... შენ რომ შემჭამ, იმათ რა ეშველებათ, ხომ დამიწყდებიან შიმშილით.

ფისანდურა შეკრთა, ვირთხას თათები აუშვა და გაუშვა. შეწუხებული სხვენიდან ძირს ჩამოვიდა და კიდევ დაფიქრდა.

იმ დღეს არაფერი უჭამია, საღამოს მოშივდა. მაგიდაზე რძით სავსე ფინჯანი იდო. იფიქრა, დავლევო, მაგრამ არ დალია, რადგან არ იყო ჩვეული სხვისი ნაშრომით ცხოვრებას.

იმ ლამეს მშიერს გვიან ჩაეძინა.

მეორე დღეს, დილით რომ გაიღვიძა, ძალიან შიოდა. ისევ ავიდა ჭერზე, დაიჭირა ვირთხა, რომელიც ნიგვზის ტომარს ეპარებოდა, მაგრამ ისევ თვალებში ჩახედა, წაიკითხა იგივე თხოვნა და ისევ გაუშვა.

ფისანდურას ცხოვრება შეიცვალა, სიბრალული მოეძალა. აღარ იჭერდა თაგვებს და ვირთხებს, არც პატრონის საკვებს აკარებდა პირს... ამასობაში შავი, ლამაზი, ფუმფულა ფისანდურა ჩამოხმა,

მისმა ბეწვმა ბზინვარება დაკარგა. ვირთხებმა და თაგვებმა კი პატრონის ყველა ტომარა გამოხრეს და ყველაფერი გაანადგურეს. გაბრაზებული პატრონი ფისანდურას საჭმელს აღარ აძლევდა. გამხმარ, ბეწვგაცვენილ ფისანდურას აღარც პატარა გიორგი ეფერებოდა, ლამაზი თეთრი ფისუნიაც გვერდზე აღარ უხედავდა.

იმ დღეს სიმწრით აბობლდა სხვენზე ფისანდურა. ყველაფერი სტკიოდა, განძრევაც აღარ შეძლო, თვალებს სიმწრით ახელდა. უყურებდა, როგორ გარბი-გამორბოდნენ თაგვები და ვირთხები, როგორ ანადგურებდნენ ყველაფერს.

ფისანდურას ჭამის თავიც აღარ ჰქონდა. ერთმა გათამამებულმა ვირთხამ კბილი თათზე წაატანა, შემდეგ სხვებმაც გაკრეს კბილები და საცოდავმა ფისანდურამ სული განუტევა.

მკვდარი ფისანდურა სულ ლუკმა-ლუკმად დაინანილეს ვირთხებმა, რომლებსაც ფისანდურას თვალებში ჩახედვის სურვილი საერთოდ არ გასჩენიათ.

ასე დაამთავრა სიცოცხლე სხვენზე ერთ დროს ლამაზმა, ყოჩალმა, შავფუმფულა ფისანდურამ.



მხატვარი – თამარ თამარაძე

## მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

### პოეტური სინთაქსისათვის (ჟურნალ „განთიადის“ მიხედვით)

ჩვენი წერილი მწერალთა ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზე 2015 წელს გამოქვეყნებული პოეზიის ენის ზოგიერთ თავისებურებას ეხება. მე-19 საუკუნის ბოლოს (1887 წელს) დაარსებულ ჟურნალს 2015 წელს განახლებიდან 41-ე წელიწადი შეუსრულდა. საუკუნეზე მეტხანს ასახავდა ქართული მწერლობის ავ-კარგს „განთიადი“. იცვლებოდა ლიტერატურული მიმდინარეობები, მკითხველთა გემოვნება და, რაც მთავრია, მწერლობის უმთავრესი იარაღი — ქართული ენა.

1914 წელს გაზით „სახალხო ფურცელში“ გერონტი ქიქოძე წერდა: „შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას. ის მას ერთი მხრით სწმენდს უცხო ელემენტებისაგან, მეორე მხრით მის გარეთ გატანას ცდილობს. ამგვარად იბადება ორი მიმდინარეობა, ორივე დამახასიათებელი ეროვნული ენერგიისათვის: მოძრაობა პურისტული და მოძრაობა ექსტენსიური. პირველი, უწინარეს ყოვლისა, სინტაქსისა და ლექსიკონის სფეროში აშეარავდება, მეორე კი ყველაზე ძლიერ სიტყვაკაზმული მწერლობის შემწეობით ხორციელდება. ენის ლექსიკონი იზრდება და იწმინდება ეროვნული აქტივობის წყალობით, მისი სინტაქსი თანდათან ყალიბდება. ამგვარად განმტკიცებული ენა უპირდაპირდება დაუმთავრებელ, უსუსურ, უკულტურო ენებს და ამარცხებს მათ: ამარცხებს არა ძალმომრეობით, არამედ პოეზიისა და ლიტერატურის შემწეობით. ენერგიული ერები - ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თავიანთ ენას თანდათან უფართოებენ სამოქმედო ასპარეზს, როგორც ამას ძველი რომაელები შვრებოდნენ. როგორც ერთ დროს ლათინური, ისე ახლა ფრანგული, გერმანული და ინგლისური სცილდება ნაციონალურ საზღვრებს და ინტერნაციონალურ კუთვნილებად ხდება. ენა უფრო ბასრი იარაღი აღმოჩნდა, ვიდრე შუბი ან ხმალი იყო და პოეზიამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც თოფმა, ვერც ზარბაზანმა“ (გე-

რონტი ქიქოძე, „ენა და ეროვნული ენერგია“, „სახალხო ფურცელი“, 1914 წელი, <http://www.georoyal.ge/>.

ვფიქრობთ, გერონტი ქიქოძის ეს სიტყვები ნიშანდობლივია თანამედროვე ეპოქაშიც და სინტაქსის შესწავლასაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. ამჯერად ჩვენი დაკვირვების ობიექტი პოეტური სინტაქსი იქნება.

**პოეტური სინტაქსი** განიმარტება, როგორც წინადადების თავისებური აგებულება აზრის მხატვრულად გამოსახვის მიზნით. მწერალი ამა თუ იმ ლიტერატურული ენის კანონებს ემორჩილება, უმეტეს შემთხვევაში ლიტერატურული ენის კანონების შესაბამისად აგებს ფრაზებს, მაგრამ ზოგჯერ დგება სინტაქსური ნორმების დარღვევის აუცილებლობის წინაშე. „მაგ:

„ატირდა ხარი ნიკორა

მარგალიტისა ცრემლითა“ - აღნიშნულ წინადადებაში, სინტაქსური ნორმების გათვალისწინების შემთხვევაში, სიტყვები ასე უნდა იყოს დალაგებული — „ხარი ნიკორა მარგალიტის ცრემლით ატირდა“. თავში უნდა იყოს ქვემდებარე, ბოლოს შემასმენელი, მაგრამ, თუ შევადარებთ ორივე მაგალითისაგან ცალ-ცალკე მიღებულ შთაბეჭდილებას, მიეცვდებით, რომ მეორე ნიმუშისაგან მიღებული შთაბეჭდილება ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რასაც ჩვენში პირველი მაგალითი აღძრავს. ეს იმიტომ ხდება, რომ პირველ მაგალითში პირველ ადგილზე არის სიტყვა „ატირდა“, რის გამოც ამ სიტყვაზე მოდის ლოგიკური მახვილი და მკითხველშიც მსგავს შთაბეჭდილებას იწვევს. მეორე მაგალითში არ ჩანს აღშვითება. ავტორი თითქოს დინჯად, აუღელვებლად მოგვითხრობს ნიკორას ატირების შესახებ და, შესაბამისად, მკითხველშიც სუსტ შთაბეჭდილებას იწვევს. მაშასადამე, ამ მაგალითში საქმე გვაქვს პოეტური სინტაქსის გამოყენების ვარიანტთან (სიმონ გაჩერჩილაძე, სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია, თბ.: განათლება, 1977).

პოეტური სინტაქსის შესასწავლად მეცნიერები საჭიროდ მიიჩნევნ თითოეული შერჩეული მხატვრული ხერხის ფუნქციისა და შემდგომ ლექსიკური ერთეულების ერთიან სინტაქსურ კონსტრუქციად აგების ანალიზს. თუ მხატვრული ტექსტის ლექსიკის იმანენტური კვლევის დროს საანალიზო ერთეულების როლში გამოდის სიტყვა, სინტაქსის კვლევის დროს - წინადადება და ფრაზა. ლექსიკური თავისებურებების ანალიზისას სწავლობენ სიტყვათა შერჩევის პროცესში ლიტერატურული ნორმიდან გადახვევის ფაქტებს, ასევე

სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას, რადგან სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით (ტროპი), თავს იჩენს მხოლოდ კონტექსტში, მხოლოდ სხვა სიტყვებთან აზრობრივი კავშირის დროს. სინტაქსის კვლევისას ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ სინტაქსური ერთეულების ტიპოლოგიურ განხილვასა და სიტყვათა გრამატიკულ კავშირებზე წინადადებაში, არამედ კონსტრუქციის აგების პრინციპებზე, მეტიც, მთელი ფრაზის ცვლილების თავისებურებებზე მისი შემადგენელი ნაწილების სემანტიკური მიმართების გათვალისწინებით.

ავტორის მიერ შეერჩეული სინტაქსური კონსტრუქციების ტიპების შესწავლა საჭიროა იმიტომ, რომ გამოვლინდეს, რით არის ის განპირობებული: თემატიკით, თუ ნაწარმოების ზოგადი სემანტიკით. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ „განთიადის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსების ენას, დავაკვირდებით და შევეცდებით, გამოვკვეთოთ თავისებურებები. ვფიქრობთ, პოეტური სინტაქსია სწორედ ავტორის ინდივიდუალიზმის გამოხატვის ერთ-ერთი მეაფიო გამოვლინება. ჩვენ ამოვიცნობთ ქართველ შემოქმედთ, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთში წავიკითხავთ იმას, რასაც ხშირად და ჩვეულებრივ წერს თითოეული მათგანი, არამედ ნაწარმოებების ენობრივი ქსოვილის, მათ შორის, ენის სინტაქსური თავისებურებების გამო.

ბუნებრივია, ჩვენი ობიექტია ძირითადი სინტაქსური ერთეული — წინადადება. სწორედ წინადადების სტრუქტურა და მისი შემადგენელი ნაწილები ქმნის მრავალფეროვანი კონსტრუქციების აგების შესაძლებლობას. მიუხედავად საერთო საშუალებებისა, როგორც მწერლები, ისე მეცნიერები ასხვავებენ პოზიციასა და პროზის „ენობრივ საჭიროებებს“. „რა უნდა ითქვას ჩვენი მწერლების შესახებ. თვლიან რა სიმდაბლედ, მარტივად გადმოსცენ ჩვეულებრივი ამბები, ფიქრობენ, გააციცხლონ საბავშვო პროზა დამატებებითა და მდორე მეტაფორებით... საჭიროა ითქვას: აღრიანი დილა, ისინი კი წერენ: „ამომავალი მზის სხივებმა ძლივს გაანათეს ფირუზისფერი ზეცის ალმოსავლეთი“, განა ეს უკეთესია მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო გრძელია?.. სიზუსტე და ლაკონურობა — აი, პროზის პირველი ლირსება. ის ითხოვს აზრსა და კიდევ ერთხელ აზრს. ამის გარეშე ბრწყინვალე გამონათქვამი არაფერს ემსახურება. ლექსი კი სულ სხვა რამეა...“ (Пушкин А.С. „О русской прозе...“), - წერდა პუშკინი. შესაბამისად

„ბრწყინვალე გამონათქვამების“, კონკრეტულად კი „ლამაზი“ ლექ-სიკის, რიტორიკული საშუალებისა და სინტაქსური კონსტრუქციის ტიპების მრავალფეროვნებას მწერალი პროზისთვის მიიჩნევდა არა აუცილებლობად, არამედ მხოლოდ შესაძლებლობად. ლექსებში კი პირიქით, რამდენადაც მისი აზრით, საკუთრივ ლექსის ტექსტის ეს-თეტიკური ფუნქცია ყოველთვის მნიშვნელოვნად ჩრდილავს ინფორმაციულს. როგორც რუსი მკვლევრები აღნიშნავენ, ამას თვითონ პუშკინის პროზაც ადასტურებს. სინტაქსურად ლაკონურია პუშკინი პროზაკოსი მაშინ, როდესაც პუშკინი პოეტი უხვისიტყვიანია, იყენებს გრძელ ფრაზებს მათი ნაირგვარი პერიფრაზირებით (Чернец Л. В., Ведение в литературоведение, Москва, 2004).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და შეხედულებებიც შეიცვალა. დღეს ცხადია, რომ „ლამაზი“ ლექსიკა და სინტაქსურად „გრძელი“ კონსტრუქციები, უხვისიტყვაობა პოეზიაშიც შესაძლოა აღმოჩნდეს გაუმართლებელი. ეს აუცილებელია ლექსებში მხოლოდ მაშინ, როდესაც სემანტიკურად ან კომპოზიციურად მოტივირებულია. ისევე, როგორც პროზაში მიუღებელია, ერთი მხრივ, ლექსიკურ-სემანტიკური მინიმალიზმი, თუ ის აბსულუტურ ხასიათს ატარებს და მეორე მხრივ, კონსტრუქციის ზედმეტად გართულება, წინადადების გამოყენება ბევრი განსხვავებული ლოგიკული და გრამატიკული კვანძით.

ქართული ენის მკვლევრებში არ არსებობს ჩამოყალიბებული და შეთანხმებული თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს ქართული ფრაზის მაქსიმალური „სიგრძე“. ამ შემთხვევაში შემოქმედის ზომიერების განცდაზე, მის ნიჭისა და ოსტატობაზეა დამოკიდებული მკითხველი. „გრძელმა“ წინადადებმაც შეიძლება არ დაკარგოს სიმსუბუქე, თუ მისი შემადგენელი ნაწილები სწორად არის კონსტრუირებული:

„დროდადრო რაღაც გვაკლდება და

ვავსებთ ერთმანეთს —

სუნთქვით, საუბრით, მინიშნებით,

გულის სითბოთი, მე შენგან მხოლოდ სიყვარული მინდა,

ლმერთმანი

და რომ შემეძლოს

მთელ სამყაროს შენ დაგითმობდი“ (გივი ალხაზიშვილი, „რეფრენი“, №7-8).

პოეტური სინტაქსის კვლევა ითხოვს ზოგადი ხასიათის საკითხის შესწავლას - ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ავტო-

რის მიერ გამოყენებული გრამატიკული წესების შესაბამისობას. პარალელს თუ გავავლებთ, აქ ზუსტად ისეთივე ურთიერთმიმართებაა, როგორც პასიურ ლექსიკასა და პოეტური ლექსიკონის გააქტიურებულ ნაწილთან. სინტაქსში ისე, როგორც ლექსიკის სფეროში, შესაძლებელია ბარბარიზმები, არქაიზმები, დიალექტიზმები. ბარბარიზმები სინტაქსში ჩნდება მაშინ, როდესაც ფრაზა აგებულია უცხოური ენის წესებით. ლექსში სინტაქსური ბარბარიზმების გამოყენება მაღალი სტილის ნიშნად მიიჩნეოდა. ზუსტად ისევე, როგორც სინტაქსური არქაიზმებისა:

„ნამია წამთა მსწრობელი“, -

ჩამოიცრემლა იამან, -

ჩამოიქროლა სიკვდილმან,

ვითარ ქარმან და ნიავმან“ (ფარნაოზ რაინაული, „მარტო“, №3-4).

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია მხატვრული ტექსტის სპეციფიკის გამოსავლენად, არის „სინტაქსური ფიგურების“ შესწავლა. მათ ასევე უწოდებენ სტილისტურს, რიტორიკულს — იმ სამეცნიერო დისციპლინასთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება ტროპისა და ფიგურების თეორია, ხოლო სინტაქსურს, პოეტური ტექსტის იმ მხარესთან მიმართებით, რომლის დასახასიათებლადაც საჭიროა მათი აღწერა. ჩვენ სწოდედ ეს უკანასკნელი გვაინტერესებს. ფიგურების შესწავლა იწყებოდა უკვე იმ პერიოდიდან, როდესაც ყალიბდებოდა სტილის გაგება, ანუ ანტიკური ეპოქიდან. თეორია განვითარდა და დაიხვენა შუა საუკუნეებში. საბოლოოდ, თანამედროვეობაში გადაიქცა ნორმატიული „პოეტიკის“ შემადგენელ ნაწილად. ფიგურების აღწერისა და სისტემატიზაციის პირველი მცდელობა მოცემულია ანტიკის ლათინურ ტრაქტატებში პოეტიკასა და რიტორიკაში (უფრო სრულად „კვინტილიანის „რიტორის აღზრდაში“). ანტიკური თეორია ვარაუდობდა, რომ არსებობს გარკვეული უმარტივესი „ბუნებრივი“ აზრის სიტყვიერი გამოხატულება (დისციპლინირებული ენა ყოველგვარი სტილისტიკური ელფერისა და გემოვნების გარეშე), ხოლო როდესაც რეალური მეტყველება როგორღაც გადაიხრებოდა ამ ეტალონიდან, თითოეული ასეთი გადახვევა შეიძლებოდა მიგვეჩნია როგორც „ფიგურა“ (Гаспаров М.Л. Средневековые латинские поэтики в системе средневековой грамматики и риторики, 1997, С. 629). ჩვენ ნერილში ავირჩევთ ტერმინს „ფიგურა“ (მოვიყვანთ მათ ლათინურ შესატყვისებს) მიუხედავად იმისა, რომ ტროპი და ფიგურები შეისწავლებოდა

ერთნაირად, არის მნიშვნელოვანი ნიუანსური განსხვავება - „ტროპი“ არის სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა მაშინ, როდესაც „ფიგურა“ — არის სიტყვათა ბუნებრივი წყობის ცვლილება სინტაქსურ კონსტრუქციაში (სიტყვათა გადანაცვლება, ან ბუნებრივი მეტყველების თვალსაზრისით ზედმეტი ლექსიკური ერთეულების გამოყენება). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვეულებრივი მეტყველების ფარგლებში აღმოჩენილი „ფიგურები“ ხშირად განიხილება, როგორც მეტყველების შეცდომები, თუმცა მხატვრულად ორიენტირებულ ტექსტში იგივე ფიგურები პოეტური სინტაქსის ხერხად და საშუალებად იქცევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უხვდებით ფიგურების კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტს. კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი სადიფერენციო ნიშნები: ფრაზის სიტყვიერი შემადგენლობა, მისი ნაწილების ლოგიკური თუ ფსიქოლოგიური ურთიერთმიმართება. ყურადღებას გავამახვილებთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფიგურებზე. გავიზიარებთ ლ. ჩერნეცის კლასიფიკაციის საფუძვლებს და განვიხილავთ:

ა) სხვადასხვა სინტაქსურ და რიტორიკულ-სინტაქსურ კონსტრუქციებს (ლექსებში, ტექსტის სვეტებში), ტექსტში ფრაზის, ფრაზაში სიტყვების ბუნებრივისგან განსხვავებულ განლაგებას, რომელიც ეყრდნობა სინტაქსის წესებს;

ბ) სინტაქსურ კონსტრუქციებში ლოგიკური ან გრამატიკული ელემენტების ბუნებრივისგან განსხვავებულ კავშირებს;

გ) ტექსტის ბუნებრივისგან განსხვავებულ ინტონაციურ წყვეტას სინტაქსური საშუალებების გამოყენებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფრაზაში შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვების განლაგების რამდენიმე საშუალება, რომელიც განაპირობებს ტექსტის ორიგინალურობასა და განუმეორებლობას. ყურადსალებია ერთი გარემოებაც. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სინტაქსური ერთეული წინადადებაა, პოეტური სინტაქსის საყრდენად სინტაქსური წყვილი გვევლინება და ფიგურების ანალიზსაც სწორედ სინტაგმის ფარგლებში შევუდგებით.

ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც შეცდომად ითვლება სინტაქსური წყვილის წევრებს შორის შეთანხმებასა და მართვისას (ანაკოლუფი) გრამატიკული ფორმების არასწორი გამოყენება:

„ყველა თასები აავსეთ, ტექილია ჩვენი ზედაშე...“

მზე, დილა, ნატვრის ახდენა — ეს **ყველა პოეტებია**“ (ზვიად ნეფერიძე, „მტრედები“, №3-4).

ამგვარ ფორმებს გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოექცებათ, როდესაც საქმე პერსონაჟის მეტყველებას ეხება და მას ექსპრესიულობას ანიჭებს.

ლიტერატურაში უფრო გამიზნულ გამოყენებად და არა შემთხვევით დაშვებულ შეცდომად განიხილება ისეთი სინტაქსური გაფორმება, როდესაც წინადადებაში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება ერთგვარი წევრების სახით სემანტიკურად არაერთგვაროვანი ერთულები (სილენსი, რომელიც ანაკოლუფის საპირისპირო მოვლენაა):

„პეპელასავით მოფარფატეს გხედავ სიზმარში,  
გიმლერის თოვლი და პოეზია“. (ზვიად ნეფარიძე, „ია, თოვლი და პოეზია“, №3-4).

**ან:**

„იტირე ჩემო გულო, ჩემო თვალო,  
დაუნახავებისა და ზურგის ფოტო“ (ნარგიზ თავაძე, „ქარალდის ხე“, №3-4).

არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ ჩვეულებრივ მეტყველებაშიც გვხვდება სინტაქსური ხერხი, როდესაც იქმნება ფრაზაში გრამატიკული კავშირის განყვეტის იმიტაცია. ამ დროს გამოტოვებულია სიტყვა ან რამდენიმე სიტყვა წინადადებაში და გამოტოვებული სიტყვების მნიშვნელობა იოლად აღდგება საერთო კონტექსტიდან (ელიფსი). ეს ხერხი გამოიყენება უფრო ხშირად ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებში პერსონაჟების დიალოგის აგებისას. მისი საშუალებით ავტორები თავისი გმირების რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების დახატვას ახერხებენ:

„- რაიც გადაგვხდა, თუმცა ძნელი მოსაგონია,

შეხვედრა ჩვენი მე სიზმარი უფრო მგონია.

**— საიდან?**

**— როგორ?“** (გურამ არძენაძე, „საუფლო მარადისობის“, №7-8).

ელიფსური მეტყველება მხატვრულ ტექსში ამძაფრებს რეალობის შეგრძნებას, აძლიერებს დამაჯერებლობას, რადგან ელიფსი ფრაზის კომპოზიციის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია: დიალოგისას ის საშუალებას იძლევა, გამოტოვო ადრე გამოყენებული სიტყვა. შესაბამისად, სასაუბრო მეტყველებაში ელიფსს აქვს მკვეთრი პრაქტიკუ-

ლი ფუნქცია: მოსაუბრე გადასცემს თანამოსაუბრეს ინფორმაციას საჭირო მოცულობით, იყენებს მინიმალურ ლექსიკურ მარაგს.

რაც შეეხება ელიფსის გამოყენებას როგორც გამომსახველობითი საშუალებისას, მხატვრულ მეტყველებაში ის მოტივირებული შეიძლება იყოს თხრობის ფსიქოლოგიზმით. ელიფსის შეუძლია ასევე გამოხატოს მგომარეობის ან მოქმედების ცვლილება.

იმ ფიგურების რიცხვს, რომელთაც ახასიათებთ სინტაქსური კონსტრუქციების ნაწილების თავისებური განლაგება, არის **პარალელიზმი და ინვერსია**.

პარალელიზმი გულისხმობს ტექსტის შერწყმული სინტაქსური ნაწყვეტების კომპოზიციურ ურთიერთმიმართებას. პარალელიზმის სახეები ყალიბდება ფრაზის აგების რომელიმე პრინციპის საფუძვლზე. მთავარია, რომ თვისება, რომელიც ახასიათებს პირველ კონსტრუქციას, იქცეს მაგალითად მეორე კონსტრუქციის შესაქმნელად, ე.ი. მომდევნო სინტაქსურ კონსტრუქციაში სიტყვათა წყობა აგებულია პირველის მიხედვით:

„ყვავილობა ტკივილის, ცხელი ლოდის კატორღა,  
უენობა კივილის — შემიყვარდი რატომღა? (ზვიად ნეფერაძე,  
„გაულენთილი ბარათი“, №3-4);

ან:

„შენი ბაგე, ჩემს ბაგეს რომ ეთაფლებოდა,  
იცოდე, რომ ან სხვა ბაგეს  
ვერასოდეს ველარ ჩაითაფლავს,  
შენი მკლავები  
ჩემს მკლავებს რომ ეთასმებოდა,  
იცოდე, რომ ან სხვა მკლავებს  
ვერასოდეს ველარ გათასმავს“ (ზეინაბ სარია, „მედეა“, 9-10).

ან:

„იმ ქალის ცოდვა ვერ შევიყვარე,  
ვინც ფეხები ცრემლით დაგბანა, ვინც თმები ფერხთით დაგიფინა“  
(ჯარჯი ფხოველი, „ბებერ პოეტებს“, №5-6)

განარჩევენ პირდაპირ პარალელიზმს და შებრუნებულს, ხოლო სიტყვათა რაოდენობის მიხედვით სინტაქსურ წყვილებში - გამოყოფენ სრულსა და უსრულს.

როგორც აღვნიშნეთ, ამავე რიგის ფიგურებს მიეკუთვნება ისეთი გავრჩელებული პოეტური საშუალება, როგორიცაა **ინვერსია**. ის გამოხატება სიტყვათგანლაგებაში, სიტყვათშეთანხმებაში ან წინადა-

დებაში. ეს არის წყობა, რომელიც ჩვეულებრივისგან განსხვავებულია. ქართულისთვის ჩვეულებრივი წყობაა, როდესაც მსაზღვრელს მოჰყვება საზღვრული, სახელს – თანდებული. ინვერსირებული სოტყვები შეიძლება იყოს ფრაზაში კონტაქტური და დისტანციური, კონტაქტურის დროს შენარჩუნებულია სიტყვათა უშუალო თანმიმდევრობა:

„სიყვარული ყინულის, უდაბნოში მარტო ვარ,

ცეცხლი მარადიული დრომ ჭაობში დატოვა,

საჩუქრზე ასპიტის, უარს რად არ ამბობდი?

რეალობა სასტიკი, ფუნჯი ბუონაროტის (ზვიად ნეფერაძე, „გაუღენთილი ბარათი“, №3-4);

დისტანციურის დროს მათ შორის ჩასმულია სხვა სიტყვები. ორივე შემთხვევაში სიტყვის არაბუნებრივი პოზიცია გავლენას ახდენს მის ინტონაციურ გამოყოფაზე, როგორც ტომაშევსკი შენიშნავდა, ინვერსიულ კონსტრუქციაში სიტყვები ისმის უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად (Томашевский Б В Теория Литературы Поэтика 1996).

ტექსტის ინტონაციურ კომპოზიციასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **სინტაქსურ გამეორებას** წინადაღების ფარგლებში. მისი დახმარებით ავტორები, როგორც წესი, ხაზს უსვამენ ფრაზაში სემანტიკურ დაბაბულობას იმდენად, რამდენადც ნებისმიერი გამეორება არის ინტონაციური გამოყოფა. ინვერსიის მსგავსად განმეორება შეიძლება იყოს კონტაქტური და დისტანციური. კონტაქტურია:

„ვხუჭავ, ვხუჭავ, ვხუჭავ, ვხუჭავ,

ვხუჭავ თვალებს,

ეს ზმანება სახებაა ვითომ შენი?“ (კოტე ნაჭყებია, „უშენობით ვითოშები“, №9-10)

დისტანციური გამეორების დროს გამეორებულ ნაწილებს შორის ჩასმულია სიტყვა ან სიტყვები:

„და ჩემს ნერვიულ დროში, **ომიც** არის და ... **ომიც**“ (ზ. გორგი-ლაძე, „შენ!-ალაყაფის ლომო“, №3-4).

უბრალო გამეორებას იყენებენ ტექსტის სხვადასხვა ერთეულთან მიმართებით. შეიძლება გამეორდეს სიტყვა, სიტყვათშეთანხმება ისე, რომ არ შეიცვალოს გრამატიკული ფორმა და

ლექსიკური მნიშვნელობა:

„და მე არ მესმის, ლვთაებრივო -

და მე არ მესმის,

ნუთუ თქვენ კიდევ შეგიძლიათ ჩემი ალერსი? (ზ. გორგილაძე, „ნუთუ“, №3-4).

პოეტები იყენებენ გამეორებას ასეთი ფორმითაც: ერთი სიტყვა მეორდება სხვადასხვა ბრუნვაში და არ იცვლება მისი ლექსიკური მნიშვნელობა (პოლიპტონი):

„შენი ბაგე, ჩემს ბაგეს რომ ეთაფლებოდა,  
იცოდე, რომ აწ სხვა ბაგეს“

ვერასოდეს ვერ ჩაითაფლავს“ (ზეინაბ სარია, „მედეა“, №9-10).

აქტიურად გამოიყენება ფიგურა, როდესაც სიტყვა სხვადასხვა ფორმით მეორდება და ამავე დროს იცვლის მნიშვნელობას ანუ გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით (ანტანაკლასისი):

„ო, რამხელა გულიც მქონდა წელს და  
ყველაფერი უგულობას ჩაბარდა (ზ. გორგილაძე, „ეს რამხელა გული მქონდა“, №3-4).

ან:

„საშენო გული, გულის ჩიტად ქცეული,  
თავს გამოჰყოფს და

-გუ-გუ! - გაიხსენებს დროს...

იქნებ იპოვო გული და

შენი თვალები შეამჩნიო

ჩემს თვალებში“ (ნარგიზ თავაძე, „ქაღალდის ხე“, №3-4).

ხშირად მეორდება ტექსტის უფრო დიდი ნაწილი, ვიდრე წინადადებაა (სტროფი, შეიძლება მთელი ნაწარმოები). ქვემოთ მოყვანილი სტროფი მთლიანად მეორდება ლექსში:

„სულის მანათობელა,

ბანგო, მათრობელა,

ჩემო სიყვარულო,

დარჩი მარტოხელა“ (ქეთევან ასათიანი, „ჩემო სიყვარულო“, №3-4);  
ან:

„ეს ცივი ქარი, ეს ოხერი, ზურგზე შეგისვამს, და მე გილოცავ,

რომ ცივი ქარი, ეს ოხერი, ზურგზე შეგისვამს“ (ბექა ახალაია, „ამ ვალმოხდილი ფოთლებისთვის“, №9-10).

გამეორების ამ ფორმებს განარჩევენ ტექსტში მისი პოზიციის მიხედვით. ანაფორა სიტყვების, ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება საწყის პოზიციაში:

„თქვენ დასცინოდით ჩემს სიჩუმეს, ჩემს ალტაცებას,

**თქვენ** ასკდებოდით მზიან კედლებს შეშძლილ კვიცივით,  
**თქვენ** მე გამწირეთ“ (ზ. გორგილაძე, „როგორ გადარჩით ჩემს  
სიყვარულს, როგორ მომასწართ“, №3-4).

**ან:**

**მე ახლა** ვიცი,

**მე ახლა** მივხვდი:

რატომ დადუმდა

გალაკტიონი“ (ფარნაოზ რაინაული, „მარტო“, №3-4)..,

ხშირად ლექსიკური გამეორებით სრულდება კონსტუქცია (ეპი-  
ფორა):

„ჯიბრზე რომ არ იცრემლება, მოქუფრული, შორი ცა **ვარ**,

თუმც ხანდახან ნისლიანში წამოსული თქორიცა **ვარ**“ (ქეთევან  
ასათაანი, „თუ“, №3-4)

არსებობსგამეორება (ანადიპლოსისი), რომელიც აკავშირებს ერ-  
თი სამეტყველო რიგის ბოლო ნაწილს მეორის დასაწყისთან:

„ისე ავხარხარდები, ისე, თურმე **ვტირი**,

ვტირისე კეთილად, როგორც ღამის წვიმა (ზ. გორგილაძე,  
„გავხდი ხმაჩალეჩილი, ჩუმი, ულაზათო“, №3-4). ანაფორადა ეპი-  
ფორა ძირითადად გვხვდება მცირე ლირიკულ ჟანრებში, გვაქვს  
ასევე დისტანციური გამეორება, რომლის დროსაც სინტაქსური  
კონსტრუქციის საწყისი ელემენტი ჩნდება მეორის ბოლოში (პრო-  
ზაპოდლოსისი):

**ვზივარ** უმისამართოდ და უაზროდ **ვზივარ** (ზ. გორგილაძე,  
„გავხდი ხმაჩალეჩილი, ჩუმი, ულაზათო“, №3-4)..

გამეორებად ითვლება მეცნიერთა მხრიდან არა სიტყვის გამეო-  
რება, როგორც ნიშნისა, არამედ მნიშვნელობისა. ტავტოლოგიის  
დროს ავტორები არ იმეორებენ სიტყვას, მაგრამ აუცილებლად  
დუბლირებულია მნიშვნელობა რომელიმე ლექსიკური ერთეულისა.  
ამისთვის ავტორები არჩევენ ან სიტყვა სინონიმებს, ან პერიფრა-  
ზებს.

„და მიდის წლები, მიდის წლები წვრილმან ჩოჩქოლით,

**არც ხსნა, არც შველა, წამნამებზე გრილი თხიერი“ (ზ. გორგი-  
ლაძე, „როგორ გადარჩით ჩემს სიყვარულს“, №3-4).**

ვფიქრობთ, ხშირი გამოყენება, ტავტოლოგია მკითხველს აფი-  
ქრებინებს ლექსიკური მარაგის სიმცირეზე, არარაციონალურ მრა-  
ვალსიტყვაობაზე, აიძულებს მას ყურადღება გაამახვილოს ტექსტის  
ამ ნაწილზე.

სემანტიკურად მნიშვნელოვანი მეტყველების გარკვეული ნაწილის გამოყოფის ერთ-ერთი სახეა ერთნაირფუძიანი სიტყვების გამოყენება (ანომანაცია):

„თითქოს სიჩუმის ჩაჩახვიდან

ჩვილი ჩქამი ამოჩუმჩუმდა...

არ იჩემალება, მოდიოდა და

ჩანს, ჩამიჩუმი მოჩერიალებს (ზეინაბ სარია, „მედეა“, №9-10)..

გამეორების ფიგურასთან ახლოს არის გრადაცია, როდესაც მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები დაჯგუფებულია, მათი განლაგების მიხედვით გამოხატულია გამოხატული თვისების გაძლიერება ან შესუსტება:

გავხდი ხმაგაცმენდილი, ჩუმი, ულაზათო,

ვერც ვერავინ მაღონებს, ვერც ვერავინ მართობს“ (ზ. გორგიაძე, „გავხდი ხმაგაცმენდილი...“, №3-4).

ტექსტის ინტონაციური მონაკვეთების გამოყოფას ემსახურება აგრეთვე კავშირის არაერთჯერადი გამოყენება (პოლისინდეტონი) და უკავშირობა (ასინდეტონი). კავშირების ფუნქციაა, აჩვენოს ან მოქმედებათა ლოგიკური თანმიმდევრობა, ან განაზოგადოს მკითხველის წინაშე ფაქტები:

„ნუთუ თქვენ კიდევ შეგიძლიათ ჩემი ალერსი? -

ან სიყვარული,

სასაცილო და საცოდავი?

ან თანაგრძნობა, -თუნდაც ოდნავი?..“ (ზ. გორგიაძე, „ნუთუ“, №3-4).

ან:

რომ ვიხილო ქათქათა, აზიდული მთები,

რომ სიცოცხლის ნათებას აღარასდროს ვეჩხუბო

და ღრუბლების მდელოზე რომ გავშალო ფრთები“ (ზვიად ნეფერაძე, „გაუღლენთილი ბარათი“, №3-4)

რაც შეეხება უკავშირობას, ხაზგასმულია მოვლენათა ერთდროულობა:

„სვანეთს როცა ვიხსენებ, გულზივადი სვანიც ვარ,

კახელიც ვარ, ქართლელიც, ქართველი ვარ, სხვა ვინ ვარ?“ (რობიზონ წინწკალაძე, „მესხეთიდან „ბაგრატის ცამდი“, №3-4).

„პოეტური სინტაქსის კვლევამ შეიძინა ახალი მიმართულება. თანამედროვე მეცნიერება უფრო და უფრო ხშირად აანალიზებს მოვლენებს, რომლებიც მდებარეობს მხატვრული ტექსტის სხვადასხვა

მხარის მიჯნაზე. მაგალითად: რიტმა და სინტაქსი, ლექსის რიტმი და სინტაქსი, ლექსიკა და სინტაქსი და ა. შ (Чернец Л. В. Ведение в литературоведение, Москва, 2004 С. 455).

ბოლოს, გვინდა შევეხოთ მიმართვის საკითხსაც. როგორც შუქია აფრიდონიძე აღნიშნავს, „მიმართვის სპეციფიკა ხან აშკარად, ხან შეფარვით ავლენს მის გამორჩეულ როლს პოეზიაში და ამიტომ მათ პირობითად პოეტურ მიმართვებს უწოდებთ. ეს ცნება შორდება ყოველდღიური პრაგმატიკის სფეროს და ეჯაჭვება პოეტურ მეტყველებას იმის მოუხედავად, ფორმალურად წმინდა პოეზიაზე, რითმა-რიტმის თვალსაზრისით რეგლამენტირებულ ტექსტზეა მსჯელობა, თუ გაცილებით თავისუფალზე, ვთქვათ, პროზაზე, თუმცა ორსავე შემთხვევაში საყრდენია მხატვრული ნაწარმოების როგორც შემოქმედის გამონაგონის სპეციფიკა“ (შუქია აფრიდონიძე, პოეტური მიმართვა ქართულ პოეზიაში, <http://www.nplg.gov.ge/>).

მეცნიერმა პოეტური მიმართვების ნიშან-თვისებათა გამოვლენის წყაროდ და სანიმუშმოდ მასალდა შეაირჩია სხვადასხვა ეპოქის საერო პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნარმომადგენელთა ნაწარმოებებიდან, კერძოდ, მე-12 საუკუნიდან დღემდე - რუსთველიდან ვიდრე ანა კალანდაძემდე, შუალედურ მწვერვალთა - გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის - გავლით. მოხმობილია ხალხური პოეზიის ნიმუშებიც. მეცნიერი ცალკე განიხილავს მიმართვის ფორმებს „ვეფხისტყაოსანში“, ასევე გამოყოფს:

- „ისმინე, სწავლის მძებნელი“ (დავით გურამიშვილი)
- „გასწი, მერანო!“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი)
- „მამულო, საყვარელო...“ (ილია ჭავჭავაძე)
- „ჩემო სამშობლო მხარეო“ (აკაკი წერეთელი)
- „დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე!“ (ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია)
- „შორს, ჩემს ბედს იქით!“ (გალაკტიონ ტაბიძე)
- „თქვი, არჯაკელო ხვიარა“ (ანა კალანდაძე)

„განთიადში“ გვხვდება შუქია აფრიდონიძის მიერ გამოყოფილი მიმართვის ყველა ფორმა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დავიმოწმებთ:

„შენ!- ალაყაფის ლომო, ძმავ, რამინის და ვისის“;

„ვაი, მამავ და თავო... შენ ვინ გალირსებს გვირგვინს“ (ზურაბ გორგილაძე, „შენი-ალაყაფის ლომო“, №3-4).

ან: „მთებო, როდესაც თქვენთან ვსაუბრობ

ფიქტები არ-რით აკვამლდებიან“ (ფარნაოზ რაინაული, „მარტო“, №3-4).

ან: „ჩემს იღბალზე გაჩერილო,

ქალო — ქუთათურო“ (რობიზონ წინწკალაძე, „სენტიმენტი“, №3-4).

ან:

„როდემდე უნდა მეძებო,

სიკვდილო, ჩემზე დღეგრძელო,

ჩემზე დიდო და ნამდვილო,

დამრბევო და დამლეწველო“ (ირაკლი ბაზაძე, „როდემდე უნდა მეძებო“, №5-6).

„განთიადის“ დურცლებზე გამოქვეყნებულ ლექსებში განსაკუ-  
თრებით მომრავლებულია შენობით მიმართვის ფორმები. საინტერე-  
სოდ გვეჩვენება ამ საკითხზე შუქია აფრიდონიძის მოსაზრება. მისი  
აზრით, შენობით მიმართვა პოეტური მიმართვების ყველაზე მკა-  
ფიო ფორმალური მახასიათებელია. მნიშვნელობა არ აქვს ადრე-  
სატს. მასში თანაბრად შეიძლება იგულისხმებოდეს ნებისმიერი  
ჯგუფის (ვინ და რა) სახელი - საცრთო, ღმერთი, ბედი,  
(წუთი)სოფელი, სამშობლო და სხვ., შენობით მიმართვის მთავარ  
მხატვრულ ფუნქციად კი მკვლევარი მიიჩნევს ადრესატთან განსა-  
კუთრებული სიახლოვის, გაშინაურების გამოხატვის სურვილს:  
„უფაქზესი სიყვარული თუ წამლექავი რისხვა, სრული სასოწარკ-  
ვეთა თუ თავდავინყებული რწმენა - ყველა სახის სიმძაფრე წარმო-  
შობს იმ უშუალობას, რომელსაც თქვენობით გამოხატული თავაზის  
თავი არა აქვს; მეორე მხრივ, მიმართვის ეს ფორმა განმტკიცებუ-  
ლია ქრონოლოგიურ პირველადობაზე დაფუძნებული ტრადიციებით:  
ისინი ისევე ძევლია, როგორც თვით ეს გრძნობები. სატრაფოსადმი  
შენობით მიმართვა ტიპოლოგიურად, როგორც ინდივიდუალურ და  
პროფესიულ, ისე — და მეტადრე - ხალხურ პოეზიაში ბუნებრივია  
ყველა ენაში“ (შუქია აფრიდონიძე, პოეტური მიმართვა ქართულ  
პოეზიაში, <http://www.nplg.gov.ge/>).

მართლაც უშუალოა სტრიქონები:

„შენ იცი, როგორი ნატყვიარი შეიძლება არსებობდეს?

ეჭვად მაინც იცი?

ნატყვიარი ხელი ჩავა!!!

გინდა ჩაგახედო?..“

ან:

„შენც ხომ... შენც ხომ დაუცველი ხარ?!“

მოდი, გულიანად შეგათვალიერ-მოგეფერო,

ამ წუთისოფლის ნატყვიარი სადმე ჩუმად,

შენც ხომ არა გაქვს?“ (ზეინაბ სარია, „ვარდო, ბალდივით მიამიტო“, №5-6).

„განთიადის“ ფურცლებზე ერთი წლის განმავლობაში დაბეჭდილი პოეზიის ენა კვლევისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩნდა, თავად ეს წელი - უურნალისთვის განსაკუთრებული. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით უურნალ „განთიადს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭეს. სამართლიანად შეფასდა გამოცემა ქართული პერიოდიკის უწყვეტი ტრადიციის გამგრძელებლად. უურნალის ფურცლებმა შთამომავლობას შემოუნახა ქართული ენის განუმეორებელი სურნელება და ძალა. ასე იყო ოდითგანვე და, საბედნიეროდ, ასეა ამჟამადაც. „განთიადი“ ერთგულად განაგრძობს მსახურებას იმ ენისას, რომელზეც გერონტი ქიქოძე წერდა: „წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ლირსია მეტი პატივისცემისა. მზადაა გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტიკული სენტენციები. ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრძემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ლიმილი შეყვარებული ქალ-ვაჟისა. ის ხატავს ჩვენს მოლუშულ მთებსა და მომლიმარე მდელოებს, ვეშაპისებიან ჩვენს ჩანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს ულრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა“ (გერონტი ქიქოძე, „ენა და ეროვნული ენერგია“, „სახალხო ფურცელი“, 1914 წელი, <http://www.georoyal.ge/>).

# პოეზია

## გიორგი სამცხელი\*

\*\*\*

რატომ არ მახსოვს ის სილამაზე  
და თუ არ მახსოვს, რა მნუსხავს ახლა?

რატომ არ მახსოვს ის სიყვარული,  
და თუ არ მახსოვს, რა მტკიცა ახლა?

რატომ არ მახსოვს ის დაბადება  
და თუ არ მახსოვს, რა მახრჩობს ახლა?

რატომ არ მახსოვს, სად მივდიოდი,  
რატომ გავჩერდი, თუ, დავიღალე?

რატომ არ მახსოვს უცხო სინათლე  
და თუ არ მახსოვს, რად ბნელა ახლა?

\*\*\*

გამოქცევია უცნაურ სახლს თავად უცნაური კაცი...  
დავიწყებია გვარი, სახელი, „რა საჭიროა?

ღვთის შვილები ვართ“, „მადლობა უფალს:  
სიცოცხლე მომცა, სიცოცხლემ - ფრთები,

ფრთებმა — სიმშვიდე მომაძებნინა  
და მიხარია, რომ არავის სწყინს

ამ ქვეყანაში ჩემი სტუმრობა“.

გამოქცევია იმ ქვეყანას ადამიანი,

გამოქცევია ადამიანებს ადამიანი!

გამოქცევია, ბედნიერია, ისე მშვიდია!

---

\* ლექსები ანონიმურად შემოვიდა მდგმურის სახელით. ქართველი კაცია და  
გიორგი დავარქვით. აქაური სული ვიგრძენით და გვარად სამცხელი ვუწოდეთ  
(რედ.).

\*\*\*

ამ რუს ქალაქში გადავიტანე  
კიდევ ერთი თეთრი ზამთარი,  
გადავიტანე და კვლავ ლოდინი...  
ამ გაზაფხულზეც, წვიმიან ღამეს,  
როცა თოვლს შეცვლის სველი ტალახი,  
დაგელოდები, როგორც ყოველთვის...  
დაგელოდები, ყოველ წვიმისას,  
იქნებ წვიმა ხარ, დასანამად თიხის მოსული  
და ნამავ თიხას, დაგელოდები  
ყოველ ბურუსში, იქნებ ნისლი ხარ,  
დასაშვებად ფარდის მოსული,  
დაუშვებ ფარდას, დაგელოდები,  
დაგელოდები, დაგელოდები,  
ყველგან, ყოველთვის...  
კვლავ თუ არ მოხვალ, აღარ ვეცდები.  
კვლავ თუ არ მოხვალ, აღარ ვეცდები,  
შევება ზამთარს და დაველოდო  
კიდევ გაზაფხულს, დავტოვებ ქალაქს,  
გამოვწევ შენკენ, დამელოდები?

\*\*\*

იქ, ქვემოთ, თეთრად შეუღებავს  
თოვლს ჩემი ქუჩა.  
არსად ჩანს შავი, როგორც ყოველთვის,  
ნაბახუსევზე, დილით ადრე,  
გამოსულან გარეთ ბიჭები.  
ეძებენ „პრიმას“ და ნეტარებით  
ახრჩოლებენ ბოლქვა-ბოლქვებად.  
ჩაწითლებული თვალებით  
და ხელის კანკალით ავსებენ ჭიქებს  
და შენდობას მითვლიან ღმერთან...  
მე კი, მივფრინავ უსასრულოდ,  
არ ჩანს ის ფერი და არც ყოველთვის,  
რომ ვნატრობდი უცხო სინათლეს,  
წინ მხოლოდ ბნელა...

იქ კი, სულ ქვემოთ, ჩემს თეთრ ქუჩას  
„აბეს“ კუთხეში შარდით და არყით  
რწყავენ ბიჭები, მეც მინდა ახლა  
ხელის კანკალით ავწიო ჭიქა,  
ღმერთათან შენდობა შევუთვალო  
„ყველა წასულებს“  
და ასე ხარბად ჩავისუნთქო  
თამბაქოს ბოლი.

\*\*\*

სულ ჩუმადა ხარ და მუდამ იქ ხარ  
გაქვავებულ სიმარტოვესთან,  
დიდხანს მოუნდი ალბათ მანდ მისვლას,  
დიდხანს ეძებე? დიდხანს ეწამე?  
გარინდულ სხეულს არ სურს რაიმე,  
არ სურს არც სახეს, არ სურს არც თვალებს,  
უკვდავების ჟამს სულთან ერთად  
გაქვავებულა სულ ყველა ერთად,  
შენ კვლავ ჩუმად ხარ,  
არ გსურს რაიმე?!

\*\*\*

ხო, მასეც ხდება,  
დაგეკარგება ხანდახან სხივი  
და გეგონება სამუდამოდ  
დაკარგე ჩრდილიც,  
ნუ გიხარია, ხანდახან ბნელშიც  
ინათებს ხოლმე სულის კუნჭული  
და ჩაბნელდება.  
არ აგერიოს არც ნათელში,  
არც სიბნელეში, არც სხვა რამეში,  
იცი, რა ხდება? რომ იქსება  
და იღლება ნათელი ჩრდილით,  
ჩამობნელდება, ყველა აჩრდილი

თავს იყრის ერთად და მთელი ღამე  
ემატებათ ახალი ჩრდილი,  
ეფერებიან მონატრებულნი  
ერთმანეთს ვნებით,  
შეერთდებიან და ყველა ერთად,  
იქცევა ერთად!  
რამდენი ჩრდილი!  
და ერთი ბნელი, და ღამე ერთი.  
დასვენებული, მოციმციმე  
ნათლის სხივები, ვნებით დალლილი  
აჩრდილების დასაუფლებლად,  
გადასერავენ ბნელეთს ისრებად,  
შეერთდებიან ყველა ერთად  
გასანათებლად.  
ინათებს ბნელი და მოციმციმე  
ნათლის სხივები სულ გაანათებს  
ჩაბნელებულ ყველა კუნძულს  
მთელს საუფლოში.

# ქართველობის უცხოათვი

## ფლორიან მიულფრიდი

ფილოლოგიის დოქტორი, დისერტაცია და-იცვა ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში სო-ცოლულტურული ანთროპოლოგიის (ეთნოლო-გიის) დარგში თემაზე - „სახელმწიფოს არსი და სახელმწიფოებრიობის გაგება საქართვე-ლოს მთაანეთში“.

მისი კვლევის სფერო მოიცავს სოციალური ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის საკით-ხებს. გამოქვეყნებული აქტები კვლევები კავკა-სის ხალხთა მთას ტრადიციებისა და ყოფის შესახებ, როგორიცაა: „მუსლიმთა და ქრის-ტიანთა ურთიერთობები“, „ებრაულ-ქართული ურთიერთობები“, „წმინდა ადგილები“ (პანკი-სი, ყაბარდო-ბალყარეთი), და სხვ. ამჟამად თანამშრომლობს პროექტში „უნდობლობის ანთროპოლოგია“, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს საგელე სამუშაოები აფ-ხაზეთში. თანამშრომლობს ავსტრიის, კანადის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიებსა და საქართველოს რესთაველის სამეცნიერო ფონდთან, როგორც საერთაშორისო ექსპერტი.



## კავკასიოლოგიას იერის უნივერსიტეტი

### დასურვა ემუქრება\*

ბიუჯეტის შემცირების გამო იერის ფრიდრიხ შილე-რის უნივერსიტეტში განიხილება კავკასიოლოგიის კვლევის კათედრის ფუნქციონირების შეუქცევადი შეჩერების საკითხი, რაც სასწავლო დისციპლინის გაუქმების ტოლფასი იქნება. ეს კი შემდგომში გამო-რიცხავს უნივერსიტეტისთვის არა მარტო განსა-კუთრებული ნიშის შენარჩუნებას, არამედ ეწინააღმ-დეგება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციასაც.

\* სტატია გამოქვეყნდა 2015 წელს სათაურით – Akademische Selbstverstümmelung. მას შემდეგ იერის უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება კავკასიოლოგიის მიმართულებაზე პროფესურის შევსებისა და კავკასიოლოგიის სასწავლო კურსის გაგრძელების შესახებ, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მისი თარგმნა იმის საჩვენებლად, თუ რა სირთულები ახლავს იმ დიდ კვლევით და სასწავლო მუშაობას, რომელსაც ახორციელებს იერის უნივერსიტეტი წლების მანძილზე (რედ.).

კავკასიის კვლევის შეწყვეტა მკვეთრად დაუპირის-პირდება უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა კონფერენციის სამეცნიერო საბჭოსა და თურინგიის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინის-ტროს რეკომენდაციებს ნაკლებ მოთხოვნადი მცირე დისციპლინების გაძლიერებისა და კავკასიის კვლევის სფეროში.

მაინც ვინ იცის, რა ხდება კავკასიაში? მათი რიცხვი არც ისე ბევრია, არა? რად გვინდა? გვჭირდება კი საერთოდ ეს ცოდნა?

ასეთი კითხვები შეიძლება მას გაუჩინდეს, ვინც იქნის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულების გაუქ-მებას ემხრობა. მათი აზრით, მხოლოდ იდეალურად მოწესრიგებულ სამყაროში შეიძლება მისცეს კაცმა თავს კავკასიის კვლევის უფლებაც, რაც მათ ფუფუნების საგნად მიაჩინათ, ეგზოტიკური გულ-საკიდივით.

მაგრამ, როცა დაზოგვაა საჭირო და ეს პროცესი გარდაუვალია, მაშინ უფრო ძლიერდება ზენოლა და ამ დროს სწორედ ფუფუნებაზე უნდა ვთქვათ უარი. არის კი კავკასიოლოგია ნამდვილად ფუფუნების მეცნიერება? რამდენად გამართლებულია ეკონომიაზე საუბარი კავკასიის შესახებ ღრმა მეცნიერული ცოდნის საპირზო-ნედ? არა და, რა თქმა უნდა, არა, როგორც ეს ბოლო წლებმა გვიჩვენა. საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის ომი არეულობით ევროპის უსაფრთხოებასაც ემუქრებოდა, ბოსტონელი ტერო-რისტები კავკასიური წარმომავლობისა იყვნენ. უკრაინაში საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნები მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებენ, აღმოსავლეთ უკრაინაში კი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელი მებრძოლები იბრძვიან.

ევროპა პოლიტიკურადაც მიუახლოვდა კავკასიას. სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ევროკავშირის პარტნიორობის წევ-რები არიან. საქართველოს განსაკუთრებული სურვილი აქვს ევრო-პულ სტრუქტურებთან კავშირის გაძლიერებისა. მან 2015 წელს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ბევრი ქართველი იმედოვნებს, რომ 2016 წლიდან შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას შეძლებს. ამის შემდეგ მაინც გახდება კავკასია ევროპის ნაწილი და კავკასიელები დაგვიმეზობლდებიან, და შესაძლებელია, სწორედაც რომ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

კავკასია იყო და არის გზაგასაყარი ევროპასა და აზიას შორის, ტერიტორია ქრისტიანულსა და მაჰმადიანურ სამყაროს შორის, ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აქ გვეძლევა შესაძლებლობა ვიკვლიოთ ურთიერთობის მყიფე ფორმები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია, უცრად ანტაგონისტურ ძალადობრივ ურთიერთობად გადაიქცეს, რაც არ უნდა დაუუშვათ. კონფლიქტების გარდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ იწურება ინტეგრაციის სოციოპოლიტიკური ფორმების შესაძლებლობები. ამის გაცნობიერება კი დაგვეხმარებოდა საკუთარი ამბივალენტობის გარკვევაში.

როგორც შავი ზღვის რეგიონის ნაწილი, კავკასია შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის და აგრეთვე ნატოსა და რუსეთის გავლენის სფეროებს შორის, რაც გეოპოლიტიკურად დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას სქენს ამ რეგიონს. ამას ემატება აზერბაიჯანის გაზისა და ნავთობის დიდი საბადოები, რომლებიც ევროპის ენერგეტიკული ბაზრის დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით კი ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიკაციის მცდელობისა და ამ ბაზარზე რუსეთის დომინანტობის შეზღუდვის თვალსაზრისით.

გერმანიაში კავკასიის საკითხებში პროფესიულ ექსპერტიზას ძნელად თუ წააწყდებით. მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის კავკასიის რეგიონის ექსპერტი - უვე ჰალბახი 2014 წელს პენსიაზე გავიდა და გაურკვეველია, ამ ადგილს კავკასიის პროფილით თუ დაიკავებს ვინმე. ამ პროფილით სხვა სამსახურებრივი პოზიცია არ არსებობს. მაინის ფრანკფურტში მოქმედებს კავკასიურ ენათმეცნიერებაზე ფოკუსირებული სამსახურობრივი პროგრამა (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით), რომელიც სტუდენტს სთავაზობს საზამთრო და საზაფხულო სკოლებს საქართველოში და ფინანსდება სომეხს და აზერბაიჯანელ პარტნიორთა პროექტებით. გარდა ამისა, მიუნხენში მაღალ დონეზე ხორციელდება კავკასიის ლინგვისტური კვლევები.

ფრაიბურგში 2009 წლამდე, ემერეტუსის წოდების მიღებამდე, იორგ სტადელბაუერი იკვლევდა კავკასიის კულტურულ და გეოგრაფიულ ასპექტებს. ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში 1999-დან 2013 წლამდე ვოლფგანგ კაშუბა ახორციელებდა თავის გუნდთან ერთად კავკასიის რეგიონის ურბანულ კვლევებს, მაგრამ 2015 წლის გაზაფხულიდან ის ამავე უნივერსიტეტის ემპირიული ინტეგრაციისა

და მიგრაციის კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია. 2015 წელს საპენსიო ასაკი უსრულდება შტეფი ხოტივარიუნგერს, რომელიც ასევე ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ამით გერმანიაში კავკასიის კვლევის ლიტერატურათმცოდნეობის შტოც დასრულდება.

დღეისათვის ჰალე - ვიტენბერგის მარტინ ლუთერის უნივერსიტეტში მესროპის კაბინეტის მიერ ხორციელდება სომხეთის, ხოლო ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში კი აზერბაიჯანის კვლევები, რომელიც სულ უფრო და უფრო ვითარდება აზერბაიჯანის ისტორიის ფონდის კათედრის მეშვეობით. გარდა ამისა, კათედრის გამგე ევა-მარია აუხი ცენტრალურ აზიაში კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ისტორიულ მოდულს უძლვება. ასევე დიდი როლი ენიჭება კავკასიას ამავე ინსტიტუტში მოღვაწე ევროპის ისტორიკოსის - იორგ ბაბეროვსკის კვლევით საქმიანობაში. მაგრამ მხოლოდ იენის ფრიდრიხ შილდერის უნივერსიტეტში გენერირებს კავკასიოლოგია სპეციალიზებული პროფესურით, მთელი კავკასიის მომცველი რეგიონთმცოდნეობითი კომპეტენციითა და საერთო კულტურული, სამეცნიერო, ისტორიული და ლინგვისტიური ასპექტებით. აქედან გამოდინარე, იენას შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია, როგორც კავკასიის შესწავლისა და კვლევის ცენტრს გერმანიაში.

ამას ემატება ათეული წლების მანძილზე იენის კავკასიოლოგიის სკოლის კავშირები კავკასიის რეგიონთან, განსაკუთრებით კი საქართველოსთან. კავკასიოლოგიას იენაში 50 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. კათედრის პირველი გამგის გერტრუდ პეჩის შემდეგ ათეულ წელზე მეტხანს სასწავლო კურსის ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული შრომა გასწია ჰაინც ფენრიხმა. მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის სტაბილური სამეცნიერო ურთიერთობა დამყარდა და მყარი ინფრასტრუქტურა შეიქმნა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლით პროგრამებში, ერთობლივ კვლევით პროექტებსა და პუბლიკაციებში და ასევე გერმანულ-ქართული დარგობრივი უურნალის „გეორგიკას“ გამოცემაში გამოიხატებოდა. სწორედ ჰაინც ფენრიხის დროს იქცა იენა კავკასიაში, ზედმინევნით პოზიტიურ ცნებად.

კავკასიოლოგია ვითარდებოდა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც. ძირითადი მიმართულება იყო საქართველოსა და გერმანიას შორის აკადემიური გაცვლითი და სამეცნიერო თანამშრომლობა.

ამან, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში რიგი სასწავლო დისციპლინებისა, მაგალითად, ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: სამართალმცოდნეობა, წარმოების ეკონომიკა, ბიოლოგია, კლასიკური მეცნიერებები, გერმანული, როგორც უცხო ენა, ფსიქოლოგია, სლავისტიკა, გერმანისტიკა, ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობით დაინერგა.

2006 წელს, ჰაინც ფენრიხისათვის ემერტუსის წოდების მინიჭების შემდეგ, სასწავლო კურსს სერიოზული საფრთხე შეექმნა. მხოლოდ კავკასიოლოგის მეგობრების, მათ შორის მაშინდელი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის აქტიურ ჩართულობას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ სასწავლო კურსი არ გაუქმდა. მაგრამ ამან დააფიქრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა: ხომ არ იყო ეს ორქიდეული სასწავლო კურსები (ასე უწოდებენ გამორჩეულ და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად მოთხოვნად სასწავლო კურსს - ლ. ბ.), უპირველეს ყოვლისა, ძვირადღირებული ეგზოტიკა, რომელიც ადვილად შეიძლებოდა ე.წ. დიდი სასწავლო კურსების ჩანაცვლებით გაუქმებულიყო. დღეისათვის ხომ ეს სასწავლო კურსები მხოლოდ უნივერსიტეტის უნიკალურობას განაპირობებს და ამით მას ყველა სხვა უნივერსიტეტისგან გამოარჩევს! თავის დროზე სწორედ ამ ნიშნითაც მოხდა იენის უნივერსიტეტში კავკასიოლოგის მაპროფილებელ სასწავლო კურსად არჩევა რთულ, გარდამავალ პერიოდში, ფენრიხის ემერტუსად წასვლისა და კათედრის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე, კავკასიოლოგიაზე ზრუნვა მხოლოდ თავის თავზე აიღო ფენრიხის მოწაფემ უტე რიგერმა. მაშინდელი დეკანის, ჰერმან ფუნკის მხარდაჭერით უტე რიგერმა პროგრამა გადაიყვანა საბაკალავრო და სამაგისტრო სისტემაზე. ორივე მათგანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის კვლევის შენარჩუნებაში.

მანანა თანდაშვილისა და ნინო ამირიძის ორი მოკლევადიანი ვიზიტის შემდეგ, 2008 წლიდან კათედრას წარმოადგენდა ფოლკლორისტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ელგუჯა დადუნაშვილი, რომლის მოწვეულ პროფესორად მოვლინება გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა (DAAD) დააფინანსა STAR-სტიპენდიით. ელგუჯა დადუნაშვილმა განაახლა სასწავლო პროგრამა და სხვა საკითხებთან ერთად შემოიღო საველე კვლევის მოდული. 2011 წელს კათედრა დაიკავა ეთნოლინგვისტმა კევინ თუიტმა, რომელმაც შეცვალა სასწავლო კურსი და პროგრამა ამოქმედდა რეგიონთმცოდნეობის სპეციფიკით და ენათმეცნიერების

ძირითადი ასპექტების შენარჩუნების გათვალისწინებით. ამგვარად მოიმატა კულტურულ-სოციალური თემების კვლევების რიცხვმა.

მომდევნო წლებში გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა. საზოგადოებაც მეტად დაინტერესდა კავკასიონლოგიით.<sup>1</sup> თიურინგიის ლანდესცაიტუნგმა 2013 წლის 23 ნოემბერს მთელი გვერდი დაუთმო სტატიას, რომელშიც იქნის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი კლაუს დიკეს ციტატა იყო მოყვანილი: „კავკასიონლოგიას არავითარი საფრთხე არ ემუქრება“, - ამბობდა დიკე, „თუმცა, ის მწვავე ფინანსური პრობლემის წინაშე დგას. მას ჩვენ ვერ შეველევით — პირველი - ტრადიციის, მეორე - ეროვნული ინტერესებისა და მესამე - სამეცნიერო საფუძვლების გათვალისწინებით“.

ავტორი, უმაღლესი სკოლის პოლიტიკაში აქტიურად ჩართული პოლიტიკოსი, ზემოაღნიშნულს ამატებს: „მე მხარს ვუჭერ ფედერალური მთავრობის მხრიდან ისეთი პატარა სასწავლო კურსების დაფინანსებას, როგორიც კავკასიონლოგიაა“.<sup>2</sup>

Taz (დღის გაზეთი) - 2014 წლის ზაფხულის ნომერში ასევე წერს, რომ კავკასიონლოგიას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ვისაც კავკასიონლოგიის შესწავლა სურს, ეს მას გერმანიაში მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში — იენაში - შეუძლია: აქ ერთი პროფესორი და 3 თანამშრომელი (იხ. წყარო) ემსახურება რეგიონის შესწავლასა და კვლევას, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ხიდად ითვლება. თუმცა გასულ წელს ამ ორქიდეული დარგის არსებობას საფრთხე შეექმნა. თიურინგიის ფედერალური მინის მთავრობამ უნივერსიტეტებს მოსთხოვა უფრო მოთხოვნადი სასწავლო კურსებით შემოფარგლულიყვნენ, რაც უნივერსიტეტისათვის 2015 წლამდე მთელი 7 მლნ. ევროს ეკონომიკას უზრუნველყოფდა.

<sup>1</sup> Exemplarisch: Kaukasiologie: Erst mal einen Tee. Zeit-Online, 27.1.2014, <www.zeit.de/studium/hochschule/2014-01/leine-studiengaenge-studium/seite-4>.- Besondere Studiengänge: Master der Selbstverwirklichung. Spiegel-Online, 21.11.2014, <www.spiegel.de/unispiegel/studium/exotische-masterstudiengaenge-ich-studier-was-mir-gefaellt-a-1003479-5.html>.

<sup>2</sup> Kaukasiologie bleibt der Friedrich-Schiller-Uni in Jena erhalten. Thüringer Landeszeitung, 28.4.2015,<www.tlz.de/web/zgt/kultur/detail/-/specific/Kaukasiologie-bleibt-der-Friedrich-Schiller-Uni-in-Jena-erhalten-1271564352>.

**მაგრამ კავკასიოლოგია მაინც შენარჩუნდა ერთი შე-  
თანხმების წყალობით, რომელიც მაისში დაიდო ფე-  
დერალური მთავრობის ფინანსთა მინისტრ ვოლფგანგ  
შოებელესა (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) და  
იმ ფედერალური მინების მთავრობებს შორის, რომ-  
ლებშიც გერმანიის სოციალისტური პარტიაა მმართ-  
ველ ორგანოებში. ამ შეთანხმების შედეგად მომავალ  
წელს თიურინგიის უმაღლესი სასწავლებლები ფედე-  
რალური მინის ხაზინიდან 30 მლნ. ევროს მიიღებენ.  
ამასთანავე, ფედერალური მთავრობაც კისრულობს  
ფედერალური მინების წილობრივ დაფინანსებას 1,17  
მლრდ. ევროს ოდენობით, სამომავლოდ კი უმაღლესი  
სკოლის საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩარჩევის უფ-  
ლებას იტოვებს.<sup>3</sup>**

ზემოთქმული კავკასიოლოგიის სტუდენტებისა და პედაგოგებისა-  
თვის ერთგვარი გარანტიაა. სწორედ ამან გადააწყვეტინა მასწავ-  
ლებლებს იქნაში დასაქმება, სტუდენტებში კი განაპირობა სწავლის  
გაგრძელებისა და ზოგ შემთხვევაში კი სასწავლო ადგილის არჩე-  
ვისგადამწყვეტი მოტივაციაც. სწავლებასთან ერთად ბოლო წლებში  
განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ფონდებით დაფინანსებულ  
ემპირიულ კვლევებსა და მოპოვებული სახსრებით დაფინანსებულ  
პროექტებს.

აღსანიშნავია გარე დაფინანსებით დაგეგმილი ორი დიდი პროექ-  
ტი. ფოლკსვაგენის ფირმის მიერ დაფინანსებული კოოპერაციული  
პროექტი - *Transformations of Sacred Spaces, Pilgrimages and Concep-*  
*tions of Hybridity in the Post-Soviet Caucasus* (პროექტის ბიუჯეტი 250  
000 ევროს შეადგენს) ეხება რელიგიურ ქსელს, შესაბამისად არსე-  
ბულ კითხვებსა და რელიგიური ჯგუფების კოპაბიტაციას, ასევე  
მათი რეგიონში დამკვიდრების საკითხებს.

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტით - CASCADE (სა-  
ფონდო დაფინანსება 350 000 ევრო) - იქნის ჯგუფი მუშაობს კავ-  
კასიის მიგრაციისა და სომხეთის მიწათმოწყობის საკითხებზე

გარე დაფინანსების პროექტების საშუალებით სამი წლის ვადით  
გამოიყო სტიპენდია და დაფინანსდა სამუშაო პოზიციები: ერთი

<sup>3</sup> Milliardendeal mit Hochschulen. taz, 19.9.2014, Hervorhebung durch den Verfasser

სტიპენდია პოსტდოქტორანტურისთვის, ორი ადგილი დოქტორანტებისთვის, ორი ადგილი სამეცნიერო კონსულტანტებისათვის და ერთი ადგილი არასრული სამუშაო დღით მდივნისათვის.

ამ პროექტების ფარგლებში ასევე შესაძლებელი გახდა კავკასიელ პარტნიორებთან ერთად ჩრდილოკავკასიისა (კრასნოდარის მხარე, დალესტანი) და სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ერთობლივი მრავალწლიანი კულევები, რომელთა კავკასიოლოგიურ ასპექტს იენა კოორდინირებს.

2013 წლის ბოლოს კავკასიოლოგიის პროფესურა ხელახლა შედგა, წესდება წინასწარ შეთანხმდა უნივერსიტეტის სენატსა და საპატიოსთან. კათედრის ხელახლა დაკომპლექტება ასევე შეთანხმდა თიურინგიის სამხარეო სამინისტროსთან. 2014 წლის ივნისში ხუთი შერჩეული კანდიდატი საჯარო მოხსენებებით წარდგა სარეკლამო მიზნით გამართულ ღონისძიებაზე. კათედრის დაკომპლექტება არა უგვიანეს 2015 წლის ზამთრის სემესტრისათვის დაიგეგმა. ამიტომ კავკასიოლოგიისათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის, შტეფან მათუშევის მიერ 2015 წლის 28 აპრილს ფაკულტეტის საბჭოზე პროექტის შეტანა კავკასიოლოგიის კათედრის ხელახლა დაკომპლექტების საწინააღმდეგოდ.<sup>4</sup>

ამ პროექტისათვის ფაკულტეტის დახურულ სხდომაზე კავკასიოლოგიის წარმომადგენელთა გარეშე უნდა ეყარათ კენჭი, მაგრამ ის არ მიიღეს და საკითხი 2015 წლის 26 მაისის სხდომისათვის გადაიტანეს.

ამრიგად, ისევ გაჩნდა საშიშროება იმისა, რომ კავკასიოლოგიის კათედრის დაკომპლექტება აღარ მოხდეს, ეს კი, ფაქტობრივად, სასწავლო კურსის დახურვას ნიშნავს, რაც მკვეთრად უპირისპირდება სამეცნიერო საბჭოს 2013 წლის რეკომენდაციებს, სადაც ხაზგასმით მოითხოვენ კავკასიოლოგიის გაფართოებას. აი რა წერია იქ:

მიუხედავად ყველაფრისა, კავკასიოთა და ცენტრალური აზიით სულ უფო ნაკლებად ინტერესდებიან. აქ არ უნდა გამოვრიცხოთ ის გარემოებაც, რომ ეს რეგიონები გამოკვეთილად არც აღმოსავლეთ ევროპას ეკუთვნის და არც აზიას და ამიტომ გერმანიაში არ-

<sup>4</sup> Einzigartiges Fach Kaukasiologie steht an Jenaer Uni vor dem Aus. Thüringer Landeszeitung, 28.4.2015, <www.tlz.de/web/zgt/leben/detail/-/specific/Einzigartiges-Fach-steht-an-Jenaer-Uni-vor-dem-Aus-81678326>.

სებული რეგიონთმცოდნეობის კვლევების სფეროებშია გადანაწილებული[...].

კავკასიისა და ცენტრალური აზიის კვლევების ინსტიტუციური სტაბილურობის მიუხედავად, აზერბაიჯანის ისტორიის კვლევის ფონდის პროფესურა და „რუსეთისა და აზიის ისტორიული კვლევების პროფესურა“ (ეს უკანასკნელი, როგორც გადმოგვცეს, 2013 წელს მიუწენის უნივერსიტეტში დაარსდა) არასაკმარისად მიიჩნევს გერმანიაში ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევებს მაშინ, როცა არასაკმარისადაა ათვისებული არსებული მძღავრი სამეცნიერო პოტენციალი. მათი დაინტერესება კი ამ რეგიონებით, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მაჰმადიანური სარწმუნოებისაა და ხიდია ევროპასა და აზიას შორის, სწორედაც ტრანსრეგიონალურ კვლევების შესაძლებლობას გვთავაზობს. ამ შესაძლებლობის არგამოყენება დასანანია სამეცნიერო თვალსაზრისით და პრობლემატურიცაა ამ ნედლეული რესურსებით მდიდარი რეგიონისათვის მისი მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ფონზე. აქ გერმანია არ უნდა იყოს დამოკიდებული ამერიკულ კომპეტენციებზე, რომელმაც ევრაზიული კვლევების სფერო გასულ წლებში არსებითად გააფართოვა.<sup>5</sup>

სამი კონკრეტული რეკომენდაციიდან ერთ-ერთი ასეთია:

სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში უნდა შეიქმნას რაოდენობრივად შეზღუდული პროფესურა კავკასიისა და ცენტრალური აზიის კვლევების მიმართულებით. ამავე დროს უნდა შეიქმნას ენისა და კულტურის შესწავლის შესაძლებლობა. სასურველია, შესაძლებლობისდაგვარად ეს ერთ უნივერსიტეტში მოხდეს, რათა კვლევამ და სწავლებამ კრიტიკულ სიდიდეს მიაღწიოს. აქ კი იენის უნივერსიტეტს, რამდენიმე ათეული წლის ისტორიის გათვალისწინებით, ექნებოდა უნიკალური შანსი, რათა თავი დაემკვიდრებინა კავკასიის კვლევის კომპეტენციურ ცენტრად და აქამდე არსებული პერსონალური სპეციალისტი გაეფართოვებინა კიდეც. 2014 წელს მიღებული თიურინგიის უმაღლესი სკოლის სტრატეგიაც ცალსახად გამოხატავს პოზიციას, რომ 2020 წლისათვის ისეთი პატარა სასწავლო კურსები, როგორიც კავკასიოლოგიაა, არა თუ შენარჩუნდეს, არა-მედ, გაფართოვდეს კიდეც. აი, რა წერია იქ:

<sup>5</sup> Wissenschaftsrat: Empfehlungen zur Weiterentwicklung der außeruniversitären historischen Forschung zum östlichen Europa. Berlin, 25.1.2013, S. 92–93.

ტერმინი „პატარა საგნები“, წესისამებრ, ისეთ სასწავლო დისციპლინებს აერთიანებს, რომელთაც ახასიათებს, როგორც მცირე საკადრო და დარგობრივი რესურსები, ასევე სტუდენტთა მცირე რაოდენობა. ბევრ შემთხვევაში მათ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ და, მიუხედავად მცირე რესურსებისა, საკმაოდ თვალსაჩინო უპირატესობაც გააჩნიათ. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთო ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ პლურიდისციპლინურობასა და პერსპექტივების მრავალფეროვნებაში. გასული წლების მოვლენების გათვალისწინებით, არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც აუცილებელია შევინარჩუნოთ ცოდნის შეძენისა და სასწავლო დისციპლინებში ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოძიების შესაძლებლობა, რომლებიც შუა და ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ ევროპის და მოსაზღვრე რეგიონების კულტურისა და ენების კვლევით დაინტერესდებიან.<sup>6</sup>

ამრიგად, პროგრამის დახურვა შეუთავსებელია თიურინგიის მთავრობის სტრატეგიულ მიზნებთანაც, მაგრამ არა მარტო ფედერალური მინის, არამედ თვით ფედერალური მთავრობის დონეზეც კი ისეთი პატარა სასწავლო კურსი, როგორიცაა კავკასიოლოგია, საჭიროებს უფრო მეტ ყურადღებას და, შესაბამისად, არა მცირე, არამედ მეტ მფარველობასა და დაპირებებსაც.<sup>7</sup> ამაზე პირდაპირი ზეგავლენა კი განათლების კვლევის ფედერალურმა სამინისტრომ უნდა მოახდინოს. 2014 წლის დეკემბერში კონსტიტუციის 91-ე მუხლის ცვლილების შედეგად მცირეკონტიგენტიანი დისციპლინების დაფინანსებისათვის გზა გაიხსნა. ეს უშუალოდ შეეხმ კავკასიო-

<sup>6</sup> Thüringer Ministerium für Bildung, Wissenschaft und Kultur: Hochschulstrategie Thüringen 2020. Erfurt, 2014, S. 72–73.

<sup>7</sup> So erschein z.B. im April 2012 eine Broschüre der Hochschulrektorenkonferenz "Kleine Fächer an den deutschen Universitäten interdisziplinär und international" ([http://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/EVA-2012\\_Kleine\\_Faecher.pdf](http://www.hrk.de/fileadmin/redaktion/hrk/02Dokumente/02-10-Publikationsdatenbank/EVA-2012_Kleine_Faecher.pdf)), in der nachdrücklich die Daseinsberechtigung der "Kleinen Fächer" unterstrichen wird und auch mehrfach die Kaukasiologie Erwähnung findet.

ლოგიას იენის უნივერსიტეტში, რომელსაც კავკასიის რეგიონთან, განსაკუთრებით კი საქართველოსთან პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთობები აქვს. კავკასიოლოგიის დაფინანსება სახელმწიფოს ინტერესის საგანს შეადგენს და აქ ისიც არ უნდა გამოირიცხოს, რომ, ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის მზარდი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, სულ უფრო აქტუალური ხდება მეტის ცოდნა ჩვენი აღმოსავლელი მეზობლების შესახებ. ამ მხრივ, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში ბევრი ექსპერტიზა ტარდება, განსაკუთრებით კი უკრაინისა და სამხრეთ აღმოსავლეთის რეგიონებისათვის, რაც აადვილებს სინერგიას კავკასიოლოგიასთან მიმართებით. ამიტომ ისეთ სიტუაციაში, როცა მცირე სასწავლო კურსები ფონდების მიერ გამიზნულად ფინანსდება, კავკასიოლოგიის გაუქმება, აზრს მოკლებულია.

ასე, რომ კავკასიოლოგიის მიმართულების შესანარჩუნებლად ბევრი არგუმენტი არსებობს. იენის უნივერსიტეტისათვის ეს დარგი განსაკუთრებულ ნიშას წარმოადგენს. გარდა ამისა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიისათვის. იენის უნივერსიტეტი გამორჩეულია არა მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის კვლევების გააქტიურებითა და განხორციელებით, არამედ იმითაც, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტზე ამ ბოლო წლებში მოპოვებული გარე დაფინანსების უმეტესობაც სწორედ კავკასიოლოგიაშია. სასწავლო კურსის მოცულობასთან შედარებით მან იმაზე მეტი თანხაც კი მოიზიდა, ვიდრე ამას მისი მიმდინარე ბიუჯეტი მოითხოვს. სახსრების მოზიდვის ასეთი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ კავკასიოლოგია წარმოადგენს გარანტს რეგიონის ექსპერტიზისათვის. სამომავლოდ კი ეს წარმატებული გარე დაფინანსების პოტენციალს ზრდის.

იენის კავკასიოლოგიის სკოლა გაცვლითი პროგრამების აქტიურ ქსელს მოიცავს გერმანიის სხვა (მარტინ ლუთერის ჰაუთე-ვიტენბერგის, ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი) და აგრეთვე ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის სხვა უნივერსიტეტებთან, რომლებიც ერაზმუს მუნდუსის, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, ერანეტის და სხვა ფონდების მეშვეობით ფინანსდება. ის სასწავლო სფეროში (სემინარები და ლექციების ციკლი) თანამშრომლობს ფილოსოფიური ფაკულტეტის სხვა ინსტიტუტებთან (მაგ.: სლავისტიკა, ფოლკლორი/კულტურის ისტორია, სამხრეთ ევროპის კვლე-

ვები) და მონაწილეობს საუნივერსიტეტო თანამშრომლობაში- ჰალე-ლაიპციგი-იენა (ჰალეს უნივერსიტეტთან - სხვა საუნივერსიტეტო პარტნიორობასთან ერთად არმქოლოგის და ეთნოლოგის მიმართულებით და ჰალეს ეთნოლოგიური კვლევის მაქს-პლანკის ინსტიტუტთან).

გერმანულ-ქართული რედაქციით გამოცემული დარგობრივი ჟურნალი „გეორგიკა“ კავკასიის რეგიონის შესახებ გერმანულენოვანი სამეცნიერო პუბლიკაციების უმნიშვნელოვანესი გამოცემაა. აქტუალური, საზოგადოებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი თემების დამუშავებით, როგორებიცაა: რელიგიისადმი შემობრუნება, მიგრაცია, ტრანსნაციონალური ქსელები, ნაციონალური სახელმწიფო, ჰიბრიდული იდენტობები და შიდაეთნიკური ურთიერთობები კავკასიაში, ჟურნალმა ხელი შეუწყო კავკასიოლოგიას, რათა ის დამკვიდრებულიყო, როგორც თანამედროვე რეგიონთმცოდნეობა.

დასასრულ, მოკლედ შევხები უტყუარ არგუმენტს - „სტუდენტთა მცირე რაოდენობას“. როგორც მცირე დარგს, კავკასიოლოგიას, მართლაც, ცოტა სტუდენტი ჰყავს. აქედან გამომდინარე, დიდი სასწავლო კურსები კავკასიოლოგის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით არ უნდა აკეთებდნენ გათვლას. თუმცა, ბოლო წლებში კავკასიოლოგიის დარგში დადებითი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა, მაგალითად, 2012/13 სასწავლო წლის ზამთრის სემესტრში კავკასიოლოგიას გაცილებით მეტი სტუდენტი ჰყავდა, ვიდრე მანამდე. ბოლო ორი წლის მანძილზე კი რაოდენობა შემცირდა - ეს განაპირობა კავკასიოლოგიის კათედრისათვის შემუშავებულმა ახალმა გეგმამ. გასაჯაროვებული გეგმის მიხედვით სტუდენტებისთვის ნათელი არ არის, გააგრძელებს თუ არა კავკასიოლოგია რეგიონთმცოდნეობის განხრით განვითარებას. ამ გაუგებობამ კავკასიოლოგიის შესწავლით დაინტერესებული რამდენიმე სტუდენტი დააბრკოლა.

კავკასიოლოგიის სასწავლო კურსი იენაში არათუ არ უნდა მოკვდეს, არამედ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოკვეთოს თავისი ნათელი და გარკვეული პოზიცია.

### გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ

## დიანა ანტიმიადი



## დაკარგული ნიგნი

ამბის მოყოლა ალბათ იქიდან უნდა დავიწყო, როცა მინიატურებიანმა, ლამაზყდიანმა წიგნმა საკუთარი თავი ეტლში აღმოაჩინა. ჰო, ასე, უბრალოდ, თანამგზავრების გარეშე. მარტო აღმოჩნდა ტფილისური ეტლის ოდნავ გადაქექილ სავარძელზე.

წერეთლის ვაჟმა, ფრიდონმა, „ვეფხისტყაოსნის“ არა, ისე, ფრიდონმა... ხელნაწერი საჩერიდან თბილისში ჩამოიტანა და მერე, თბილისის დუქნებში შესმული ღვინის თუ უბრალო, ახალგაზრდული დარდიმანდობის გამო, ეტლში დარჩა... წიგნი სულ ცოტახანს იყო მარტო, საკუთარ ტექსტთან დარჩენილი, ხელნაწერის მინდვრების სიცარიელეში გაყუჩებული, თავისივე მინიატურების თოვლიან უდაბნოში განმარტოებული. იცით, ეს როგორი თოვლია? თბილი, თბილი, ხელში ქვიშასავით რომ იფანტება და საკუთარ ზედაპირზე ყვავილებს რომ ახარებს...

ცოტა ხანში წიგნი ერთმა ნოქარმა იპოვა, რომელმაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გააქანა, სარფიანად გავყიდი და ბედსაც ვეწევიო. ექვთიმე თაყაიშვილი, საგანძურის მცველი და შემგროვებელი იქ არ დახვდა, ამიტომაც, შემთხვევითი მპოვნელი უკან გამობრუნდა და ნაპოვნი განძი დავით სარაჯიშვილს შესთავაზა. მანაც, წიგნისა და ხელნაწერების ლირებულების კარგმა

მცოდნებ და გულშემატკივარმა, ხელნაწერი შეიძინა. შეიძინა და თავისი ფრანგი სტუმრის, ბარონ დე ბაისთვის ჩუქება გადაწყვიტა.

ვინ იცის, რომელ გზას დაადგებოდა, რომელი ქვეყნის ჰაერს ჩაისუნიქავდა მეთვრამეტე საუკუნის უძვირფასესი ხელნაწერი, რომ არა მისი საბედისწერო შეხვედრა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელ-მაც ხელნაწერის ბედი შეცვალა.

დავით სარაჯიშვილს ძალიან უყვარდა ექვთიმე თაყაიშვილი, მისი ნიჭის, გულწრფელობის, რაღაცნაირი, ბავშვური დაბნეულობისა და გულანთებული მამულიშვილობის გამო. ხშირად სადილობდნენ ერ-თად, სარაჯიშვილის სასახლის მყუდრო ბაღში, ექვთიმე ექსპედი-ციებზე უყვებოდა, ლიტერატურაზე საუბრობდნენ, ათას რამეს მი-მოიხილავდნენ. ამ კვირასაც ტრადიციულ საზეიმო სადილზე იყო დაპატიუებული რამდენიმე მწერალთან და ოჯახის ახლობელთან ერთად.

ეკატერინე, სარაჯიშვილის მეუღლე ბოლო დროს ევროპულ კერ-ძებს უფრო სწყალობდა, კნეინა ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულო წიგნიდან ათასგვარ ბლომანუეს და პუდინგს ამზადებდა სარაჯიშ-ვილების მზარეული. იმ საღამოსაც რამდენიმე ქართულ კერძთან ერთად ევროპული დესერტებიც შესთავაზეს სტუმრებს, ღვინოც საგანგებო ჰქონდათ, მსურველებს კი პატარა, ბროლის სიჩქარებით სურნელოვანი კონიაკის გასინჯვაც შეეძლოთ.

მათთან სტუმრობა ყველას უყვარდა, ღირსეული მასპინძლები, კეთილგანწყობილი სტუმრები, საინტერესო საუბრები. თუ კი თბი-ლისის გული სადმე სცემდა, ეს სარაჯიშვილების სასახლე იყო.

იმ კვირა დღესაც ათასი მეფისა და თავადის, რამდენიმე შემ-თხვევითი და ზოგი ნამდვილი მკითხველის ხელში გამოვლილი ხელ-ნაწერი სარაჯიშვილისეულ ბიბლიოთეკაში თვლემდა, რაღაცნაირ, გრილ სიმყუდროვეში გაყუჩებული და ზანტად უცქერდა თაროებსა და მაგიდებზე ჩამოლაგებულ წიგნებსა და ხელნაწერებს.

ბიბლიოთეკაში სულ ოდნავ ისმოდა მისაღები ოთახის ფორიაქი და ფაციფუცი, ფორტებიანოს ხმა, ხმამაღალი სიცილი....

ზოგჯერ ბიბლიოთეკის კართან კაბების შარიშურითა და სწრაფი ნაბიჯით გაიგლიდნენ ხოლმე შინამოსამსახურეები, ვერცხლის და-ნა-ჩანგალი მოჰქონდათ, ან ფაიფურის ულამაზესი ჭურჭელი სარა-ჯიშვილების გერბის ანაბეჭდით.

საკუთარი ნახატების ფერებში, საკუთარ სიუჟეტში ასე რომ არ გახლართულიყო, ხელნაწერი უთუოდ გაიგებდა საუბრის ნაწყვეტებ-

საც. ახალგაზრდა გიგო გაბაშვილი პარიზზე, მის მხატვრებზე და მონმარტრის ქუჩაზე ლაპარაკობდა, არტურ ლაისტი „ივერიის“ ახალ პუბლიკაციას განიხილავდა, აკაკი ახალბედა პოეტებზე სასაცილო ამბებს ყვებოდა, ექვთიმე ჩუმად იჯდა და გონებაში ტაო-კლარ-ჯეთის რამდენიმე ტოპონიმზე ფიქრობდა, საკითხები და კითხვები წინა საღამოს ჩაიწერა სამუშაო რვეულში, სავარაუდო პასუხები კი მოსვერებას არ აძლევდა.

- უი, ექვთიმე, ერთი ისეთი ხელნაწერი უნდა გაჩვენო, ისეთი, რომ შენი მოწოდებული! - უთხრა დავითმა. თუ რამე გამოიყვანდა ექვთიმეს ამ აბურდულ-ჩაბურდული ფიქრებიდან, ეს მაგრური სიტყვა „ხელნაწერი“ იყო.

- რუსთაველია, საუცხოო ნახატებით, წამოდი წიგნების ოთახში და გაჩვენებ! მეგობრებო, გვაპატივთ, მაგრამ ამ ყმანვილის გულის ჭირს უნდა ვუნამლო, ახლა ვეღარ მოისვენებს, ცოტა ხანში დავბრუნდებით!

წიგნმა ჯერ ორი ადამიანის ნაბიჯების ხმა გაიგონა, შემდეგ მძიმე კარი გაიღო და ერთ ნაცნობ და მეორე – უცნობ მზერას შეეფეთა.

ეს მეორე განსაკუთრებულად უცქერდა, შემდეგ მასპინძელს შეაჩერდა უსიტყვო კითხვის გამომხატველი თვალებით და როცა დასტური დაინახა, ოდნავ აკანკალებული, გამხდარი და ულამაზესი თითები ხელნაწერის ყდას შეახო, შემდეგ გადაშალა, ფრთხილად, ფრთხილად, განსაკუთრებული რუდუნებით ფურცლავდა, ხან სინგურისფერ, საწყის ასოებს აკვირდებოდა, ხანაც გადამწერის ხელნერას, გონებაში ყველა ადრე ნანახს ადარებდა, საერთოს ექებდა, მერე კი, როდესაც პირველივე მინიატურას გადააწყდა, საერთოდ შეეცვალა მზერა, რუდუნება თაყვანისცემაში გადაეზარდა და ხმა-მაღლა ამოხდა:

- საოცრება! დავით, საიდან მოიპოვეთ?

- წერეთლებისგან ვიყიდე, ხომ ძალიან მოგეწონა? უძვირფასესი ხელნაწერია, განსაკუთრებული მეგობრისა და სტუმრისთვის მინდა, ბარონ დე ბაის უნდა ვაჩუქო...



იმ წუთიდან, როდესაც ეს სიტყვები გაიგო, ექვთიმემ გონებაში გადაწყვიტა, რომ ამ განსაკუთრებულ წიგნს საქართველოს საზღვრის გადალახვის უფლებას არ მისცემდა, ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაცულ საცავში ეხილა. გადაწყვიტა და მოქმედების გეგმაც დასახა.

სარაჯიშვილს აღწერისა და კვლევისთვის სთხოვა ხელნაწერი რამ-დენიმე დღით ეთხოვებინა, წამოიღო და ...

თითქმის ყოველ კვირაში მოდიოდა მასთან სარაჯიშვილის გა-მოგზავნილი შიკრიკი ხელნაწერის წასაღებად, მაგრამ ექვთიმე ხან რას იმიზეზებდა, ხან რას, ხან აღსანერი დამრჩაო, ხანაც თარიღს ვადგენო, ზოგჯერ კი უბრალოდ სახლში არ ხვდებოდა. ასე გრძელ-დებოდა მანამ, სანამ ბარონმა დე ბაიმ და მისმა მეუღლემ თბილისი არ დატოვეს. ცოტა ხანში ექვთიმემ წიგნი წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ საზოგადოებას შესწირა დავით სარაჯიშვილის სახელით.

თუმცა, ბედისნერას, რომელიც საერთოდ თან სდევს ხოლმე წიგნებს, ასე მარტივად არ დაუტოვებია იგი საცავის დაცულ სი-მყუდროვეში. ჯერ წერეთლებმა წაიღეს ხელნაწერილით და დიდხანს არ დააბრუნეს, სანამ კვლავ ექვთმე თაყაიშვილმა არ გამოიჩინა თავისი დიპლომატიური და ამავე დროს მკაცრი ხასიათი. დაბრუნე-ბისას კი აღმოჩნდა, რომ ხელნაწერს მინიატურები აკლდა, რამდე-ნიმე უძვირფასესი ნახატი ისე ამოჭრეს წიგნიდან, როგორც ფურ-ცლებს ამოხევს კაცი თხელყდიანი რვეულიდან... ნახატები კვლავ ექვთიმეს ძალისხმევითა და მარჯორი უორდროპის დახმარებით მოიძიეს და დიდი ხნის შემდეგ ორ ყდას შუა, თავის ადგილზე დააბრუნეს...

ყველა წიგნს თავისი ბედი აქვს, ამ ხელნაწერსაც მათ შორის... როგორც წესი, ორგვარ ადამიანებს ხვდებოდა ხოლმე, ერთნი გულ-წრფელად ეთაყვანებოდნენ ხოლმე, მის გადარჩენაზე ზრუნავდნენ, მეორეთათვის კი ის გემრიელი ლუკმა იყო, ამიტომაც არც გაყიდ-ვას, არც ქვეყნიდან ნანილ-ნანილ, ფურცელ-ფურცელ გატანას არ ერიდებოდნენ... ასე იყო თუ ისე, წიგნი ცხოვრობდა და ცხოვრობს დღემდე, უცნობი გადამწერისა და მომხატველების საერთო შრომის ნაყოფი, თავისი გენიოსი ავტორისა და კალიგრაფ-შემმკობელების სსოფნის მარადსაყოფად...



მინიატურები

„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ნუსხა.

წყარო: [http://geomanuscript.ge/Kartuli\\_Khelnaweri\\_Alboti.pdf](http://geomanuscript.ge/Kartuli_Khelnaweri_Alboti.pdf)



რამაზ პეტაშვილის ნამუშევარი „სიყვარული“

## თამარ ლომაძე

ფილოლოგის დოქტორი. დაცული აქვს დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კონიტური ას-პექტები“; სამეცნიერო კვლევის სფეროები: პოლიტიკური ლინგვისტიკა, კრიტიკული დის-კურსის ანალიზი, სოციოლინგვისტიკა, ზოგადი ენათმეცნიერება.



## თანამედროვე ქართული პიარენის ისტორიული ნანამდვრები

(„გეოტექნიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ენა“)

პიარი ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც ესოდენ აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში, სრულიად უცხო იყო საბჭოთა მენტალიტეტისათვის, რამაც დააბრკოლა ეს სოციალური სისტემა ჩვენშიც - საქართველოშიც. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ქართული სოციალური რეალობა (და არა მხოლოდ) უმაღლ დაინტერესდა პიარტექნოლოგიებით და თანდათან შეითვისა კიდეც ამ სასარგებლო ინსტიტუტის „ანბანი“. შეიძლება ითქვას, რომ ესოდენ მოკლე დროში პიარტექნოლოგიებში გაწაფვა და ამ საქმიანობისათვის ქართული ენობრივი საშუალებების მზაობის დადასტურება არა მარტო სასიამოებრივ ფაქტია, არამედ გასაკვირიც. ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ არ ჰქონდა ქართულ ენას ერთგვარი ისტორიული გამოცდილება საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში, და ეს გამოცდილება ამჟამინდელი ლინგვისტური პიარამოცანების გადაჭრაში ეხმარება? საინტერესოა, ე. წ. საზოგადოებრივი ურთიერთობების ინსტიტუტები მართლაც სიახლეა ჩვენთვის, თუ არსებობს დღეს პიარად წოდებული მოვლენის წინამორბედი ენობრივი კომუნიკაციის ფორმა ქართულ სინამდვილეში?

რა ხერხებს მიმართავდნენ ქართველები პროპაგანდისა თუ ოფიციალური პირების დიპლომატიური წარდგინების წარმატებულად განსახორციელებლად მაშინ, როცა არც პრესა იყო, არც ტელევიზია და არც სპეციალური პირსამსახურები?

”ვეფხისტყაოსანი“, ყველა სხვა ღირსებასთან ერთად, შესაძლოა მივიჩნიოთ პიარტექსტადაც. რა იყო მისი შექმნის მიზანი? რატომ შექმნა პოეტმა თამარ მეფის ქებათაქება?

პიარის ელემენტები შეიძლება აღმოვაჩინოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდში: როსტევან მეფის მიერ თინათინის საზოგადოებისთვის გაცნობა; ტარიელის საძებნელად წასული ავთანდილის განზრახვა, ყველას ამცნოს თინათინის გამეფების შესახებ; როსტევან მეფის რჩევები იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მეფე; ამ მხრივ საინტერესოა ის ეპიზოდებიც, როდესაც ფრიდონი ავთანდილს აცნობს თავის სამეფოს, როგორ ასხამს ავთანდილი ხოტბას ნურადინ-ფრიდონს, როგორ წარუდგენენ თავს ვაჭრები ავთანდილს; მეჯოგების დიალოგი ტარიელთან და ავთანდილთან და სხვ.

რუსთაველი იყო არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ სამეფო კარის დიდი მოხელე, ვაზირი, თამარ მეფესთან დაახლოებული პირი. არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ მას სთხოვეს თამარ მეფის სახოტბო პოემის დაწერა.

„მიპრძანეს მათად **საქებრად** თქმა ლექსებისა ტკბილისა,

**ქება** წარბთა და წამნამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,

**ბროლ-ბადახშისა** თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

მიუხედავად იმისა, რომ თამარ მეფეს არ აკლდა ხალხის სიყვარული, საჭირო იყო მისი ხალხისთვის სათანადოდ გაცნობა. მე-12 საუკუნეში უკვე ასე მაღალპროფესიონალურ დონეზე ზრუბავდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება მივიჩნიოთ პიარტექსტად, რომელიც უზრუნველყოფდა თამარ მეფის სახელის უკვდავებას, თუნდაც მისი, როგორც ქალი-მონარქის პოზიციების გამყარებას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ რუსთაველმა გააუღერა ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზა „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

რუსთაველი ყურადღებას ამახვილებს ხოტბის აუცილებლობაზე სამეფოს სახელის ქვეყნის გარეთ გასატანად:

„ვის ჰშვენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,

- მეფისა მზის -თამარისა, ლაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,
- მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა **ხოტბისა**, შე - რისა,
- მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მიმართ, შერისა”.
- „თამარს **ვაქებდეთ** მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული”.

რა განზრახვა პეტონდა რუსთაველს? ის ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის ქებით და მათი ამბის თხრობით ფარულად აქებს თავად თამარ მეფეს, მაშინდელი საქართველოს შინაური და საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათს, სამეფო გადაწყვეტილებათა რაციონალიზმისა და სიბრძნეს. პროლოგში პოეტი თავად აღნიშნავს, რომ ქება და ხსენება (პროპაგანდა) ყველასთვის საჭიროა.

- „ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
- ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქეს, მივსცე გონება;
- მით შევეწივნეთ ტარიელს, **ტურფადცა უნდა ხსენება**,
- მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება”.
- „ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;  
ესე მიჩის დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
- იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;  
მისი სახელი **შეფარვით ქვემორე მითქამს, მიქია**”.

საინტერესოა ეპითეტური ლექსიკა, რითაც რუსთაველი თავის გმირებს ამკობს. ასე წარადგენს პოეტი როსტევან მეფეს:

- „იყო არაპეტს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
- მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
- მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
- თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.

რუსთაველი ისევ ადასტურებს, რომ მისი მთავარი მოვალეობა სწორედ ის არის, რომ თავისი ხელობა გამოიყენოს დიდებული გმირების „საქებრად“: „ბრძენი ხამს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული“.

პიარისა და წარდგინების საუკეთესო მაგალითია როსტევანის მიერ თინათინის საზოგადოებისთვის გაცნობა. მეფე ვაზირებს კითხვით მიმართავს, რჩევას ითხოვს, რითაც თავის ლოიალურობასა და სოციალურ თავმდაბლობას გახაზავს:

- „მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,  
დღეს არა, ხვალე მოვკედები, სოფელი ასრე მქმნელია;  
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!

ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ძალიან საინტერესოა, როსტევანის რჩევები, რომლებსაც ის აძლევს თინათინს, მეფედ დასმის წინ, ეს რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია ყოველი ხელისუფლისათვის და, შესაძლოა, ნაკლებ ხატოვნად, მაგრამ სრულიად შესატყვისად არის გაცხადებული ყველა საარჩევნო პროგრამასა თუ საზოგადოებისათვის განკუთვნილ სახელისუფლები ინფორმაციებში. პოეტი ამბობს, რომ მთავარი, რაც სჭირდება მეფეს არს სიბრძნე, სიმშვიდე, წყალობის უხვად გაცემა. რუსთაველი შეფარვით გვეუბნება, რომ თამარ მეფეს ყველა ეს თვისება გააჩინია.

„ვარდთა და წევთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა წუ მოგეწყინების!

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“.

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;

უხვასა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;

სმა-ჭამა - დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!“

რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“

ყურადსალებია ავთანდილისა და როსტევანის ურთიერთობა. როცა ავთანდილი ტარიელის საძებნელად მიემზავრება, როსტევანს ვაზირს უგზავნის მისი გადაწყვეტილების შესატყობინებლად. სანამ მთავარ სათქმელს ეტყოდეს, ქებას უძღვნის მეფეს:

„შესთვალა: "გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:

ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია,

და აა თუ სჯობს, ესე ამბავი ცნანა, რაცა გარემონია“.

ავთანდილი როსტევანს ჰპირდება, რომ ყველგან გაავრცელებს თინათინის გამეფების ამბავს:

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,

თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო,

მორჩილ-ქმნილთა გავახარო, ურჩი ყოვლი ავატირო,

და ძლვენი გკადრნე ზედას-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, „ვეფხის-ტყაოსანში“ ძალიან მნიშვნელოვანია წარდგინების მომენტები. პოემის გმირები გვევლინებან ამა თუ იმ სამეფოს არაოფიციალურ ელჩებად, საზოგადოების ინფორმატორებად. ამ კუთხით საინტერესოა ის ეპიზოდი, როდესაც ტარიელი პირველად შეხვდება წურა-

დინ-ფრიდონს და ეს უკანასკნელი ამაყად წარუდგენსტარიელს თავის ქალაქს:

„მულლაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქვსო რომელი,  
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი;  
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,  
ცოტაა, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუნდომელი“.

მოგვიანებით, ნურადინ-ფრიდონის სანახავად მისულ ავთანდილს და ტარიელს მეჯოგეები ასეთი ეპითეტებით წარუდგენენ თავიანთ მეფეს: „ჯოგნი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხრმალსა, არ აკვესებსა“.

ნესტან-დარეჯანის საძებნელად წასული ავთანდილი აღმოჩნდება ულამაზესი ქალაქის ბაღში, უხმობს მებაღეებს, რომლებიც ასე დაუხატავენ ავთანდილს გულანშაროს:

“ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,  
თვით გულანშაროს ქალაქი, საკსე ტურფითა მრავლითა;  
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა;  
მელიქ-სურხავი ხელმწიფობს, სრული სვითა და დავლითა“.

“აქა მოსლვითა გაყმდების, კაციმცა იყოს ბერები:  
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები,  
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;  
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ ა მტერები“.

საინტერესოა, როგორ წარადგენს ქაჯთა მეფის მონა თავის ხელმწიფეს, როგორ ამაყობს მისით. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უძრყოფითი გმირის ასე დადებითად გაცნობა უჩვეულოა მყითხველისთვის. ქაჯეთის გარდაცვლი მეფე კი დახასიათებულია, როგორც შემწე, შემწყნარებელი, ძლიერი ხელმწიფე:

„მე ვარო მონა მეფისა მაღლისა, ქაჯთა მფლობლისა;  
მათ მიჰევდა ცემა სენისა, მათისა დამამხობლისა:

მოგვიკვდა შემწე ქვრივისა, შემწყნარებელი ობლისა,  
ან შვილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მშობლისა.

დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,  
ვისცა არ დაპკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოდია;

მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი: როსან და ერთი როდია, -  
ან იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის, მორქმული სწოდია“.

„ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წარმოადგენს მე-12 საუკუნის ქართული კულტურული გამოცდილების ყველაზე მეტყველ სახეს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პიარი (რა თქმა უნდა, არა ამ სახელწოდებით) აქტუალური იყო ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში

და ენას შემომუშავებული ჰქონდა ერთგვარი სტილი, მეტყველების მანერა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიური სისტემა, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება საუკეთესო შედეგს იძლეოდა (მაგალითისათვის: 1) ოპოზიციური ლექსიკური წყვილები - „მორჩილ-ქმნილი, ურჩი ყოვლი. 2) ეპითეტური ენობრივი საშუალებები: “ნურადინ ფრიდონ მეფეა ამაქვეყნისა ჩვენისა,/ მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ცხენისა; 3) განმეორება: ყმა ფრიდონს ეტყვის: “ის-ნრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,/ გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ჰლამი ცნობასა,“ და სხვ.)

შოთა რუსთაველის პოემა მუდმივად შეგვახსენებს იმ მაღალ კულტურას, განვითარების იმ დონეს, რომელიც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის საქართველოში იყო. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, თუ რა ძალა აქვს სიტყვას, რომ „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი. ხოლო „საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს.

# ინტერვიუ

ფარუქ ქოქსოი



## „საზღვრები ადამიანთა ურთიერთობებს ვერ აკავებს“

უახლოეს მომავალში საზოგადოება იხილავს წიგნს ქართულ-თურქული სამზარეულოს შესახებ. ქალაქ არტაანის მერიის მიერ განხორციელებული პროექტის „სამცხე-ჯავახეთისა და არტაანის მხარის მეგობრული ურთიერთობები“ ფარგლებში, წიგნის შედგენაში მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთისა და არტაანის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესიონალური მიიღეს. არტაანში წიგნის პრეზენტაციის შემდგომ, მხარეებმა ქართულ-თურქული სამზარეულოს შესახებ ერთობლივი ნამუშევარი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც წარმოადგინეს. აღნიშნულ პრეზენტაციაზე შევხვდით ქალაქ არტაანის მერს ბატონ ფარუქ ქოქსოის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სამზარეულოს მიერ მიმდევნილის დახმარებით, არტაანის მერს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

„მე გახლავართ ქალაქ არტაანის მერი, ფარუქ ქოქსოი. დავიბადე 1964 წელს. მყავს მეუღლე, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ვაჟები უნივერსიტეტშიც სანავლობენ, ქალიშვილი კი სკოლის მოსწავლეა. სანამ ქალაქის მერად ამირჩევდნენ, ამ მხარეში სატყეო სამმართველოს დირექტორად ვმუშაობდი,“ - ასე დაიწყო ბატონ ფარუქთან ჩვენი საუბარი.

– ბატონო ფარუქ, თქვენი ინიციტავით განხორციელდა ქართულ-თურქული სამზარეულოს შესახებ წიგნის შედგენის ერთობლივი პროექტი. საიდან დაიბადა ეს იდეა?

– როდესაც ვიყავი სატყეო სამმართველოს დირექტორი, ვნახე, რომ არტაანის, ასევე სამცხე-ჯავახეთის მხარისთვის მნიშვნელოვანია ეკოტურიზმი, სანადირო ტურიზმი. მაშინ დავრწმუნდი, რამდენად საინტერესო იქნებოდა ამ მიმართულებით თანამშრომლობა. ასევე, მივხვდი, რომ არის ერთობლივი პროექტების შექმნის შესაძლებლობა. ვიცით, რომ ისტორიულად ხელოვნური საზღვრები ადამიანთა ურთიერთობებს ვერ აკავებს. ადრე ერთმანეთს მომლერლები ეჯიბრებოდნენ, ეჯიბრებოდნენ ორივე ხალხის მოჭიდავეები. არტაანის მხარისთვის მნიშვნელოვანია ახალციხე. ვფიქრობ, რომ სასარგებლო იქნება ამ რეგიონისათვის, რომელიც მოიცავს ართვინს, არტაანს, ახალციხეს, ბათუმს, ნანილობრივ არზრუმს, ასევე ყარსს, საერთო პროექტების განხორციელება.

– რა მიმართულებით ხედავთ ახალციხისა და არტაანის მხარეებს შორის თანამშრომლობის საჭიროებას?

– ძირითადად ჩვენი აქცენტი გადატანილი არის და იქნება ტურიზმი. მხარეებს შორის თანამშრომლობა საგანმანათლებლო კუთხითაც არის. არტაანისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის აქტიურია თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. სშირად ჩამოდიან არტაანელები ახალციხეში. მაგრამ, დაახლოებით სუთი არტაანისოდენა მოსახლეობა ცხოვრიბს მის გარეთ. ჩვენი მიზანია, რომ იმ 500 ათას მცხოვრებს, რომლებიც გასული არიან არტაანის გარეთ, შევუქმნათ პირობები და ტურისტულად ჩამოვიყვანოთ რეგიონში. ასევე შევქმნათ ცენტრები, რომლებიც მათ მიიღებენ. სწორედ ეს არის ჩვენი ერთ-ერთი მიზანი ტურიზმის განვითარებისა. ჩვენ გვაქვს მრავალფეროვანი კერძები, მაგრამ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ რეგიონში ასეთ ტურისტულ ნაკადს გავუმასპინძლდეთ. ამიტომ საჭიროა მსგავსი სახის პროექტებზე მუშაობა.

– თქვენი აზრით, რა ფაქტორები შეუწყობს ხელს ორმხრივი ტურიზმის განვითარებას?

– ვფიქრობ, რომ ორმხრივი ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს ჩვენი ინფრასტრუქტურის განვითარება. მაგალითად, დაგეგმილია არტაან-ფოცხოვის და შავშეთ-არტაანის გვირაბების გაყვანა, რომლებიც არტაანს დააკავშირებს ახალციხესთან. ეს ხელს შეუწყობს ტრანსპორტის მოძრაობას. ჩვენს რეგიონს ერთმანეთთან

კარნახისა და ვალის გამტარი პუნქტებიც აკავშირებს. ამ ორი გამტარი პუნქტის მოქმედება საშუალებას გვაძლევს, განვითარდეს ტურიზმი. მთავარია, ამ საქმეში ადგილობრივი ხელისუფლება, უნივერსიტეტი, ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნდეს, რომ ეს შესაძლებელია. თუ ასე იქნება, მაშინ პროექტის გაკეთება ადვილია.

**– ამ საკითხებზე ქალაქ ახალციხის მერთან თუ გქონდათ საუბარი?**

– დიახ, ჩვენ გვქონდა საუბარი. მათაც გამოთქვეს მზაობა ამ თანამშრომლობისთვის.

**– საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ სანადირო ტურიზმის განვითარების შესახებ. როგორ ხედავთ ამ მხრივ ერთობლივი თანამშრომლობის შესაძლებლობას?**

– ასეთი მაგალითი მინდა მოვიყვანო. ზოგი ცხოველის რაოდენობა იზრდება და აზარალებს ნათესს, ან გარემოს. ზოგი მრავლდება, მაგრამ მათი მასობრივად გაწყვეტა შეუძლებელია. ასე მაგალითად, გარეული ღორი არტაანის მხრეში ძალიან არის მომრავლებული და ისინი დიდ ზიანს აყენებენ გარემოს. ასევე გამრავლდა გარეული თხა. ისინიც აზარალებენ რეგიონს. თუ მონადირე, რომელიც ეკოტურიზმით არის დაინტერესებული, ერთი თხის მოკვლაში გადაიხდის 10 000 დოლარს და თანხას ბიუჯეტში შეიტანს, მაშინ ერთი თხის მოკვლის უფლება მიეცემა. რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ცხოველის რაოდენობა არის ზომაზე მეტად გაზრდილი. ამ საქმეში ქართული მხარე უფრო არის განვითარებული და შეიძლება ამ ქვეყნის გამოკიდილება გავიზიაროთ.

**– როგორ ხედავთ მომავალ თანამშრომლობას კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში?**

– პირველი ეტაპისთვის უნდა დავგეგმოთ და მოვაწყოთ ფოლკლორული ანსამბლების სტუმრობა. ჩვენ ანსამბლს ჩამოვიყვანთ ახალციხეში და პირიქით, ვუმასპინძლებთ ამ ქალაქის წარმომადგენლებს. ანუ, პირველი ეტაპისთვის კულტურული ღონისძიებები უნდა გააქტიურდეს.

**– საინტერესოა არტაანის მხარის მუნიციპალიტეტის დამოკიდებულება მხარის სტუდენტებთან მიმართებით. ვგულისხმობთ სტიპენდიებს, ან სხვა სახის წამახალისებელ ღონისძიებებს.**

– დიახ, გვაქვს სტიპენდიები, ოლონდ იმ სტუდენტთათვის, რომებიც არტაანის მხრიდან არიან. წელიწადში ერთჯერადად 150 სტუდენტს ვეხმარებით.

- და ბოლოს, პატონო ფარუქ, როგორ ხედავთ მომავალს არტაანისა  
და ახალციხის მხარეებს შორის?

- მეზობელი ახალციხისა და არტაანის მხარეები ათასწლეულების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ სავაჭრო, კულტურულ, ფოლკლორულ და სხვადასხვა სოციალურ სფეროში. ამის შედეგად ჩამოყალიბდა საერთო და მსგავსი ადათ-წესები. უნდა ვიზრუნოთ ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობაზე, რადგან ეს იქნება კარგი შესაძებლობა, მომავალმა თაობამ შეინარჩუნოს ქვეყნებს შორის არსებული ეს კავშირი. ახალციხე თურქეთის საზღვრიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი სახმელეთო გზით უკავშირდება თურქეთს, ამიტომ, აუცილებელია ამ ორ მეზობელ მხარეს შორის თანამშრომლობა მომავალში უფრო გააქტიურდეს.

**ინტერვიუერი – ლია ზაზაშვილი**

# ხილოგნობა და ხილოგანი

რამაზ პეტაშვილი



## „ვცდილობ, რართული სული იკვეთა გოდას“

არსებობენ ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ, თავმდაბლად მუშაობენ და ქმნიან ისეთ ნამუშევრებს, რომლებიც შემდეგ იკვლევენ გზას მნახველამდე.

ასე მოვიდა ბატონი რამაზის ნამუშევრები ჩემამდე. ჩვენ ხომ პატარა ქალაქში ვცხოვრობთ, ვუყვებით ერთმანეთს ნანახისა და გაგონილის შესახებ. მეც ასე შევიტყვე რამაზ პეტაშვილის შემოქმედებაზე და გადავწყვიტეთ (ბატონი მერაბ ბერიძის ინიციატივით), გავსაუბრებოდით მას, რათა გავაცნოთ მისი ხელოვნება „არავის“ მკითხველს.

ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, რამაზის სახლის კედლებსა და ზოგადად ინტერიერს მის მიერ დამუშავებული ხის რელიეფები, მცირე ზომის დეკორატიული ქანდაკებები და ავეჯი ამშვენებს.

თემატიკა მრავალფეროვანია - ქართული ხასიათი კი ყველა კომპოზიციაში იგრძნობა, რაც მეტ ხიბლსა და ინდივიდუალობას ჰქმა-ტებს რამაზის შემოქმედებას.

რამაზი ერთნაირი სითამამით გამოსახავს ხის ზედაპირზე პეზაჟსა თუ პორტრეტს. მინდა გამოვყო თამარის პორტრეტი, რომელიც ოსტატურად და ფაქტიზი რელიეფური გადასვლებით გამოირჩევა.

საინტერესოა მის მიერ შექმნილი პეიზაჟებიც. ერთ-ერთი ასეთია ტყე, ერთი შეხედვით, ნაცნობი და ჩვეულებრივი, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს მხატვრის საკუთარი ტყეა – საკუთარი ულამაზესი წარმოსახვისა თუ შთაბეჭდილების ანარეკლი ხეზე.

ხის დამუშავებისას რამაზი ხშირად იყენებს ხის საწყის, ბუნებრივ ფორმას ისე, რომ მისი ბუნებრივი ფორმის მშვენიერება არ დაკარგოს, ეს ისე ჰარმონიულად ხდება, თითქოს მხატვარსა და ბუნებას ერთად შეუქმნიათ ფორმები. აქ ჩანს მხატვრის გემოვნება, იგი გრძნობს მასალის ფორმისა და ფაქტურის სილამაზეს. რამაზი ხშირად ინარჩუნებს ხის ქერქს და ნახევრად დაუმუშავებელი ხისგან ამზადებს ულამაზეს მაგიდას, რომელზეც თევზები და წყალმცენარეებია გამოკვეთილი და ეს ყველაფერი მოქცეულია მაგიდის მინის ზედაპირის ქვეშ. იქმნება აკვარიუმის შთაბეჭდილება.

არ შემიძლია გვერდი ავუარო კომპოზიციებს, რომლებზეც გამოსახულია მესხეთის ისტორიული ძეგლები. სწორედ საკუთარი კუთხის სიყვარულია ხშირად ავტორის ინსპირაციის წყარო?

ბატონ რამაზს აქვს შექმნილი მცირე ზომის მრგვალი ქანდაკებები, ძალზე საინტერესო ნამუშევრები დონამიკური ხაზებითა და პლასტიკით, გამორჩეული რომანტიკული თემატიკით.

P.S. რამაზის ნამუშევრები პირველად მისმა მეუღლემ – ქალბატონმა ნანა დათაშვილმა დამათვალიერებინა. ის იმდენად კარგად ერკვეოდა თითოეული მათგანის შექმნის ისტორიასა და სირთულეში, რომ მე მივხვდი, მისი სახით როგორი ძლიერი და მზრუნვრლი „თეო“ ჰყავს ბატონ რამაზს.

სწორედ ასეთი ლამაზი, ჰარმონიულ ოჯახები გვჭირდება საქართველოში, სადაც იქმნება ქართული სულის მატარებელი ხელოვნება, რომელიც ასე სჭირდება მომავალ თაობებს.

მინდა გავესაუბრო ბატონ რამაზს, რადგან იგი თავად უკეთ მოგვიყვება საკუთარ შემოქმედებაზე.

– ბატონ რამაზ, რამდენი ხანია, რაც ხეზე მუშაობთ? ვინ არის თქვენი მასწავლებელი, ვინ შეგასწავლათ ხეზე კვეთა?

პროფესიით მხატვარ-რესტავრატორი ვარ, უკვე 10 წელია, რაც ხეზე ვმუშაობ, ამ მიმართულებით თვითნასწავლი ვარ.

ბავშვობაში მქონდა გატაცება - ვაგროვებდი ხის ფესვებს, ტოტებს... ჩემს ფანტაზიაში, წარმოსახვაში სხვადასხვა ფიგურად აღვიქვამდი მათ, შემდეგ შეძლებისდაგვარად ვამუშავებდი...

– რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ხის მასალა და არა სხვა.... რა განცდა გაქვთ მუშაობისას?

ხეზე კვეთა არის ჩემთვის საქმე, რომელიც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, სასიამოვნოა როგორც მუშაობის პროცესი, ასევე, საბოლოო შედეგის მიღწევაც, რა თქმა უნდა.

– ალბათ გაქვთ სახელოსნო სადაც ამ ყველაფერს ქმნით?

მაქვს სახელოსნო, სადაც ვმუშაობ და ვქმნი ნამუშევრებს, ახლობელი ადამიანებიც მინყობენ ხელს, ამას წინათ, გერმანიიდან მივიღე საჩუქრად დანების კომპლექტი. ძალიან გამომადგა!

– როგორ იწჩევთ თემატიკას? წინასწარ იცით, რა უნდა გამოკვეთოთ, თუ თვითონ მასალა ანუ დასამუშავებელი ხის ფორმა გკარახობთ ამას?

ჩემი ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია, უფრო ხშირად, მასალა თვითონ მეარნახობს და სამუშაოს დაწყებამდე, ჩემს წარმოსახვაში ნამუშევრის საბოლოო სახეს ვხედავ, მაქვს ასევე შექმნილი ნამუშევრები, წინასწარ შერჩეულ თემებზე, ძირითადად ეროვნულ მოტივებზე. მაქვს ხატწერის კურთხევა, შექმნილი მაქვს ხატები, „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ეპიზოდი, პეიზაჟები ისტორიული ძეგლებით (მათ შორის სამცხე-ჯავახეთის), ისტორიული პერსონაჟები, მაგიდები მასიური კაკლის ხის ფესვისგან.

– აქ ისეთ ნამუშევრებსა და ხის ფორმებს ვხედავ, რომ ვფიქრობ, საკმაოდ რომანტიკული ადამიანი უნდა იყოთ. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია ამ ყველაფრის შექმნა.

ნამდვილად რომანტიკოსი ვარ, ალბათ ჩემი ოჯახის წევრები და-მეთანხმებიან ამაში.

– მხატვრებს ხშირად ეხმარებიან მეულლეები შემოქმედების განვითარებაში. თქვენს მეულლეს რა დამოკიდებულება აქვს თქვენი ხელოვნებისადმი?

ჩემი ნამუშევრების პირველი შემფასებელი ჩემი მეულლეა, ის ხშირად მაძლევს საინტერესო, მნიშვნელოვან და საჭირო რჩევებს და, სხვათა შორის, ნამუშევრების თემატიკასაც ხშირად მირჩევს...

– თუ მიგიძლვნიათ მისთვის რომელიმე ნამუშევარი?

რა თქმა უნდა, პირველი ნამუშევარი - „სადლეგრძელო“ ჩემს მეულლეს მივუძლვენი.

– რომელ ნამუშევარს გამოარჩევდით? რისი მიხედვით აფასებთ მას?

ყველა ნამუშევარი თავისებურად საინტერესო და ძვირფასია ჩემთვის. უდიდესი შრომა და სიყვარული მაქვს ჩაქსოვილი თო-თოეულში, გამიჭირდება რომელიმეს გამოყოფა... ალბათ, ის ნამუ-შევრებია ჩემთვის განსაკუთრებული, რომლებიც ჩემს შვილებსა და მეუღლეს მივუძღვენი.

– მე ვხედავ, რომ თქვენს შემოქმედებას ქართული ხასიათი თან დასდევს. ეს ბუნებრივად ხდება, თუ გსურთ, ხაზი გაუსვათ ეროვნულ ხასიათს?

ძირითადად, ვცდილობ, ნამუშევრებში ქართული სული იკვეთებოდეს... „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინტდა...“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „მრავალუამიერი“, „ახალციხის ციხე-სიმაგრე“, „ჩემი მესხეთი“, „ვაზო, ლამაზო, ფესვო, ნაკურთხო, ვაზო, ქართველი კაცის დიდებავ“, „სათარა“, „ვარძია“, „ძველი თბილისი“ - ეს ხეზე კვეთით შესრულებული ჩემი ნამუშევრების მცირე ჩამონათვალია, შექმნილი ეროვნულ მოტივებზე. ვცდილობ, ქართულ სულიერ თუ მატერიალურ სიმდიდრეს სული შთავბერო და ჩემეულად გავაცოცხლო ხეში.

– ვიცი, რომ თქვენს ნამუშევრებს სიხარულით ყიდულობენ, როგორ იმეტებთ?

ძნელია, როდესაც შენ მიერ სიყვარულით შექმნილი ნივთი შენი იჯახიდან გადის, თუმცა ეს ერთგვარი სტიმულის მომცემიცაა და კიდევ უფრო მეტის შექმნის სურვილს აღმიძრავს. პედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ნამუშევრები ბევრი ადამიანის (მათ შორის გამოჩე-ნილი ადამიანების) სახლის კედლებს ამშვერებს!

– რა არის თქვენთვის სტიმულის მომცემი?

სითბო, სიყვარული, ყურადღება, ნარმატება, რაც ჩემს ორგვლივ მრავლადაა - შინ თუ გარეთ, უდიდეს ენერგიას, ძალასა და სტი-მულს მაძლევს. თუნდაც დღევანდელი დღე... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ჩენი უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ მერაბ ბერიძეს მხარდაჭერისათვის, მადლობა თქვენ, ჩემი შემოქმედების გაშუქებისა და დაინტერესებისათვის.

მიღებული მაქვს მონაწილეობა ქალაქისა და ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვებში. დაჯილდოებული ვარ სიგე-ლებით, პერსონალური გამოფენაც მქონდა კულტურის განყოფილების ინიციატივითა და მხარდაჭერით.

– არიან ახალგაზრდები, რომელთაც აინტერესები ხეზე კვეთა. რას ურჩევდით მათ?

მონდომება, შრომისმოყვარეობა, სიყვარული და ნიჭი - სულ ეს არის, რაც ამ საქმეს სჭირდება. უფრო კონკრეტული რჩევები დაინტერესებულ ახალგაზრდებს შემიძლია პირადად მივცე, ამას სიამოვნებით გავაკეთებ, ასეთი შემთხვევები მქონია.

- სამომავლო გეგმებზე ხომ ვერ მეტყოდით რაიმეს.

სამომავლოდ, ვფიქრობ, კიდევ უფრო გავაფართოვო ხეზე კვეთის წარმოება, შევიძინო სხვადასხვა სამუშაო იარაღი და მოწყბილობები, კიდევ უფრო გავამდიდრო და გავამრავალფეროვნო ჩემი შემოქმედება, ვიზრუნო მეტ რეკლამირებაზე ჩემი საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით.

- რას ინატრებდით?

მოგეხსენებათ, საქართველო მდიდარია თავისი ეროვნული, სულიერი ფასულობებით, თავისი ხელოვნებით, ლიტერატურით, ისტორიით. ერთმა ისტორიკოსმა თქვა: „საქართველო სახურავით რომ გადახუროთ, ერთი დიდი უნიკალური მუზეუმი გამოვაო“. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი დღევანდელი „უნიკალური მუზეუმი“ ქართველებს, ყველას ერთად კიდევ უფრო გაგვეძლიერებინოს, გაგვემთლიანებინოს და აგვეყვავებინოს.

ყველაზე დიდი სიმდიდრე ჩემი ოჯახია, ჩემი შვილები - უფროსი - 21 წლის მაკა, 18 წლის თამთა და ნაბოლარა - 4 წლის თეკლა. სხვათა შორის სამივეს აქვს ხატვის ნიჭი.

P.S. სულ ახლახანს მონაწილეობა მივიღე მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი პროექტის ფარგლებში განხორციელებულ პროგრამაში „ანარმოე საქართველოში“, პირველი ეტაპი ნარმატებით გავიარე, დიდი იმედი მაქვს გამარჯვებისა და პროექტის ფარგლებში ჩემი საქმიანობის, ბიზნესის განვითარებისა.

**ინტერვიუერი – ლელა ფერაძე**

# თბილისი

## თურქი ავტორები

### ნაზიმ ჰიქმეთი გმირალა ტირიშვილი

ტირიფების ანარეკლი  
მდინარეზე ისე ჩანდა,  
თითქოს წყალი მტირალ ტირიფს ძირს ჩამოშლილ ზილფებს პპანდა...  
ტირიფსა და ტირიფს შუა ცეცხლოვან ხმლებს სჭრეტდა თვალი,  
იქ, ჩამავალ მზისკენ ჰქონდათ წითელ მხედრებს გზა და კვალი...  
უცებ,

თითქოს გაქრა გზები,  
თითქოს ფრინველს მოსტყდა ფრთები,  
ძირს დაეცა იქ მათგანი, ერთი ვინმე ცხენოსანი,  
მაგრამ  
არვის სთხოვა შველა,  
შორს წავიდა მისგან ყველა  
და მიმქროლავ მხედრებს მხოლოდ  
მიადევნა ცრემლით მზერა...

ოჂ, საბრალო ის მხედარი!  
არავინ ჰყავს მიმხედავი,  
აღარასდროს ედირსება მას, უძლურს და მიუსაფარს,  
თეთრ მტერს სდიოს ხმლის ქნევით და ჩაეჭიდოს ცხენის ფაფარს...

თანამებრძოლ მხედრებს ველარ ხედავს... ყველა ერთად ქრება  
და ჩამავალ მზეს სხივები ეკარგება ნება-ნება.

მხედრებმა... მხედრებმა... წითელმა მხედრება,  
რომელთა ცხენები ქარიშხალს ედრება,  
გაქუსლეს, გათრინდენ შორეთში ჭენებით,  
ფრთამალი ცხენებით..  
ცხენებით...  
ცხენებით...

და იმ მხედრუბივით, ქარებით დევნილი,  
მიფრინავს სიცოცხლეც, ჩვენგან გაფრენილი.  
თითქოს წყალიც გაირინდა,  
ჩრდილი ჩრდილში ჩაიბინდა,  
არაფერი დარჩა წმინდა,  
არ კვნესოდა არავინ და  
ცისფერ თვალშიც ჩაქრა სხივი...  
ტირიფების გრძელი მწკრივი  
ატირდა და მდინარეზე  
აციმციმდა ცრემლთა მძივი.

ნუდარ სტირი, შენ ტირიფო,  
ნუ ისველებ ცრემლით ზილფებს...  
განა შვებას ეღირსება, გულზე ხელებს ვინც დაიკრეფს?!  
ნუდარ სტირი...  
ნუ ისველებ ზილფებს.

## შემობრძანდი ჩემს საკანში, სანატრელო ქალო!...

შემობრძანდი ჩემს საკანში, სანატრელო ქალო!...  
დაღლილი ხარ? -  
რით გიშველო, რომ არ დაიღალო?!  
ფეხს ვარდისწყლით აქ ვერ დაგბან, არ მაქვს ვერცხლის ვარცლი...  
მწყურვალი ხარ? -  
ვერც შარბათით სავსე ჭიქას დაცლი...  
მშიერი ხარ? -  
შენ აქ სუფრა არ დაგხვდება არსად...  
ღატაკი ვარ მემლექეთის სიღატაკის მსგავსად.  
შემობრძანდი ჩემს საკანში, სანატრელო ქალო!...  
რანამს ნაბიჯს გადმოადგამ,  
მსურს ღიმილით თვალო,  
აქ რამდენი აყვავდება იატაკზე ვარდი,  
თვალზე რამდენ მარგალიტის  
ცრემლს დაგვადენს დარდი...  
ეს საკანიც გამდიდრდება მზის სინათლით მაშინ, -

თითქოს ვცხოვრობთ სადმე ერთად...  
თავისუფლებაში.

შემობრძანდი ჩემს საკანში, სანატრელო ქალო!...

## იუნუს ემრე

\* \* \*

ყველა მიცნობს – ვინ და რა ვარ... იუნუსი მქვია და მე  
სახელს მმატებს ან ყოველი წარმავალი დღე თუ ღამე;  
ამ ორივე ქვეყანაში მინატრია ერთი რამე –  
შენთან ყოფნა მწყუროდეს და არ მახსოვდეს ვინმე სხვა მე.

\* \* \*

მიყვარხარ და... მიყვარხარ და... კვლავაც გეტყვი – მიყვარხარ!  
ჩემსა შიგან არსებობ და მაინც ვერ გცნობ – ვინ მყავხარ?!  
ხან ჭეშმარიტ გზას რომ ვდევთ და ხან უგზოოდ დავდივართ,  
ვერ გავიგე – კვალში შენ გდევ, თუ მე თავად მიმყაებარ?!

ტრფობას გული შევნირე და წამით არ შევიცოდე,  
ალარც რწმენას ვუხმობ რასმეს, რომ მის საშველს ვიცნობდე;  
მე რომ, როგორც სოლომონმა, ფრინველთ ენა ვიცოდე,  
ჩემსა შიგან შენ რომ გალობ, ვერ გავიგებ – ვინ მყავხარ.

სიყვარულმა თავი ჩემი წარმტაცა და წამართვა,  
მას სჩვევია წუთისოფლის ცოდვა-მადლით წარმართვა;  
იუნუსს რომ ცეცხლი დაწვავს, თავსაც დასცემს დამართ, ვა...  
კვლავაც ეტყვის თავის სულთანს – შენ მიყვარხარ... მიყვარხარ!

## ორჰან ველი

### მე განა შორს ვარ... მე განა შორს ვარ...

მე განა შორს ვარ... ჩემს სანახავად  
შენსავე მზერას აედევნე... ეგებ არც გჯერა,  
რომ უფრო ახლოს მე ვარ შენთან, ვიდრე შენ თავად, –  
მე ვარ შენს გულში ყოველი ძგერა.

რაღაც უცნაური ამბავი ხდება.

ასე ლამაზი როგორ არის ყოველდღე ეს ზღვა?  
ნუთუ ეს ზეცა მუდამ არის ასე უძირო?  
ნეტავ ყოველთვის ასე იყო, ისე ვით დღეს და  
ამ მზეს ფანჯრიდან მუდამ ასე უნდა ვუმზირო?  
არა, ო, არა,  
ალბათ, არის ღვთიური წება....  
ან იქნებ რაღაც უცნაური ამბავი ხდება?

### ვყიდულობ ძველმანებს

დროს ძველმანების ძებნაში ვკარგავ  
და მათგან ვარსკვლავებს ვძერნავ თუ ვქარგავ;  
მუსიკით მესხმევა თავბრუ და რეტი,  
ის არის სულისთვის საზრდოზე მეტი;  
თუ ლექსი დავწერე მცირე თუ დიდი,  
ძველმანებს ვყიდულობ, მერე მათ ვყიდი  
და ვიძენ მუსიკას... და ვნატრობ, უჰ, რამდენს,  
რომ რახის ბოთლებში თევზივით ვცურავდე.

## აპმეთ თელლი

### „კვლავ შენს სურათს ვეფერები“

ტკბილი იყო საუბარი შენთან, ჩემო კარგო.  
ვით რაკრაკი ნაკადულის, ვით ნიავის ფრენა...  
თითქოს გსურდა ყვავილებით ველ-მინდორი ქარგო,  
გსურდა ია-ენძელების ფიანდაზად ფენა,  
ტკბილი იყო საუბარი შენთან, ჩემო კარგო...  
კვლავ შენს სურათს ეფერება გული... თვალი... სმენა.

მიამბობდი ლამაზ ზღაპრებს შენზე... ჩემზე... სხვაზე...  
სიტყვებს ხიბლი ეძლეოდათ თითქოს მხოლოდ შენით...  
მე უშენოდ სულ უდაბნო დამხვდებოდა გზაზე,  
დაშრებოდა ყველა წყარო დარღით... სევდით... წყენით...  
სულ საავდრო და შავ ღრუბლებს ვიხილავდი ცაზე...  
კვლავ შენს სურათს ვეფერები გულით... თვალით... სმენით.

საღამომდე რომ გელოდი, შენ ყვავილთა კონით  
მოდიოდი უეცრად და მიქარებდი თმენას,  
და სალამსაც რომ მეტყოდი, მე ფიქრით და გონით  
ვივიწყებდი წუთისოფლად დროის მუხთალ დენას,  
ტკბილ სიმღერას ჰგავდი შენ და მეც ამ ხსოვნის ქონით  
კვლავ მოყვავარ შენს სურათთან გულს და თვალს და სმენას.

გაზაფხული, ო, რამდენჯერ, გვიხმო მთად და ბარად  
მეგობართა საფლავებზე ყვავილების ცვენამ,  
როს პატარა ჩიტუნების ფრენას ქარდაქარად  
მივდიეთ და თითქოს გვითხრა მათმა ტკბილმა სტვენამ -  
გაუფრთხილდით სიყვარულსო მარად.... მარად.... მარად!  
დღეს მიტომაც გაგიხსენა გულმა... თვალმა... სმენამ.

ჩვენი ფიქრი წარსულისკენ ისევ გზა-კვალს იგნებს  
და მოწყენით.... მონატრებით დღეს ჩვენ ვცოცხლობთ ისევ...  
ვმალავ იმ ჩვენს ძველ სიყვარულს, ვით აკრძალულ წიგნებს,  
მაგრამ მაინც, ვით განსაცდელს, დარდებს გულზე ვისევ,  
წარსულს ყველგან ეს ცხოვრება გზად და ხიდად მიგებს  
და შენს სურათს ჩემს კედელზე ვგრძნობ.... ვხედავ და ვისმენ.

## **ილპან ბერძი**

\*\*\*

სამჯერ გნახე სიზმრად, კარგო, სამჯერ გითხარ - „მიყვარხარ“ - და ყვავილების წყალი მერე გამოცცვალე... გავხსენ ფარდა და არ ჩანდა სიზმრის მიღმა არაფერი, ღრუბლის გარდა...

შენი სახე მომენატრა, განთიადის სხივს რომ ჰგავდა.

ძალისძალად ვხლართავ ლექსებს... აივანთან მზე თვალს ხუჭავს... მომხედეო! - ალუბალი მომძახის და იკლებს ქუჩას, მე კი ვეძებ შენს სურნელს და სევდას ზღვარი არსად უჩანს...

შენი სახე ჩვენი ქვეყნის პირველ გაბრწყინებას ჰგავდა.

ვფიქრობ და სულ ვეკითხები ჩემს საფიქრალს, სულთამხუთავს, გული ლექსებს რატომ გიძლვის?! – ამბობს, რაც მას ასჯერ უთქვამს, ან მიხაკის სუნი რატომ ასდიოდა მაგ შენს სუნთქვას?!

ყველაფერი წარმავალი უგზო-უკულოდ დაიკარგა...  
ან ეგ სახე მარადიულ სილამაზეს რატომ ჰგავდა?

## **ათაიოლ ბეჭრამოლლუ**

\*\*\*

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
მზესუმზირებო, დახრილი თავით,  
ლექსის და ტრფობის მიწაზე ჰყვავით...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
ტკბილ ფორთოხალთა სურნელის სიოს  
ვთხოვ, ჩემს ლამაზ ხალხს ალერსით სდიოს...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
შენი სიტურფით, თუმც მოგვაქვს თავი,  
ძუძუს გიშრობდა სულ ბედი ავი...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
გარს მოგდებია მტრობის ალები,  
მუხთალ ბედს ვერსად ვერ ემაღები...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
ზრდიდი შენ მგოსნებს სიტყვის და აზრის:  
ფირსულთანს... იუნუსს... და მერე ნაზიმს...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
შენ ზრდიდი ბოზლაქს, აღითს, ზეიბექს...  
მათ ძალა შენი მადლით შეიქმნეს...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
გიმზერ ვით დედას, წლებით მოწეულს...  
ღიმილით სავსე კომშს და ბრონეულს...

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
დამსგავსებიხარ ყურძნის აკიდოს,  
ბედმა სიკეთე ზედ რომ დაკიდოს.

თურქეთო, ჩემო ტკბილო მამულო,  
სევდის ცრემლებით გადანამულო,  
მომავალს უმზერ, გიდგას ფარად ის  
და ვერვინ მოგსპობს ან და მარადის!

## **ათილა ილჰანი**

\*\*\*

რა ქალები მყვარებია! - დღეს არ ჩანან არსად...

რა ქალები მყვარებია! - დღეს არ ჩანან არსად...

შემოდგომის წვიმა ჰქონდათ მოსასხამად... გარსად...

მოფერებას პასუხობდნენ ჩვილი ბავშვის მსგავსად.

ზოგჯერ, როცა ვშორდებოდი, იცრემლებდნენ თვალებს...

რა ქალები მყვარებია! - დღეს არ ჩანან არსად...

არ ვიცოდი, ასე ტრფობა რომ შეეძლოთ ქალებს,

რომ არასდროს ვავიწყდები მათ არაფრის ფასად.

დღესაც მომდის წერილები მათგან... მათგან... მხოლოდ

ერთ ოცნებას ვიხსენებ და გადაიქცნენ ასად...

დამავიწყდა ყველა ლექსი სრულად, უთავბოლოდ...

რა ქალები მყვარებია! - დღეს არ ჩანან არსად...

ვიხსენებ და თითქოს ქრება მარტოობის სევდა,

თუმცა ვიცი, შორს არიან... ხმა კი მესმის, მესმის...

თითქოს ღრუბლად გადაიქცა, რა ტკივილიც მდევდა,

გაქრა ტრფობა, მაგრამ ახლა ხსოვნა თავბრუდ მესმის.

სხვას ასეთი სიყვარული სად ჰქონია სხვა - სად?!

რა ქალები მყვარებია! - დღეს არ ჩანან არსად...

\*\*\*

ვინც არ უნდა შევიყვარო, მაინც შენი ტრფობა მინდა!...

ვინც არ უნდა შეიცვალოს, თუნდაც ბილნი გახდეს წმინდა,

თუნდაც ლურჯი თვალი ექცეს მწვანედ ჩემთა თვალთა წინ და

თუნდ გემსგავსოს შენ ხმით ისე, თითქოს ლექსად გადმოდინდა,

სიგარეტიც შენებურად მოიმარჯვოს... არავინ და

არვინ მინდა მე შენს მეტი... დავალ გარეთ, ვზიგარ შინ და

ვინც არ უნდა შევიყვარო, მაინც შენი ტრფობა მინდა!...

დავივიწყე ყველაფერი: სიყვარული, ტრფობა, ვნება...  
ქერათმიანს შავგრემანი (ან პირიქით) ენაცვლება,  
გაურკვეველ სახეს სახე მისდევს, როგორც გზნებას გზნება,  
ზოგის ბაგეს სისხლი წვავს და ზოგზე თითქოს თოვლი დნება...  
ღმერთო, ამდენ ზმანებებში ძალას ვკარგავ წება-წება...  
ჩემს გიტარას ვუსმენ ისევ და ნარსული მენანება,  
ვინც არ უნდა შევიყვარო - ასეთია ღმერთის წება! -  
არვინ მინდა მე შენს მეტი... შენთან ყოფნა მენატრება.

ვინც არ უნდა შევიყვარო... რაგინდ მწვავდეს ცეცხლის ალი,  
მაინც შენკენ მომიძლვება წუთისოფლის გზა და კალი,  
ეგებ ენა აელესათ დასაცინად, როგორც ხმალი,  
ჩემს სიყვარულს მიანერეს ეგებ ქვეყნის ცოდვაბრალი,  
ეგებ წვიმს და მე ვეღარ ვგრძნობ, დამიბრმავდა ეგებ თვალი...  
ეგებ შენთან დამრჩა გული, მე კი სხვაგან დავრჩი მწყრალი...  
ეგებ სიოც მოქრის შენგან ვნებითა და კოცნით მთვრალი,  
ეგებ რაღაც ჯადო ხარ და სულაც არ ხარ მხოლოდ ქალი...

ვერ გავიგე, ეს სიცოცხლე რა სიზმარში გამიფრინდა...  
ვინც არ უნდა შევიყვარო, მაინც შენი ტრფობა მინდა!...

## შეოღვამა მერმევა

ეს რა ხდება?!  
ან მე თავად რა მომდის?!  
კვირტი კვირტთან  
ტყემლის ტოტზე ფეთქდება,  
სხივი სხივთან დილიდან საღამომდის  
ჩემს სიცოცხლეს წება-წება ეფრქვევა...

მე კი ვზივარ... ფოთოლ-ფოთოლ ჩამოცლილს  
ვხედავ ხეებს, რადგან...  
რადგან რა ხდება?! –  
მეც სახელად „შემოდგომა“ მერქმევა.

## მართობის ლექსი

ზეცის დიდი სიწყვედიადის მზერამ ხალხი გადარია, –  
ვარსკვლავები მტევან-მტევან ჩამოკრიფონ,  
მზად არიან...

მეც მარტო ვარ... მთის მწვერვალნიც  
სულ მარტონი რად არიან?! რად არიან?!

ლამის თითებს მოსწყდა თითქოს

ერთი ია... ერთი ვარდი...

მე ბავშვობის სიმღერებში

ბაგის თრთოლვით გადავვარდი...

შენ დაგეძებ სიბნელეში მიწაზედ ხარ?!

გზად ხარ? ცად ხარ?!

მზერით გეძებ, შენ კი მზერით უკარება  
ასე რად ხარ?

სად ხარ?

სად ხარ?

თურქულიდან თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

# 018 რბმ 060

## ოსკარ უაილდი

„მე ჩემი საუკუნის კულტურისა და ხელოვნების სიმბოლოს წარმოვადგენ“.

ოსკარ ფინგალ ო'ფლაჰერტი (Oscar Fingal O'Flahertie Wills Wilde) (1854 – 1900) ირლანდიური წარმოშობის ინგლისელი დრამატურგი, მწერალი და პოეტი. გვანდელი ვიქტორიანული ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შემოქმედა, უაღრესად პოპულარული თავის თანამედროვეთა შორის, ცნობილი ენამახვილობითა და მჭევრმეტყველებით. მან დიდი გავლენა მოახდინა სალიტერატურო ინგლისური ენის განვითარებაზე.



## სიკეთის მძღვანელი

ღამდებოდა, ის მარტო იყო.

და შორს კედლებს მიღმა ქალაქი დაინახა და იქით გასწია.

როცა მიუახლოვდა, ფეხების ბრაგუნი, მხიარული ყიუინა და ბარბითის მაღალი ხმა შემოესმა. ალაყაფის კარზე დააკაკუნა და მცველმა იგი შიგ შეუშვა.

და მან დაინახა გვირგვინებით მორთული, მარმარილოს ბოძებიანი სასახლე, შიგნით და გარეთ კედრის ჩირალდნები ენთო.

და იგი სახლში შევიდა.

და გაიარა ჰალკედონის და იასპის დარბაზები. ბოლოს იმ დარბაზს მიადგა, რომელშიც ნადიმი გაემართათ. მენამული ფერის ტატჩზე ახალგაზრდა მიწოლილიყო, თავზე ვარდების გვირგვინი ედგა, ტუჩები ლვინისაგან გასწითლებოდა. იგი მიუახლოვდა ახალგაზრდას, უკან დაუდგა, მხარზე ხელი შეახო და ჰკითხა: „რატომ ცხოვრობ ასე განცხრომით?“ და შებრუნდა ახალგაზრდა, იცნო იგი, დაფიქრდა და მიუგო: „უნინ კეთროვანი ვიყავი და შენ განმურნე. ახლა სხვაგვარად როგორ ვიცხოვო?“

და მან სახლი დატოვა, ქუჩაში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ქალი დაინახა. მას სახე მოეკაზმა, სამოსით მორთულიყო, ფეხებზე მარგალიტები აესხა. უკან მას ორფერ მოსასხამში გახ-

ვეული ახალგაზრდა მონადირესავით ასდევნებოდა. ქალს სახე საოცრად უბრნებინავდა, ვაჟს თვალები ვნებით ავსებოდა.

და იგი სწრაფი ნაბიჯით აედევნა მათ. ჭაბუკა მხარზე ხელი შეახო და ჰკითხა: „რატომ უყურებ ამ ქალს ამგვარად?“

და ვაჟი შებრუნდა, იცნო იგი და უპასუხა: „უწინ ბრმა ვიყავი, თვალი შენ ამიხილე. ახლა სხვაგვარად როგორ შევხედო?“

და მან ნაბიჯი ქალისკენ წადგა, მორთულ სამოსზე ხელი შეახო და ჰკითხა: „არ შეიძლება სხვაგვარად რომ ჩაიცვა და ასე არ იარო? არ გინდა ცოდვებისგან თავი დაიხსნა?“

და ქალი შებრუნდა, იცნო იგი, გაეცინა და მიუგო: „შენ ხომ ყველა ცოდვა შემინდე. ახლა კი ასეთი ცხოვრება მომწონს“. და მან დატოვა ქალაქი.

და ქალაქიდან გამოსულმა, იქვე, გზის პირას მჯდომი ახალგაზრდა კაცი დაინახა, მოთქმით ტიროდა. მისკენ გაეშურა, ხელი მის გრძელ კულულებს შეახო და ჰკითხა: „რა გატირებს?“

და აიხედა ახალგაზრდა კაცმა, იცნო იგი და მიუგო: „ერთხელ მოვკვდი და შენ მკვდრეთით აღმადგინე, ახლა კი ტირილის მეტი რა დამრჩენია?“

## სამსჯავროე

სამსჯავროს სახლში სიჩუმეს დაესადგურებინა. კაცი უფლის წინაშე შიშველი წარდგა.

გადაშალა უფალმა კაცის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნი და უთხრა: „მთელი ცხოვრება ცოდვას ჩადიოდი, შეუბრალებელი იყავი მათ მიმართ, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, ბოროტი და გესლიანი კი მათ მიმართ, ვისაც არაფერი ებადა. ლარიბი კაცი მოვიდა შენთან, არც კი მოუსმინე, ყურები დაიხშე, მხოლოდ შენი ცხოვრებით იყავი დაკავებული, უმწყესოთა მამობა შენ აიღე თავზე. მეზობლის ვენახში მგლები შეაგზავნე, ბავშვს პური წაართვი და ძალლს გადაუგდე, ჩემგან მოკვეთილნი, რომლებიც ჭანჭრობში წყნარად ცხოვრობდნენ და მე მადიდებდნენ, გზაზე გამოიყვანე და ჩემს მინაზე, სადაც მე შენ შეგქმენი, უცოდველთა სისხლი დაღვარე“. და კაცმა მიუგო: „მართალი ხარ, ასე ვიქცეოდი“.

და კვლავ გადაშალა უფალმა კაცის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნი და უთხრა: „მთელი ცხოვრება სცოდავდი, სილამაზის

შეგრძნების უნარით დაგაჯილდოვე, სიკეთე მოგმადლე, მაგრამ ყველაფერი დაიგინებე, შენი სახლის კედლები წარმოდგენებით მოხატე, ღვთისადმი შიში დაკარგე, დროსტარება გაიხადე ცხოვრების წესად. იმ შვიდ ცოდვას, რომლისთვისაც მე თქვენთვის ვენამე, საკურთხეველი აუგე, ჭამდი იმას, რისი ჭამაც აგირძალე, მოსასხამზე სამი ნიშანი ამოქარგე, არც ოქროს ეთაყვანებოდი და არც ვერცხლს, არამედ ხორციელს, რაც წარმავალია.

შენს კერპებს თმაზე სუნამო აპეურე, ხელში ბრონეულები დააჭერინე, ფეხევეშ ხალიჩები დაუფინე და ღია ყვითელი ფერის პუდრი შეაფრევი, ქუთუთოები სურმით შეულებე, ხოლო სხეული ხის წებოვანი სითხით გაუთხაპნე. მათ წინაშე თავს მიწამდე ხრიდი. შენი კერპების ტახტი მზეს უყურებდა, შენ კი არ გინდოდა შენი სირცხვილი მზისთვის გეჩვენებინა, ხოლო სიგიჟე – მთვარისათვის.

და მიუგო კაცმა: „მართალი ხარ, ასე ვიქცეოდი“.

და უკვე მესამედ გადაშალა უფალმა კაცის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნი.

და უთხრა მას: „მთელი შენი ცხოვრება ცოდვას ჩადიოდი, რომ მეგონა, სიკეთეს სთესდი, ცოდავდი. ხელებს, რომლითაც შენ პურს ჭამდი, ჭრილობა მიაყენე. მკერდი, რომელიც ძუძუს გაწოვებდა, დაივიზებ და შეიზიზდე. ის, ვინც შენთან დაწყურებული მოვიდა, უკან მწყურვალი გაუშვი, დევნილებს სალამოს რომ თავშესაფარი მიეცი, განთიადამდე გაეცი. მტერს, რომელმაც დაგინდო, მახე დაუგე. მეგობარი, რომელიც გვერდში გედგა, უდალატე და მათ, ვინც სიყვარული გაჩუქა, სანაცვლოდ ჟინით უპასუხე“.

კაცი დაფიქრდა და უპასუხა: „მართლაც ასე ვიქცეოდი“.

და დახურა უფალმა კაცის მიერ განვლილი ცხოვრების წიგნი და უთხრა: „რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთში გაგგზავნი, იქაა შენი ადგილი.“

და შეჰყვირა კაცმა: „არა, შენ ამას ვერ იზამ!“

და მიუგო უფალმა: „რატომ ვერ გაგიშვებ ჯოჯოხეთში, რა არის ამის მიზეზი?“

„გამოდის, მთელი სიცოცხლე ჯოჯოხეთში მიცხოვრია“, - უპასუხა კაცმა.

და სამსჯავროს სახლში სიჩუმემ დაისადგურა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უფალმა სიჩუმე კვლავ დაარღვია და უთხრა კაცს: „თუ ჯოჯოხეთში არა, მაშინ ზეცამი გაგიშვებ, იქაა შენი ადგილი!“

და კვლავ შეჰყვირა კაცმა: „არა, ამას არ გააკეთებ!“

და ჰეროინა უფალმა კაცს: „რატომ ვერ გაგიშვებ ზეცაში, რა არის  
ამის მიზეზი?“ „ის, რომ ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი“, - უპა-  
სუხა კაცმა.

სამსჯავროს სახლში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

ინგლისურიდან თარგმნა გულნარა ჯანოვაძე



მხატვარი - ლელა ფერაძე

- 145 -

„არავინი“, 2016, 7

## სარჩევი

ინტერვიუ გეიგ ერთი ლექსისა	3
პოზიტ ვანო ჩხიფაძე	10
პროცეს დიმიტრი ლობჯანიძე ძლევა სიძულვილისა	22
ჩანახურები ფილმის მიზანდა მარინა ბერიძე	46
ჩიტები არ დავვერო! (41-ე სამართლუროს ამგებილან) „ავი“ კვირა მიემველენით რამაზასა დაპირების შესრულება-არშესრულებაზე... ადამიანი უმი რძით არის გაზრდილი... მარათონი პირველი გამოწვევა ფილი ხეის ნინათ	
იმიტრანტული პოზიტ მანანა კობაძე	62
იმიტრანტული პოზიტ ლეილა მაჩაძე, საპერძეო	69
იმიტრანტული პროცეს ნუნუ ლურჯუმალიძე, კანადა კვერცხი საოცრების ქალაქი ფისანდურა	74
ერა და პოზიტ მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე პოეტური სინტაქსისათვის	82
პოზიტ გიორგი სამცხელი	97

<b>ԺԱՌՈՅՑՅԱՆՆԱՐԴԻՇ ՄԱՇԽԵՐԸ</b>	
<b>ՅՀԱՆՈՒԱՆ ԲՈՂՈՔՐՈՒԹ</b>	<b>101</b>
Կապէսնողրիման ըստ Անդրանիկ Պատիկյանի Ճաշկարգակից Ամառավայրի	
<b>ԺԱՌՈՅՑՅԱՆՆԱՐԴԻՇ 850</b>	<b>113</b>
Գուանա անջոմիագու Ճաշկարգակից Ամառավայրի	
<b>ԺԱՌՈՅՑՅԱՆՆԱՐԴԻՇ 850</b>	<b>117</b>
Տամար լոռմանց Ենաքեզրով յարտաշուն Անդրանիկ Ուժորութանց Ենաքմանակից	
<b>ՌԵՖՈՐՄԱՆ</b>	
<b>ՅԱՐԱՎԵՐ ԿՐԵԱԿՆԵՐ</b>	<b>123</b>
„Աջլաւութիւն առաջանուած Սրբուարուութեան Յօհանանի ականական“	
<b>ԿԵԼՈՎԱՆԵՐԸ ԳԵ ԿԵԼՈՎԱՆԵՐԸ</b>	<b>127</b>
Համագ կյեցածուուն „Յուղուութիւն, յարտաշուն Սահմանականութեան“	
<b>ՈՒԺՈՒԱՅՆ</b>	
Ենաքման առաջանուած 132	
<b>ՈՒԺՈՒԱՅՆ</b>	
Անդրանիկ Առաջանուած 142	
Անդրանիկ Սրբաւութիւն մամենաց Սամայականութեան	

გამოცემლისა  
„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ელ. ფოსტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)